# სარბიელი

სპორტული გაზეთი · სამშაბათი 6 მარტი 2001 №38 (1311) · ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# იამაყეთ!

## ქართველმა მორაგბეებმა გაგვახსენეს: საქართველოს ღირსებისთვის ბრძოლა და გამარჯვება შეუძლია. გმადლობთ, კაცებო!



ბაჩო [illegible] ფოტო



25

23

ერთია, როდესაც შინ იმარჯვებ და მეორე, როდესაც სტუმრად...
ერთია, როდესაც სტუმრად სუსტ მეტოქეს ამარცხებ და მეორე, როდესაც ძლიერს...
ერთია, როდესაც ძლიერს სტუმრად უსაგნო შეხვედრას უგებ და მეორე, როდესაც თითოეულ ქულას ფასი აქვს...
ერთია, როდესაც პრინციპული შეხვედრის წინ ძლიერი ღირსეულად გმასპინძლობს და მეორე, როდესაც უღირსად...
ერთია, როდესაც ძლიერი მასპინძლისთვის შენი სტუმრობა სპორტია და მეორე, როდესაც პოლიტიკაა...
დახედეთ ანგარიშს და იამაყეთ!

## საქართველოს მესაჭე

ეგებ ბევრმა არც იცოდეს, ვინ არის ეს კაცი.

არც ის, რომ საქართველოს რაგბის ნაკრებში ფრანგული შინაური ენაა.

ჩვეულებრივ, იტყვიან ხოლმე, უცხოელი რა ხეირს დაგვაყრის, თავის საქმეზეა ჩამოსული, აქ იოლს ნახულობს და იოლას გადისო.

ეს კაცი იოლას არ გადის. ბორჯღალოსნები ამბობენ, ზოგჯერ ეჭვიც გვეპარება, ეს კაცია ქართველი თუ ჩვენო. ეს კაცი საქართველოს კაცია, მისი მასწავლებელი და გულშემატკივარი. ალალად მოსული, საქმის ცოდნით და გულით მკეთებელი. რომ ამბობენ, უცხოეთი გვჭამსო, აი, ასეთი უცხოეთი არ გვჭამს. როცა ასეთი კაცი მოდის ჩვენსა, ვხვდებით — რა ახლოა იქაურობა, ის, რაც ჩვენად გვიგრძვნია და რაზეც საბჭოეთში ჩაკეტილებს გვიოცნებია.

საქართველოში რომ რაიმე ამგვარი ტიტული არსებობდეს, ეს კაცი უკვე დაიმსახურებდა წლის ადამიანის წოდებას.

რუსებთან თამაშის წინ ამ კაცს სიტყვა უთქვამს მოთამაშეებისთვის. ბიჭები ჰყვებიან, ისეთი სიტყვა იყო, არათუ ჩვენ, ცხვრებსაც მგლებად გარდასახავდაო.

ამ თამაშ-თამაშში კი ეს კაცი ხიდი გამოდგა საქართველოსა და ნორმალურ სამყაროს შორის. თუნდაც ერთი საცალფეხო, მდინარეზე გაკიდული, მაგრამ უღალატო და ნამდვილი ხიდი.

განა ცოტაა?

ეს კაცი გახლავთ კლოდ სორელი — ორმოცდაცამეტი წლისა, ხელობით მეღვინე, სულით და მოწოდებით მორაგბე, გამოცდილებით და ცოდნით — დიდებული მწვრთნელი, თანამდებობით — საქართველოს მესაჭე.

ევროპის ერთა თასი. მესამე ტური. 4 მარტი

**რუსეთი 23:25 საქართველო**

კრასნოდარი. «დინამოს» სტადიონი. 2000 მაყურებელი

# GAGUIMARJOSSE CLAUDE!

**დიდი მადლობა დაუვიწყარი სიხარულისთვის!**

**MERCI BEAUCOUP POUR CE COUP ET CETTE JOIE INOUBLIABLE!**

მატჩის მიმოხილვა იხილეთ მეთორმეტე გვერდზე

საქართველოს 12 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
მეორე წრე

# 19 ტური

ტურის ცენტრალური მატჩი

# ორი შეცვლა გოლი ვინ მოიგო თამაში?

თბილისი
5 მარტი
15 საათი
26 მაისი
2 000 (ტევადობა 36 000)

**ლოკომოტივი 2:0 ვიტ ჯორჯია**

1:0 რუსია (76), 2:0 კვარაცხელია (85)
**ლოკომოტივი:** ლომაია, ბაღაშვილი, ზ. დოლაბიძე (რუსია 46), ცხადაძე, სალუქვაძე, გოლოშური, კვარაცხელია, ქოქიაშვილი, ანჩაბაძე (ნაქ-რაძე 74), გოგიჩაიშვილი, კაიდარაშვილი (დათვაძე 46)
სათადარიგოები: ძაღანიძე, გ. შენგელია, მარამიძე, რ. ოქროპი
**ვიტ ჯორჯია:** მურღვანი, კობიაშვილი, ფ. მუჯირი, ქანკავაძე (ნუმბურაია 80), გიორგი ქორიძე (სიქამბურიძე 78), დ. ნოზაძე, დოლიძელაშვილი (ალფაია 77), გოგობერიშვილი, ინჯგირეველი, გორიაშვილი, დ. სეფაძე
სათადარიგოები: ჭურაძე დ. დოლიძე, რ. გოცერიძე, სუხიტაშვილი
**გაფრთხილებები:** გოგობერიშვილი (54), გორიაშვილი (61)
**მსაჯები:** ა. შალამბერიძე გ. კაკაბაძე, ნ. რუსიაშვილი (ყველა ქუთაისი); დ. ფანჩიაშვილი (თბილისი)
**სტუ-ის ინსპექტორი:** გ. ფურცხალავა

სოლომონ ბუღიაშვილი

**პირველი** ტაიმის დროს: ამათ რომ ამერიკელმა უყუროს, არ ჩაეძინება? მერე გვიკვირს, სოკერი რატომ არ უყვართო.

მეორე ტაიმის დროს: ნახე, ნახე, როგორ ამოძრავდნენ. ჩვენი ჩემპიონატი და ასეთი ცეცხლი?

მიზეზი: ტაიმებს შორის მწვრთნელის ორმა გონივრულმა შეცვლამ სურათი გაამრავალფეროვნა. მაყურებელი გააზალისა, თავად კი სამი ქულით გაამდიდრა.

გუშინ ვაკის მშენებარე სტადიონზე გამართული თამაში სწორედ ისეთი იყო, ტურის ცენტრალურს რომ უწოდებენ. ჩემპიონატის ლიდერი „ლოკომოტივი" და ოთხეულის ამბიციური „ვიტ ჯორჯია".

სტუმართა მწვრთნელს, ადრე რკინიგზელებში ნამუშევარ თემურ მახარაძეს, ალბათ თავისი სათქმელიც ჰქონდა.

მოკლედ, თუნდ „ტურის ცენტრალური" დავარქვათ, თუნდ თბილისური დერბი, თუნდ არც არაფერი, საინტერესო კი იყო.

უჩვეულოდ თბილმა ამინდმა მოადუნათ თუ სხვა რამ გამოუცნობმა მიზეზმა, პირველ ნახევარში კაცი მზესუმზირის კნატუნით ან საიდანღაც გაჩენილი ნაყინის ჭამით თუ შეიქცევდა თავს.

„ლოკომოტივი" ზუსტად ისეთივე გეგმით თამაშობდა, როგორც ამ ხუთი დღის წინ „ბათუმთან". ა, „ვიტ ჯორჯია" კი დამძიმებული გვეჩვენა, თითქოს ზამთრის ძილისგან ვერ გამოფხიზლებულაო. ერთადერთი, „ანჟიდან" გადმოსული ალეკო გოგობერიშვილი ცდილობდა შორიდან დარტყმებით ფონს გასვლას.

თუმცა, მასპინძელთა გასაკვირად, პირველი სახიფათო მომენტი ვეტერანარებმა შექმნეს — რკინიგზელთა მცველებს გიორგი ქორიძე გაეპარათ, ვიტელთა მერვე ნომერმა მოედნის სიღრმიდან მიიღო პასი, მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ ზუსტად ველარ დაარტყა.

დაზურული და დახუთული თამაში იყო. მასპინძლებმა ტაიმის ბოლოსკენღა მოახერხეს ჩხვლეტები. ჯერ ჭიჭვეიშვილის ძლიერი დარტყმა და ბურთმა ზედ ხარიხასთან გადაიფრინა, მალევე ბალაშვილ-ანჩაბაძე-კვარაცხელიას კომბინაციაც დააზლოებით ასევე დამთავრდა.

მერე კი ნამდვილი ფეხბურთი გაჩადდა. მეორე ნახევრის დასაწყისში ნოდიამ ორი ფეხბურთელი შეცვალა: კაიდარაშვილის მაგიერ დათვაძე, ხოლო ლაცაბიძის ნაცვლად რუსია გამოიყვანა. გამოიყვანა და ცეცხლიც დაინთო. ამოძრავდა „ლოკომოტივი", ამოძრავდა „ვიტ ჯორჯიაც", ხან ნოდია წამოხტებოდა თავისი სკამიდან, ხან მახარაძე, ხანაც ორივე ერთად. მოკლედ, ეშხში შევიდნენ, ანერვიულდნენ.

დასაწყისშივე გოგიჩაიშვილის პასს რუსია გამოეხმაურა, დასწრებაზე ითამაშა, მაგრამ მეკარე მურღვანმა აული, კვარაცხელიას დამატებული კი სუსტი გამოდგა.

მერე, ზედ საჯარიმოს ხაზთან, წააქციეს ქორიძე. გოგობერიშვილის დარტყმული ბურთი ლომაიამ კუთხურზე მოიგერია. ბოლო მეოთხედ საათში კი გოლებიც ვნახეთ. თუმცა, სანამ ანგარიში გაიხსნებოდა, კინაღამ ვიტელებმა იძალეს, როცა დიდმელაშვილის დარტყმული ჭიჭვეიშვილმა ლამის ცარიელი კარიდან გამოიტანა.

76-ზე რუსიამ პირველი გაიტანა, კარში შევარდნამდე ბურთი ერთი სტუმარი მცველის ფეხმა აისხლიტა.

ცხრა წუთში ექსდინამოელმა, რკინიგზელთა მაისურით პირველად მოთამაშე დათვაძემ მარჯვნიდან ოსტატურად დაჰკიდა და კვარაცხელიამ თავურით მეორე შეაგდო.

მაშ ასე, შეიძლება ვთქვათ, რომ საქართველოში დაბრუნებულ ნოდიას ჩინებული დებიუტი გამოუვიდა: ორი თამაში, ორი მოგება, სამი გატანილი და არცერთი გაშვებული ბურთი...

მატჩის შემდეგ „ლოკომოტივის" მთავარმა მწვრთნელმა ეს გვითხრა: „ძალიან რთული თამაში იყო. კარგად გვესმოდა, რომ პირველი მატჩის შემდეგ „ვიტ ჯორჯია" გაცილებით მობილიზებული დაგვიპირისპირდებოდა, თანაც, მოგეხსენებათ, ვიტელები უხერხული მეტოქეებიც არიან.

პირველ ტაიმში გადაცემებში ხშირად ვცოდავდით, სწორ გაგრძელებას ვერ ვპოულობდით. კაიდარაშვილს და ანჩაბაძესაც ერთობ მჭიდროდ მეურვეობდნენ. ამიტომ, გასახარია, რომ შეცვლაზე შესულმა რუსიამ და დათვაძემ თამაში აშკარად გაამწვავეს. ერთი შეცვლა ტაქტიკური მოსაზრებით გავაკეთეთ. მეორე კი — ანჩაბაძემ ბევრი იმოძრავა, ფიზიკურადაც კარგად გამოიყურებოდა, მაგრამ გასაქანი არ მისცეს და ამიტომაც შევცვალეთ.

პირველ მატჩთან შედარებით, მომეწონა კვარაცხელიას თამაში.

მოკლედ, უფრო მაღალი ოსტატობისა და გამოცდილი ფეხბურთელების ხარჯზე გავიმარჯვეთ.

**— შელიას დებიუტს როდის ველოდოთ?**

— სულ მალე. მურთაზი მომზადებულია და ცოტა ხანში საქმეშიც ჩაერთვება. იმედია, ის და ცხადაძე ძველებურად გაამაგრებენ დაცვას.



გივი კვარაცხელიას თავურს „ლოკომოტივის" მეორე გოლი მოჰყვა

თბილისი
4 მარტი
15 საათი
დიღმის სამწვრთნელო ბაზა

**დინამო 2:0 დილა**

1:0, 2:0 ზირაქიშვილი (20, 69)
**დინამო:** გრიშიკაშვილი, ზამთარაძე, შაშიაშვილი, კანდელაკი, ჩიგაძე, მამუკაძე (ილურიძე 75), ბურდული, გ. მიქაძე (თუთარაშვილი 60), სვანიძე, ა. სანაძე (ი. შენგელია 82), ზირაქიშვილი
სათადარიგოები: ბათიაშვილი, გაბრიელაშვილი, თ. მაისურაძე, მუშკუდიანი
**დილა:** თ. იღუძიძე, ბუოვეიანი (ა. ხმალაძე 78), რ. საქამბურიძე, გაგნიძე, გ. ჩიტაია (მ. ბურნაძე 79), დ. გორიაშვილი, საყვარელიძე (გრიგალაშვილი 46), ფეიქრიშვილი, ქიტოშვილი, დ. მაისურაძე, ელოშვილი
სათადარიგოები: სოლოღაშვილი, ოსეფაშვილი, ტრაძე
**გაფრთხილებები:** საყვარელიძე (4), კანდელაკი (36), მაისურაძე (39), ჩიტაია (68)
**მსაჯები:** დ. სანაია (სოხუმი) დ. მიქელაძე გ. ჩიქორიძე (ორივე სამტრედია); შ. დოლიძე (ქუთაისი)
**სტუ-ის ინსპექტორი:** ჯ. ცროშაშვილი

# ახლა ლადოს ჯერია

დავით თავართქილაძე

**პოლიცია** გულშემატკივრობდა „დინამოს" დიღმის ბაზაზე — თბილისის სამმართველოს უფროსი სოსო ალავიძე, სხვა დიდჩინოსნები, თემურ მღებრიშვილი თავისი ბიჭებით, ოფიცრები და რიგითები. თინეიჯერული ფანობა კი ვერ ვიხილეთ და არც გაემტყუნებათ „დინამოს" ახალგაზრდა ქომაგებს, რადგან დიღმის ბაზას ტრიბუნები არ აქვს და მავთულბადით შემოღობილ მოედანზე პოლიციელებისა და ჟურნალისტების გარდა არც არავის უშვებდნენ.

რეგისტრაციის შემდეგ დინამოელებმ ერთი თვის ხელფასი დაურიგეს და დავალიანების სრულად გასტუმრებას შეჰპირდნენ, ახალი მთავარი მწვრთნელის დანიშვნა კი ვერ მოხერხდა. ამ მოვალეობას სამი თვით გოჩა ტყებუჩავა იკისრებს, თუმც სათადარიგოთა სკამიდან მასთან ერთად რევაზ არველაძეც მოძღვრავდა ფეხბურთელებს. „დინამომაც" არველაძის ტაქტიკური მოდელით ითამაშა — ხაზზე განლაგებული სამი მცველით, ორი საყრდენით გამაგრებული ხუთკაციანი ნახევარდაცვით და თავდამსხმელთა წყვილით. ისე კი, საგაზაფხულო ეტაპისთვის გუნდი, ფაქტობრივად, ხელახლაა დაკომპლექტებული, რაც საკმარისი გამოდგა გორის „დილას" დამარცხებისთვის.

მასპინძლებმა აქტიური ფეხბურთი შესთავაზეს მეტოქეს. „დინამო" სისწრაფის ხარჯზე ცდილობდა ფონს გასვლას, მაგრამ თავისუფალი სივრცეების შექმნას მაინცდამაინც ვერ ახერხებდა. სამაგიეროდ, აგრესიულობაში ნაღდად სჯობდნენ დინამოელები გორელებს, „დინამოს" თამაშში უფრო მეტი ენერგიულობა იგრძნობოდა და შედეგად მთელი პირველი ტაიმი, ფაქტობრივად, „დილას" ნახევარზე მიმდინარეობდა.

შეხვედრის პირველივე სახიფათო მომენტი გოლით დასრულდა — ზამთარაძემ კუთხური ჩააწოდა, „დილას" კარის შორეულ ძელთან მყოფმა ბურდულმა თავით დაუგდო ბურთი საპირისპირო ძელთან ჩასაფრებულ ზირაქაშვილს, რომლის თავური ლამის კარის ხაზიდან გამოიტანეს მცველებმა, მაგრამ ფეხით დამატებულს ველარაფერი მოუხერხეს.

ცოტა ხანში ისევ ზირაქიშვილს მიეცა კარგი შანსი, როცა სტუმართა საჯარიმოს მისადგომებთან ბურთთან ერთი შეხებითა და მოძრაობით ორი მეურვე სახტად დატოვა, მაგრამ ცაცხათი ოდნავ არაზუსტად დაარტყა.

მეორე ტაიმიც „დინამოსი" იყო. „დილა" აშკარად ვერ უმკლავდებოდა დირსეულად ექსჩემპიონს. „დინამო" კი პირველ ტაიმთან შედარებით უფრო დინჯად ირჯებოდა, მის თამაშში უფრო მეტი აზროვნება შეინიშნებოდა, რაც სტუმრებს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა. დუბლის შემსრულებელ ზირაქაშვილთან ერთად „დინამოში" საუკეთესო ლადო ბურდული გახლდათ. ეს ოცი წლის ნახევარმცველი ჯერ კიდევ სამი წლის წინ გამოჩნდა „დინამოს" ძირითადში და ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელის სახელიც დაიბევა, მაგრამ მერე რატომღაც კლუბის მეორე გუნდში უკრეს თავი. მეთორმეტე ეროვნულშიც ჩრდილში იყო მოქცეული, მაგრამ „დინამოდან" სიჭინავას და დათვაძის წასვლის შემდეგ, როგორც იქნა, ნდობა გამოუცხადეს. დღესდღეობით გუნდის თამაშს სწორედ ის წარმართავს. ბურდულს არც ბრძოლისუნარიანობა დაეწუნება, არც აზროვნება და არც ტექნიკა. ერთი სიტყვით, ახლა ლადოს ჯერია.

...უმაღლეს ლიგაში პირველი გოლის გატანა შეეძლო შეცვლაზე შესულ თუთარაშვილს — სახვაძემ სამ მეტოქეს აუარა გვერდი და თუთარაშვილი ილურიძეს პირისპირ შეატოვა, მაგრამ ახალგაზრდა ფორვარდმა ძელს გაარტყა ბურთი. ამის შემდეგ „დინამომ" ზუსტად ის კომბინაცია გაითამაშა (ზამთარაძე — ბურდული — ზირაქიშვილი), რასაც პირველი გოლი მოჰყვა, თუმც მეორედ ზირაქიშვილის თავურს ილურიძის კარის ხარიხა „გამოეხმაურა" და ვერც დამატებაზე ივარგა ვინმემ.

მეორე საგოლე იერიში ილია კანდელაკმა წამოიწყო და ბურდულს წინ ისე გაუჭრა პასი, რომ „დილას" მთელი დაცვა „მოტეხა". თამაზ ილურიძემ დააგვიანა კარიდან გამოსვლა, ბურთს ბურდულმა მიუსწრო და ჩემპიონატის ბომბარდირ ზირაქიშვილს ცარიელ კარში გაატანინა.

მატჩის შემდეგ კი სახელდახელო პრესკონფერენცია მოეწყო.

***ივანე თაყაძე, „დილას" მთავარი მწვრთნელის თანაშემწე:***

— ბოლნისის „სიონთან" მატჩის შემდეგ გაცილებით მეტი მონდომებით ვითამაშეთ, მაგრამ ვერაფერი გავაწყვეთ.

— „დინამომ" გვაჯობა და გაიმარჯვა. თამაში აუცილებლად უნდა გავაუმჯობესოთ, თორემ მეტად რთულ სიტუაციაში ჩავვარდებით.

***გოჩა ტყებუჩავა, „დინამოს" მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელი:***

— მოვიგეთ, მაგრამ წინ საკმაო სამუშაო გველის, გუნდიდან ხომ 12 ფეხბურთელი წავიდა — ბურთისართმევაზე და თამაშის ორგანიზებაზე ახლა სულ სხვა ფეხბურთელები მუშაობენ.



ეროვნული ჩემპიონატის პირველი გოლი დიღმის ბაზაზე

**გერმანია**
მეორე ბუნდესლიგა
XXIV ტური
ზანკტ პაული 0:2 მიონხენგლადბახი

**ინგლისი**
XXIX ტური
საუთჰემპტონი 1:1 ასტონ ვილა

**იტალია**
სერია B
XXV ტური
ჩიტადელა 0:0 კიევო

# ჯერ არასდროს არ ყოფილა ალა ასე წყნარი

ბოლნისი
4 მარტი
15 საათი
თემურ სტეფანია
2 500 (ტევადობა 3 000)

**სიონი 0:1 მერანი**

0:1 მუხინი (83)
**სიონი:** ვოლკოვი, ირემაშვილი, სიდამონიძე, ახ-ბინძელაშვილი, სოლოღაშვილი, ბარნოვი, დავითაშვილი, მ. გოგოლაძე (მოსეშვილი 46), ბ. შენგელია (კ. მეტრეველი 77), კ. გოგოლაძე, ისიანი
სათადარიგონი: დალაქიშვილი; დ. ჯაფარიძე, გაბისონია
**მერანი:** ნაჭყებია, გოგიტაძე (გ. ილურიძე 25), გუჯაბიძე, დავითნიძე, ცქიფურიშვილი, ბოლქვაძე (მუხინი 70), ჩხაიძე (კოშკაძე 78), დევიძე, ზაზა კვეკვესკირი, მინაშვილი, დ. გოდერძიშვილი
სათადარიგონი: კორომინაძე, ბაჯელიძე, ქინქარაული, თოლორდავა
**გაფრთხილება:** დევიძე (47), სოლოღაშვილი (51), ბარნოვი (67), სიდამონიძე (82)
**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; ი. შალამბერიძე (ორივე თბილისი), კ. გაბრიაძე, ა. შალამბერიძე (ორივე ქუთაისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

**მამუკა კვანტალიანი** ბოლნისიდან

**თითქმის** სამწლიანი განშორების შემდეგ დაუბრუნდა ოთარ გაბელია ეროვნულ ჩემპიონატს და დებიუტიც შესაშური მოიწყო. მისმა გაწვრთნილმა „მერანმა“ ბოლნისში „სიონს“ პრინციპული მატჩი მოუგო და რაკიღა კონკურენტმა „ბათუმმა“ შინ „კოლხეთთან“ ოქროს ქულები გაფანტა, ავჭალელებმაც დიდი ნაბიჯი გადადგეს ექვსეულისკენ.

გუშინწინ უხასიათოდ იყო მასპინძელ ქომაგთა თავკაცი ალა. ცნობილი „სიონი, სიონი“ ხეირიანად ერთხელაც არ დაჭექილა „თემურ სტეფანიაზე“.

მაინცდამაინც არც მსაჯებს ჰქონიათ ძნელი დღე რაც ადრე გადახდომიათ თავს, იმასთან შედარებით გუშინწინ ბოლნისში სამოთხე იყო.

მასპინძლებმა მაშინაც შეინარჩუნეს სიმშვიდე, როცა მატჩის ინსპექტორმა ანატოლი მილჩენკომ სტადიონს დაუარა და ყველაფერი მტკაველ-მტკაველ გაზომა.

–გაუშვა „სიონმა“ დასანანი გოლი, ამოიოხრეს ალამ და ფანებმა, მაგრამ წყენა გულში ჩაიკლეს. აკი აღნიშნავდა მატჩის შემდეგ ოთარ გაბელია, ბოლნისელი გულშემატკივარი ძალიან გულთბილად მოგვექცაო.

მხოლოდ ფეხბურთელები ვერ თოკავდნენ სიფიცხეს. სტუმარ-მასპინძელს თავი არ დაუზოგავს. ბრძოლის კვალი მათ წვევებსა და რომეო გოგიტაძის შუბლზე დამჯდარი მუქისტოლა კოპით ამბეჭდილიყო.

ამიტომაც არ ამოუღიათ ხმა ბოლნისელებს. მათ ნაღდ, კაცურ თამაშში წააგეს. მასპინძლებს ჰქონდათ რამდენიმე ჩინებული შანსი, მაგრამ ფიზიკურად გაცილებით უკეთ მომზადებულ სტუმრებს და მათ საუცხოოდ მოთამაშე მეკარეს, რევაზ ნაჭყებიას ვერაფერი დააკლეს.

მატჩი ორი ფეხბურთელის დუელადაც იქცა. „მერანში“ ყოფილი სიონელი დავით გოდერძიშვილი თამაშობდა, ხოლო „სიონში“ — ყოფილი მერანელი სულიკო დავითაშვილი. ისინი ერთ დროს თანაგუნდელებიც ყოფილან. თამაშის დაწყებამდე ერთმანეთს დაემუქრნენ, ცხადია, მეგობრულად. „მერანმა“ იმარჯვა, ჩავთვალოთ, დუელიც გოდერძიშვილმა მოიგო.

–„სიონმა“ რიხით დაიწყო. ისე მრისხანედ შეუტია მეტოქეს, რომ მატჩის საწყის წუთებში არავის შეჰპარვია ეჭვი მასპინძელთა წარმატებაში.

მე-14 წუთი. მურმან გოგოლაძის თავურს ნაჭყებია გადაელობა. სამ წუთში ისიანის ჯარიმიდან დარტყმული სცდება სტუმართა კარს.

22-ე წუთზე ისიანმა გაილაღა მარცხენა ფლანგზე და წამის შემდეგ კახა გოგოლაძე პირისპირ შეატოვა ნაჭყებიას. თავდასხმელის დარტყმული მეკარემ მოიგერია. დავითაშვილმა დაამატა, მაგრამ წაქცეულმა მეკარემ წამოდგომა და ბურთის კუთხურზე მოგერიებაც მოახერხა.

ამის შემდეგ „მერანმა“ დაცვაში აწეწილი საქმეები მოაწესრიგა. ნახევარმცველებიც ამოძრავდნენ და თავდამსხმელებსაც მეტი სივრცე გამოუჩნდათ.

29-ე წუთზე მოედნის შუაგულიდან გია ჩხაიძის დაწყებული რეიდი ლამის გოლით დასრულდა. ბურთი მცირედით ასცდა ვოლკოვის კარს. 35-ე წუთზე კი, კვეკვესკირის თავურის შემდეგ, შენგელიამ თავითვე გამოიტანა ბურთი კარიდან.

მეორე ტაიმიც ბრძოლით დაიწყო. მე-60 წუთზე კახა გოგოლაძემ გატანის კარგი შანსი გაუშვა ხელიდან და ამის შემდეგ „მერანმა“ მარწუხებს მოუჭირა.

გაბელიამ შეცვლებიც გამოიცნო. მოედანზე შესულმა კოშკაძემ საგოლე შეტევა წამოიწყო, მარცხნიდან გოდერძიშვილს გაუჭრა. დათომ მცველი ჩამოიშორა და ბურთი მინაშვილს დაუგორა. ვოლკოვმა დარტყმა მოიგერია, მაგრამ ბურთს მუხინმა მიუსწრო, რომელსაც, მართალია, მოედანზე ბევრიც არაფერი გაუკეთებია, მაგრამ საჭირო დროს საჭირო ადგილზე აღმოჩნდა და გამარჯვების გოლი გაიტანა. ეს უკრაინელის პირველი გოლი იყო საქართველოს ჩემპიონატში.

***ოთარ გაბელია, „მერანის“ მთავარი მწვრთნელი:***

— სეზონის პირველი მატჩი იყო და ცხადია, ვღელავდით. ბოლნისელებს კარგი გუნდი ჰყავთ, გამოცდილი შემსრულებლები. ამიტომაც ძალიან გაგვიჭირდა. ბოლნისელ ქომაგს მადლობას ვუხდი ობიექტურობისთვის და „სიონსაც“ წარმატებას ვუსურვებ.

პრობლემები ჩვენც გვქონდა — ხუჯაძეს უ...ი აწუხებს, ხუციშვილის ტრანსფერის ფურცელი არ ჩამოვიდა, დევაძე და ფოცხვერია კი ჯერაც ტრავმირებულები არიან. შედეგით კმაყოფილი ვარ, ხარისხს კიდევ გავაუმჯობესებთ და...“

სამწუხაროდ, სპარტაკ არჩვაძის კომენტარს ვერ შემოგთავაზებთ. „სიონის“ თავკაცი გუშინ ბოლნისში არ ყოფილა. მწვრთნელის არყოფნის მიზეზი კი, ჩვენდა გასაოცრად, „თემურ სტეფანიაზე“ ვერავინ გვითხრა.


[illegible] ბოლნისიდან

მერანელი გოჩა გუჯაბიძე და სიონელი ბახვა მოსეშვილი

# გორდა ჩარჩა. დარჩება?

მცხეთა
4 მარტი
15 საათი
არმაზი
700 (ტევადობა 3 000)

**თსუ 2:1 გორდა**

1:0 გვაზავა (58), 2:0 მერებაშვილი (61), 2:1 ჯელაძე (64)
**თსუ:** სტურუა, ზვ. ლაბაძე, ხარებავა, ებრალიძე, ბერიანიძე, არეშიძე, გვაზავა, ბ. ნოზაძე (მოშიაშვილი 68), ახალაძე (დათუნაიშვილი 76), მესხი, ბეროშვილი (მერებაშვილი 35)
სათადარიგონი: მამარდაშვილი; ლობჟანიძე, ჯობავა, ქერაშვილი
**გორდა:** ბედიაშვილი, კედელაშვილი (თ. მეტრეველი 61), ბერიძე, ა. გელაძე, ბატარიძე (სოხაძე 77), ბექაური, ჯულელი, ჯელაძე, ა. ბუკია (მიშველაძე 61), კ. ალადაშვილი, კიტეიშვილი
სათადარიგონი: გუგუნავა; გ. გ. მიქაძე, ლ. კაპანაძე
**გაფრთხილება:** ლაბაძე (20), ჯულელი (26), მესხი (40), ხარებავა (53), კედელაშვილი (55), ჯელაძე (90)
**გაძევება:** გვაზავა (90)
**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი; ლ. სილაგავა, მ. ურუშაძე, მ. მაისურაძე (ყველა თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. ლაცაბიძე

**კობა ინასარიძე** მცხეთიდან

**„გორდამ“**, რომელმაც წინა ტურში, მცხეთაშივე „ვიტ ჯორჯიასთან“ მოულოდნელად ქულას გამოჰკრა ხელი, თსუ-სთან აშკარად მოგებაზე ითამაშა და რუსთავიდან ცოტა იღბალიც რომ გამოჰყოლოდა, სტუმრად პირველ სამ ქულას მიითვლიდა.

„ვიტ ჯორჯიასთან“, ამავე სტადიონზე, რუსთაველები თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში თავს თუ იცავდნენ და მხოლოდ კარის უგოლოდ შენახვაზე ფიქრობდნენ, კვირას გაცილებით აქტიურნი იყვნენ და რამდენჯერმე ისეთი მომენტი გააცუდეს, ასპროცენტიანი რომ ეთქმის.

თავდამსხმაში ჯულელით, დაცვაში კი გამოცდილი გელაძითა და კედელაშვილით გაძლიერებული, მწვრთნელგამოცვლილი „გორდა“, აშკარაა, ერთობ მოლონიერებულია, თუმც რად გინდა — კვირას წაგებით რუსთაველები ჩემპიონატის საუკეთესო ექვსეულში მოხვედრაზე ოცნებას უნდა გამოეთხოვონ და ახლა უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძოლონ.

არადა, პირველი ტაიმის შემდეგ კაცი ძნელად იფიქრებდა, „გორდა“ მცხეთას სულ უქულოდ თუ დატოვებდა. შესვენებამდე მატჩი სტუმართა უპირატესობით ხომ მიმდინარეობდა და ტაიმის ბოლო ათ წუთში თამაში მთლად ცალკარას დაემსგავსა. 38-ე წუთზე „გორდამ“ ისეთი მომენტი გააცუდა, ყველა გაკვირვებული დარჩა: მეკარის საჯარიმოს კუთხიდან სტურუას ჯერ ალადაშვილმა დაურტყა, მეკარემ მოიგერია, მერე ჯელაძემ ორიოდ მეტრიდან მკრატელათი დაამატა — ისევ სტურუამ იყოჩაღა, ბოლოს კი, როცა მეკარეს წამოდგომაც ვერ მოესწრო, კარიდან მეტრში მყოფმა კიტეიშვილმა დაჰკრა ბურთს და კარის ხაზზე მდგომ ებრალიძეს მოარტყა. მანამდე ოდნავ ადრე კი ბუკიამ შეაზანზარა სტურუას კარის ხარიხა. ტაიმის დარჩენილი დროც რუსთაველებმა თსუ-ს ნახევარზე გაატარეს, მაგრამ ვერაფრით იხეირეს.

მატჩი შესვენების შემდეგაც ასევე გაგრძელდა — სტუმართა უპირატესობით. ისინი მოედნის შუაგულში ბურთს არ აყოვნებდნენ, სწრაფად უახლოვდებოდნენ მეტოქის კარს, რომლის სიახლოვესაც ჯელაძე აქტიურობდა და რომელმაც სტუდენტ მცველებს ბევრი თავსატეხი გაუჩინა.

გოლი მომწიფებული იყო და გავიდა კიდეც, ოღონდ მასპინძლებმა შეაგდეს და არა სტუმრებმა. გვაზავას გატანილი მართლაც ლამაზი გამოდგა. საჯარიმოს კუთხესთან მან ბექაური ჩამოიშორა და მოჭრილი დარტყმით ბურთი შორეულ ცხრიანში შეაგდო. „გორდას“ მწვრთნელმა ერთბაშად ორი ფეხბურთელის შეცვლა გადაწყვიტა, გამოცდილ მეტრეველსა და მიშველაძეს უხმო, მაგრამ ვიდრე ისინი მოედანზე გავიდოდნენ, თსუ-მ ერთი გოლის გატანაც მოასწრო: სტუმარ მცველებს მერებაშვილი დაუსხლტა, მეკარესთან პირისპირ დარჩა და თავისიანების დაწინაურებაც აღარ გასჭირვებია. გია გეგუჩაძემ, როგორც იქნა, გააკეთა ორი შეცვლა და სამ წუთში ანგარიშში სხვაობაც შემცირდა — კიტეიშვილის ჩინებული პასი ჯელაძემ გამოიყენა და სტურუას მახვილი კუთხიდან გაუტანა. ორ წუთში კი „გორდას“ საგოლედ კიდევ ერთი რეალური შანსი მიეცა: მცველის დაბრუნებული ბურთი სტურუამ სადღაც პენალტის ნიშნულთან ხელში აიღო და კრიჭაშვილმაც დაუყოვნებლივ თავისუფალი დარტყმა დანიშნა. თითქმის ყველა თსუელი კარის ხაზზე გამწკრივდა, ბურთი ჯელაძემ გელაძეს დაუგორა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. სამაგიეროდ, თსუ იყო ვალდებული, ორ-სამჯერ კიდევ გაეტანა. მერებაშვილი და ახალაძე ბედიაშვილთან პირისპირაც დარჩნენ, მაგრამ ერთხელ მეკარემ იყოჩაღა, ერთხელაც თავდამსხმელმა ვერ ივარგა.

ბოლოს კი ერთი გაწევ-გამოწევა ატყდა. მატჩში საუკეთესონი — ჯელაძე და გვაზავა წაეკიდნენ ერთმანეთს, ცოტაც და საქმეში ქომაგებიც ჩაერეოდნენ, მაგრამ შუაში სათადარიგოები ჩადგნენ და ვითარება განიმუხტა. საბოლოოდ გვაზავა მსაჯმა გააძევა, ჯელაძეს კი ყვითელი აკმარა.

# ქულა: ვისთვის დაკარგულა, ვისთვის შეძენილა

ბათუმი
4 მარტი
15 საათი
დინამო
2 000 (ტევადობა 18 000)

**ბათუმი 2:2 კოლხეთი**

1:0 ღლონტი (2), 1:1 კვირკველია (38), 2:1 მაჭუტაძე (48), 2:2 წივწივაძე (71)
**ბათუმი:** ქანტურია, პაპიძე, გელა ქორიძე, მინდაძე, მგალობლიშვილი, ღლონტი (ყულეჯიშვილი 85), რომანაძე (გველესიანი 68), ა. მუჯირი, ტულუში (დარჩიძე 55), მაჭუტაძე, აფხაზავა
სათადარიგონი: ბილაძე, ბაჩილავა, ქითანავა, ჩიჩუა
**კოლხეთი:** ქვაჩახია, ფანჩულიძე, ტორჩინავა, პაპავა (მუმლაძე 24), გოროზია, აკობია, ქობულაძე, ხუჭუა (ლალანიძე 34), კვირკველია (ხუროძე 68), ე. გვასალია, წივწივაძე
სათადარიგონი: ჩემია; ქანტურიძე, ქუნთელია, ნარსია
**მსაჯები:** კ. მესხი (ზუგდიდი), ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. მუშკოვი (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. კობიაშვილი

**გოჩა ჯანაშია** ბათუმიდან

**გუშინწინდელ** ზღვისპირულ დერბის წესით დიდი დატვირთვა უნდა ჰქონოდა „ბათუმისთვის“. ვერმოგება, ფაქტობრივად, ექვსეულისთვის კარის ჩაკეტვის წინაპირობას ქმნიდა. ასეც მოხდა, ბათუმელებმა ვერ მოიგეს, უშუალო კონკურენტმა „მერანმა“ კი მორიგი სამი ქულა მიითვალა და მათ შორის ქულათა სხვაობა ლამისაა კატასტროფული გახდა.

არადა, „ბათუმი“ ორჯერ იგებდა, მაგრამ ორჯერვე მისცა მეტოქეს ანგარიშის გათანაბრების საშუალება. ამაში დიდი წვლილი კოლხთა თავკაც სოსო ფილიას მიუძღვის. სწორედ მისმა დროულმა და საჭირო შეცვლებმა მოუტანა „კოლხეთს“ ქულა.

მატჩის დებიუტი მასპინძელთათვის ისეთი გამოდგა, კაცი უკეთესს ვერ ინატრებდა. მეორე წუთზე გელა ქორიძემ მარჯვნივ ღლონტს გაუჭრა. თითქოს ხიფათი არსაიდან ჩანდა. ღლონტი საჯარიმოს კიდესთან ათიოდ მეტრში იყო და ყველა ჩაწოდებას რომ ელოდა, მან კარისკენ აბრაგანი დაჰკრა. ქვაჩახია ოდნავ წინ იდგა და შორეულ ცხრიანში მიმავალ ბურთს ვერ შესწვდა.

„ბათუმს“ აღმაფრენა დაეტყო და გოლიდან ხუთ წუთში ორი ჩინებული შანსიც შექმნა. ჯერ მუჯირის ფლანგურ ჩაწოდებულს მაჭუტაძემ თავი შეაგება და ოდნავ ააცილა. ხოლო სამიოდ წუთში მუჯირის ცაციათი გასროლილს ქვაჩახია მედგრად დაუხვდა.

ბათუმელთა აქტიურობა ამით ჩაცხრა და ჩვეული, აკადემიური ბურთაობა გაჩაღდა. ეს უინტერესო სანახაობა ჯერ ფილიამ ვერ აიტანა — პაპავა მოიერიშე მუმლაძეთი შეცვალა, ათიოდ წუთში კი ხუჭუას ნაცვლად მინდორზე ლალანიძე შეუშვა. ჰოდა, „კოლხეთიც“ სულ სხვაგვარად ათამაშდა, ამას კარისკენ პირველი დარტყმა მოჰყვა 35-ე წუთზე, სამიოდ წუთში კი გოლიც გავიდა. კოლხებს შეტევა სამაგალითო გამოუვიდათ. ლალანიძის მარჯვნიდან იერიშს წივწივაძემ მუმლაძის მისამართით პასი მოაყოლა. მან კი იქვე, საჯარიმოში შემორბენილ კვირკველიას დაუგორა, რომელმაც მართალია, არცთუ ძლიერად, მაგრამ მოხდენილად დაარტყა და ჭანტურიას დაბალ კუთხეში გაუტანა.

შეცვლებმა აშკარად არგეს „კოლხეთს“, რომელიც გაცილებით აგრესიული გახდა. მუმლაძემ წივწივაძეს კარგად აუბა მხარი, ხოლო ლალანიძე მოედნის ცენტრის ბატონ-პატრონი შეიქნა.

მეორე ტაიმი სანახაობრივად პირველზე უკეთესი გამოდგა. დებიუტი აქაც ბათუმელებისა იყო. 48-ე წუთზე ტულუშმა გონივრული პასით ორ მცველს შუა, მაჭუტაძეს გაუჭრა, პაატამ სიჩქარეს უმატა და პირისპირ შეყრილ ქვაჩახიას შანსი არ დაუტოვა.

„კოლხეთი“ მარცხს არ შეეგუა და წივწივაძის თავურით კინაღამ გაათანაბრა კიდეც. თუმცა, ტაიმის შუაში ქვაჩახიას რომ არ ეყოჩაღა, „ბათუმს“ თავი ქუდში ექნებოდა. კოლხთა მეკარემ ჯერ მუჯირის უძლიერესი გასროლილი აიღო, დარჩიძის დამატებულზეც მოასწრო რეაგირება და ბურთი კუთხურზე უკუაგდო.

აქედან ხუთ წუთში არც აფხაზავა ახეირა და მასაც რიგიანად დაუხვდა.

სტუმრებმა კი თავისი მაინც გაიტანეს. ლალანიძის მარჯვნიდან ჩაწოდებულ ბურთს ყველაზე მაღლა წივწივაძე შეეგება და მოხდენილი თავურით ჭანტურია მეორედ დაამწუხრა. საინტერესო იცით რა არის? კოლხთა კარის ჩარჩოში მოხვედრილი ორი დარტყმიდან ორივე შედეგიანი აღმოჩნდა.

„ბათუმი“ მართალია მძიმედ, მაგრამ მაინც დაიძრა თამაშის გადასარჩენად. თუმც შეტევებს აშკარად აკლდა სიმწვავე და საიმედოდ გარჯილი სტუმართა უკანა ხაზი იოლად გადიოდა ფონს. ყველაზე რეალური შანსი „ბათუმს“ მატჩის მიწურულს მიეცა, როცა მუჯირის შორეულმა საჯარიმომ „კოლხეთის“ მარცხენა ძელს სანტიმეტრებში ჩაუქროლა.

მატჩის შემდეგ კოლხები კმაყოფილნი ჩანდნენ. მასპინძლებს კი დანა პირს არ უხსნიდათ. სხვაგვარად არც იქნებოდა, „ბათუმმა“ ხომ ასე საჭირო ქულები დაკარა.

ქუთაისი
4 მარტი
15 საათი
ტორპედო
5 000 (ტევადობა 19 432)

**ტორპედო 2:0 იბერია**

1:0 აშვეთია (15), 2:0 ასათიანი (65)
**ტორპედო:** ზოიძე, ქემოკლიძე, აბრამიძე, ი. ვაშაკიძე, თოდუა, დიდავა, გუჩუა (კ. კვეტენაძე 42), ასათიანი, ჯანაშია (გონჩაროვი 69), აშვეთია, იონანიძე (იმედაძე 46)
სათადარიგონი: ტოგონიძე; ზ. არჩვაძე, ხვადაგიანი, ჯინჭარაძე
**იბერია:** ჩლაიძე, შ. ლაცაბიძე, ამისულაშვილი, მიქელთაძე, ნინუა, ხიზანიშვილი, გულორდავა (ჩაჩუა 69), გაგუა (სანიკიძე 74), ძამსაშვილი (ფვანია 71), თარგამაძე, ივეჩიანი
სათადარიგონი: ცინაძე; ლ. ხმალაძე, გ. ნოზაძე
**გაფრთხილება:** ნინუა (60)
**მსაჯები:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ზ. დოლიძე, მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიში

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 19 | 16 | 1 | 2 | 35:7 | 49 |
| ტორპედო | 18 | 13 | 3 | 2 | 30:6 | 42 |
| დინამო | 19 | 13 | 2 | 4 | 45:17 | 41 |
| ვიტ ჯორჯია | 19 | 9 | 6 | 4 | 26:14 | 33 |
| კოლხეთი | 19 | 8 | 5 | 6 | 21:16 | 29 |
| მერანი | 18 | 7 | 6 | 5 | 18:17 | 27 |
| ბათუმი | 19 | 6 | 4 | 9 | 24:27 | 22 |
| სიონი | 19 | 5 | 4 | 10 | 13:28 | 19 |
| თსუ | 19 | 5 | 3 | 11 | 19:33 | 18 |
| გორდა | 19 | 3 | 8 | 8 | 14:24 | 17 |
| დილა | 19 | 4 | 3 | 12 | 13:35 | 15 |
| იბერია | 19 | 0 | 3 | 16 | 3:37 | 3 |

საქართველოს ჩემპიონატი
პირველი ლიგა
პირველი წრე
12

**18 ტური**

3 მარტი, შაბათი

**თორი 5:0 ზუგდიდი**
**შუქურა 2:0 ოკეანე**
**სამგურალი 2:0 ხობი**
**თბილისი 0:0 ცხინვალი**
**მეტალურგი 2:1 მილანი**
**გურია 3:0 ივერია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გურია | 18 | 11 | 4 | 3 | 28:20 | 37 |
| ცხინვალი | 18 | 10 | 3 | 5 | 40:19 | 33 |
| მილანი | 18 | 10 | 3 | 5 | 26:15 | 33 |
| შუქურა | 18 | 10 | 3 | 5 | 25:14 | 33 |
| მეტალურგი | 18 | 9 | 6 | 3 | 28:16 | 33 |
| სამგურალი | 18 | 9 | 3 | 6 | 30:17 | 30 |
| თორი | 18 | 8 | 2 | 8 | 21:15 | 26 |
| ზუგდიდი | 18 | 7 | 3 | 8 | 26:34 | 24 |
| ხობი | 18 | 4 | 5 | 9 | 11:22 | 17 |
| ივერია | 18 | 4 | 3 | 11 | 11:31 | 15 |
| ოკეანე | 18 | 3 | 3 | 12 | 15:35 | 12 |
| თბილისი | 18 | 3 | 2 | 13 | 7:30 | 11 |

# ფრეები და დუბლები

## ინგლისი

### XXIX ტური

**ქოვენთრი 0:0 ჩელსი**

ქოვენთრი: კირკლენდი, ბ. ქუინი, შოუ, ბრინი, ჰალი, ტომპსონი, კარსლი (ჩიპო 60), ისტიჩი, ჰაჯი (ალოიზი 76), ჰარტსონი, ბელამი
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
ჩელსი: კუდიჩინი, ფერერი, ლებეფი, დესაი (ტერი 46), ლე სო, იოკანოვიჩი, პოიეტი (სტანიჩი 81), უაიზი, გრონკიაერი, ჰასელბაინკი, გუდიონსენი (ძოლა 81)
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: ისტიჩი, ბრინი, იოკანოვიჩი
21 609 მაყურებელი

**დერბი ქაუნთი 2:1 ტოტენჰემი**

1:0, 2:0 შტრუპარი (12, 33პ), 2:1 ვესტი (70ს.კ.)
დერბი ქაუნთი: ე. ოუქსი, დელაპი, რიგოტი, ვესტი, კარბონარი, ჰიგინბოთემი, დ. პაუელი, ბარლი, ს. ჯონსონი, შტრუპარი (დ. ბარტონი 57), კრისტი (გუდიონსონი 77)
მწვრთნელი: ჯიმ სმიტი
ტოტენჰემი: სალივანი, კლემენსი (ივერსენი 76), დოჰერტი, ს. კემპბელი, იანგი, ტელველი (გარდნერი 46), ფრიინდი, შერვუდი, კინგი, ე. ბუთი, ლ. ფერდინანდი
მწვრთნელი: ჯორჯ გრემი
გაფრთხილება: რიგოტი, ბარტონი, კლემენსი, ფრიინდი, ფერდინანდი
29 410 მაყურებელი

**ლიდსი 1:1 მანჩესტერ იუნ.**

0:1 ჩედვიკი (64), 1:1 ვიდუკა (84)
ჰარტმა ვერ გაიტანა პენალტი (45, მეკარე)
ლიდსი: მარტინი, მილსი, ჰარტი, რადებე, რ. ფერდინანდი, ბოიერი, დაკური, ბეტი, მატეო (კიუელი 46), რობი კინი (ა. სმიტი 46), ვიდუკა
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
მანჩესტერ იუნ: ბარტეზი, გ. ნევილი, ფ. ნევილი, უესლი ბრაუნი, სტამი, ირვინი, ბატი (ჩედვიკი 46), ბექემი, სქოულზი, შერინგემი (იორკი 69), სოლსკიაერი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: ბოიერი, რადებე, მილსი, ბატი, ბარტეზი, სოლსკიაერი, ფ. ნევილი, სქოულზი
40 055 მაყურებელი

**იფსვიჩი 3:1 ბრედფორდი**

0:1 კარბონე (27), 1:1, 2:1 როიზერი (59, 72), 3:1 ბერჩილი (75)
იფსვიჩი: რ. რაიტი, უილნისი, მაკგრილი, ბრემბლი, ჰრეიდარსონი (კლაპამი 77), როიზერი, მეჯილტონი (ა. არმსტრონგი 46), ჰოლანდი, ჯ. რაიტი (აბიდალა 85), სკოუკროფტი, ბერჩილი
მწვრთნელი: ჯორჯ ბარლი
ბრედფორდი: გ. უოლში, ვეზეროლი, მოლენაარი, ობრაიენი, მიერსი, ჰოპკინი, მაკკოლი, ლოკი (მაილე 28, რ. ბლეიქი 80), ჯესი, კარბონე, უორდი
მწვრთნელი: ჯიმ ჯეფერისი
გაფრთხილება: ლოკი, ვეზეროლი, უოლში, ობრაიენი
21 820 მაყურებელი

**არსენალი 3:0 ვესტ ჰემი**

1:0, 2:0, 3:0 ვილტორდი (6, 13, 39)
არსენალი: სიმენი, დიქსონი, ეშლი კოული (ვივასი 54), ადამსი, გრიმანდი, ლიუნგბერგი, ვიეირა, ლორენი, პირესი (ედუ 66), ბერხკამპი, ვილტორდი (ანრი 60)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, ს. პირსი (ტიჰინენი 82), შტიმაცი (ი. პირსი 75), დეილი, სონგი, უინტერბერნი, ლამპარდი, სოზა, შემელი, შუკერი, დიავარა (ტოდოროვი 75)
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
გაფრთხილება: ვიეირა, ლორენი, ს. პირსი, დეილი, ტოდოროვი
38 071 მაყურებელი

**ევერტონი 1:1 ნიუკასლი**

0:1 ანსუორთი (47ს.კ.), 1:1 ანსუორთი (82პ)
ევერტონი: ჟერარი, ზავიერი (გესქოინი 69), ვეირი, ბოლი, უოტსონი, ნეისმიტი (ანსუორთი 29), ჯემილი, ნიარკო (ტალი 46), გრავესენი, კ. კემპბელი, ჯეფერსი
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
ნიუკასლი: გივენი, გრიფინი, კოლდუელი, ა. ჰიუზი, ე. ქუინი, ბასედასი (გლასი 87), ლი, აკუნია, სოლანო (კორდონე 87), შირერი, ამეობი (გალაჰერი 69)
მწვრთნელი: ბობი რობსონი
გაფრთხილება: ნეისმიტი, შირერი, ლი
35 779 მაყურებელი

REUTERS ლონდონიდან




ლიდსი — მანჩესტერი 1:1. ბარტეზის გაფუჭებული ბარტეზმა გამოასწორა, იან ჰარტს პენალტი აუღო

**ლესტერი 2:0 ლივერპული**

1:0 აკინბაი (51), 2:0 იზეტი (90)
ლესტერი: როისი, ფ. სინკლერი (იმპი 34), დევიდსონი, მ. ელიოტი, როუეტი, ტაგარტი, სევიჯი, ლუისი, იზეტი, აკინბაი (გუნლაუგსონი 73), სტარიჯი (ბენჯამინი 82)
მწვრთნელი: პიტერ ტეილორი
ლივერპული: ვესტერველდი, ბაბელი, ჰიპია, ენჩოსი (ოუენი 61), კარაგერი, ციგე, ჯერარდი, მაკალისტერი (ჰამანი 75), ბარმბი (მერფი 81), ჰესკი, ფაულერი
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
გაფრთხილება: იზეტი, ჰესკი
21 924 მაყურებელი

**მანჩესტერ სიტი 0:1 საუთჰემპტონი**

0:1 პეტრესკუ (55)
მანჩესტერ სიტი: ვივერი, ტიატო, დანი, ჰაუი, გრენვილი (შარვე 59), კანჩელსკისი, ვიკენსი, გრანტი, ჰაალანდი, გოტერი, ჰაკერბი (ოსტენსტადი 59)
მწვრთნელი: ჯო როილი
საუთჰემპტონი: პ. ჯოუნსი, ლუნდეკვამი, რიჩარდსი, ელ ხალეჯი, მარსდენი, ოკლი, დრეიპერი, ბრიჯი, პეტრესკუ (ტესემი 80), კაჩლული (კ. დევისი 90), ბიტი (როსლერი 30)
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
გაფრთხილება: ჰაუი, ელ ხალეჯი
33 990 მაყურებელი

**მიდლსბრო 0:0 ჩარლტონი**

მიდლსბრო: შვარცერი, გორდონი (მასტო 76), ფლემინგი, ვიკერსი, გევინი, ფესტა, კარამბეუ, ინსი, ოკონი (ჰედსონი 66), ბოკშიჩი, რიკარდი (ველანი 66)
მწვრთნელი: ტერი ვენებლზი
ჩარლტონი: ილიჩი, ს. ბრაუნი, რუფუსი, კ. პაუელი, ფიში, კიშიშევი (ჯ. რობინსონი 84), პარკერი, იენსენი (კინსელა 90), იოჰანსონი, გ. სტიუარტი, ბარტლეტი (ლისბი 90)
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
გაფრთხილება: რიკარდი, კიშიშევი
28 177 მაყურებელი

**სანდერლენდი — ასტონ ვილა**

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

**რაც გინდათ** ის თქვით და ეს ფაბიენ ბარტეზი... „მანჩესტერ იუნაიტედი" რომ ღონიერ ფეხბურთთან ერთად ხასიათიც გახლავთ, შაბათ შუადღით მისმა მეკარე ბარტეზმა კიდევ ერთხელ დაადასტურა. ლიდსის „ელანდ როუდზე" ლიდერისა და წამოქაჩული მასპინძლების თამაშში თვალსასეირო ბევრი რამ იყო.

„ლიდსი" თავიდანვე დააწვა და პირველი ტაიმი ისე ილეოდა, რომ იორკშირელებმა ბარე ათი კუთხური მოაწოდეს, სტუმრებმა კი არცერთი. „მანჩესტერს" არ ჰყავდა კაპიტანი კინი და რაიან გიგზი. ლიდსელთა სამწვრთნელო სკამზე კი დევიდ ოლირის გვერდით პირველად იდგა ბრაიან კიდი, ალექს ფერგიუსონის ყოფილი მარჯვენა ხელი, ამიერიდან კი იორკშირელთა თანამენეჯერი.

ტაიმის მთავარი ამბავი ტაიმის ბოლო კუთხურს მოჰყვა. ლიდსელთა ჩაწოდების შემდეგ მანჩესტერელებმა ბურთი გამოიტანეს, მაგრამ ბარტეზმა მოგუდული წიხლისკვრა გააჩალა იან ჰარტთან და ყვითელი ბარათი და პენალტი მიიღო. ბარტეზი მანამდეც ჩვეულად ანცობდა, კარის წინ კენწლავდა ბურთს და შეცდომის შემდეგ ფეხებში ვარდნით შველოდა თავის გუნდს. პენალტი კი თავად ჰარტმა დაარტყა და ბარტეზმა მოიგერია. ესეც ყისმათი და ხასიათი.

მეორე ტაიმის დაწყებიდან ოციოდ წუთში სტუმრებს ჩვეული, სწრაფი კომბინაცია გამოუვიდათ, რის შედეგადაც სქოულზმა სოლსკიაერი გაიყვანა კარგ პოზიციაზე. ნორვეგიელის დარტყმული მეკარე მარტინმა მოიგერია და ცარიელ კართან შეცვლაზე შესული ლუკ ჩედვიკი დარჩა. „მანჩესტერი" ასე დაწინაურდა, მაგრამ ვისაც „ლიდსი" უნახავს, მისი ხასიათიც იცის და ისიც შეუმჩნევია, თუ რა ძნელია „ელანდ როუდის" სტუმრისთვის შეხვედრის ბოლომდე მიყვანა. 84-ე წუთზე მილსი უსწრაფესად გაიჭრა მარცხენა ფრთაზე და საჯარიმოსკენ მძლავრად ჩააწოდა. ლი ბოიერი ამ ბურთს თავით შეეგება და საჯარიმოს შუაში ჩააგდო, სადაც უკვე მოფრინავდა მარკ ვიდუკა.

სამიოდ წუთში „ლიდსს" მოგებაც შეეძლო, უესლი ბრაუნმა ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა, მაგრამ მსაჯებმა მანამდე დალანდეს მილიმეტრული თამაშგარე.

„ეს არ იყო თამაშგარე. თავად უესლის გოლი ეგონა და მერეღა გაიხედა გვერდითი მსაჯისკენ". თქვა ოლირიმ.

„ჩვენ ვიგებდით და ამ შეხვედრის წაგება არასწორი იქნებოდა. ფრე სამართლიანი შედეგია." ასეთი იყო ფერგიუსონის აზრი.

ამასობაში კი, „არსენალმა" სილვიენ ვილტორდის ჰეთ თრიქით გაანადგურა ტრავმებით დატანჯული „ვესტ ჰემი". მეთოფეთა შორის კვლავ გამოჩნდნენ დაცვის მთავარი კაცები, კაპიტანი ადამსი და ლი დიქსონი. მენეჯერი არსენ ვენგერი კმაყოფილი იყო. „წინა კვირას, მანჩესტერში ჩვენ კოშმარში მოვხვდით. ამიტომ, დღეს გამარჯვება მნიშვნელოვანი იყო. ფეხბურთელებმა გადაიტანეს ის მარცხი და ჩემპიონთა ლიგისთვისაც მზად არიან".

ამ ტურში უფერულად გამოიყურებოდა „ლივერპული", რომელსაც ლესტერის „ფილბერტ სტრიტზე" მასპინძელთა მონდომებამ და ჯანმა აჯობა. უგოლო პირველი ტაიმის შემდეგ ადე აკინბაიმ სეზონში თავისი მერვე გოლი გაიტანა, ლესტერელთა ძველმა გმირმა მაზი (მუსტაფა ქემალ) იზეტმა კი მაშინ შეაგდო მეორე, როცა შეხვედრის დასრულამდე ალარაფერი რჩებოდა.

ერთგვარად ეს ფრეების ტურიც იყო. რაღა თქმა უნდა, მორიგი საშინაო, უგოლო ქულა ჩაიწერა „მიდლსბრომ". ამჯერად, „ჩარლტონთან" შეხვედრაში. ევერტონელმა დევიდ ანსუორთმა ორი გოლი გაიტანა: ერთი თავის და ერთიც „ნიუკასლის" კარში და ეს თამაშიც ფრედ დასრულდა. „ქოვენთრის" მეკარემ კრის კირკლენდმა ბენეფისი მოაწყო და „ჩელსიმაც" მხოლოდ ქულა წამოიღო პატარა ქალაქიდან.

შინ ყველაზე ცუდად მოთამაშე გუნდმა, მანჩესტერის „სიტიმ" კვლავ წააგო. საუთჰემპტონელთა თავკაცის, გლენ ჰოდლის ჯილამ დან პეტრესკუმ მეორე „წმინდანური" გოლი შეაგდო. „სიტის" კი 15 საშინაო თამაშში მხოლოდ 12 ქულა აქვს. დერბელმა ბრანკო სტრუპარმა დუბლით დააწინაურა თავის გუნდი „ტოტენჰემთან" თამაშში და ეს მორიგი სამი ქულის მომტანი გამოდგა. იფსვიჩელი მარტინ რუსელის მოხდენილმა დუბლმა კი თამაში შემოატრიალა და „ბრედფორდმაც" მორიგი მარცხი იწვნია.

**ირაკლი გამყრელიძე**

| № | სულ თ | მ | ფ | ნ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | ნ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | ნ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მანჩესტერი | 29 | 20 | 7 | 2 | 66:19 | 47 | 67 | 14 | 12 | 1 | 1 | 40:7 | 33 | 37 | 15 | 8 | 6 | 1 | 26:12 | 14 | 30 |
| 2 არსენალი | 29 | 15 | 8 | 6 | 47:29 | 18 | 53 | 15 | 12 | 3 | 0 | 37:8 | 29 | 39 | 14 | 3 | 5 | 6 | 10:21 | -11 | 14 |
| 3 იფსვიჩი | 28 | 14 | 4 | 10 | 42:34 | 8 | 46 | 15 | 8 | 4 | 3 | 25:13 | 12 | 28 | 13 | 6 | 0 | 7 | 17:21 | -4 | 18 |
| 4 ლივერპული | 27 | 13 | 6 | 8 | 47:30 | 17 | 45 | 13 | 10 | 2 | 1 | 28:8 | 20 | 32 | 14 | 3 | 4 | 7 | 19:22 | -3 | 13 |
| 5 ლესტერი | 28 | 13 | 6 | 9 | 31:29 | 2 | 45 | 15 | 9 | 4 | 2 | 22:13 | 9 | 31 | 13 | 4 | 2 | 7 | 9:16 | -7 | 14 |
| 6 ლიდსი | 29 | 12 | 8 | 9 | 42:37 | 5 | 44 | 15 | 7 | 3 | 5 | 23:19 | 4 | 24 | 14 | 5 | 5 | 4 | 19:18 | 1 | 20 |
| 7 სანდერლენდი | 28 | 12 | 8 | 8 | 32:27 | 5 | 44 | 14 | 8 | 5 | 1 | 17:7 | 10 | 29 | 14 | 4 | 3 | 7 | 15:20 | -5 | 15 |
| 8 ჩარლტონი | 29 | 11 | 9 | 9 | 38:40 | -2 | 42 | 14 | 9 | 4 | 1 | 23:9 | 14 | 29 | 15 | 2 | 5 | 8 | 15:31 | -16 | 11 |
| 9 საუთჰემპტონი | 28 | 11 | 8 | 9 | 33:34 | -1 | 41 | 14 | 8 | 2 | 4 | 21:15 | 6 | 26 | 14 | 3 | 6 | 5 | 12:19 | -7 | 15 |
| 10 ჩელსი | 27 | 10 | 9 | 8 | 48:33 | 15 | 39 | 14 | 10 | 3 | 1 | 37:13 | 24 | 33 | 13 | 0 | 6 | 7 | 11:20 | -9 | 6 |
| 11 ნიუკასლი | 28 | 11 | 5 | 12 | 33:39 | -6 | 38 | 13 | 7 | 2 | 4 | 18:13 | 5 | 23 | 15 | 4 | 3 | 8 | 15:26 | -11 | 15 |
| 12 ტოტენჰემი | 29 | 9 | 9 | 11 | 33:38 | -5 | 36 | 14 | 8 | 5 | 1 | 23:11 | 12 | 29 | 15 | 1 | 4 | 10 | 10:27 | -17 | 7 |
| 13 ვესტ ჰემი | 28 | 8 | 11 | 9 | 35:35 | 0 | 35 | 13 | 4 | 6 | 3 | 18:12 | 6 | 18 | 15 | 4 | 5 | 6 | 17:23 | -6 | 17 |
| 14 დერბი ქაუნთი | 29 | 8 | 10 | 11 | 30:44 | -14 | 34 | 15 | 7 | 6 | 2 | 19:17 | 2 | 27 | 14 | 1 | 4 | 9 | 11:27 | -16 | 7 |
| 15 ასტონ ვილა | 26 | 8 | 9 | 9 | 28:28 | 0 | 33 | 12 | 4 | 5 | 3 | 16:13 | 3 | 17 | 14 | 4 | 4 | 6 | 12:15 | -3 | 16 |
| 16 ევერტონი | 29 | 8 | 8 | 13 | 31:43 | -12 | 32 | 15 | 4 | 7 | 4 | 20:20 | 0 | 19 | 14 | 4 | 1 | 9 | 11:23 | -12 | 13 |
| 17 მიდლსბრო | 29 | 5 | 13 | 11 | 31:35 | -4 | 28 | 15 | 3 | 6 | 6 | 15:18 | -3 | 15 | 14 | 2 | 7 | 5 | 16:17 | -1 | 13 |
| 18 სიტი | 29 | 6 | 8 | 15 | 31:47 | -16 | 26 | 15 | 3 | 3 | 9 | 17:22 | -5 | 12 | 14 | 3 | 5 | 6 | 14:25 | -11 | 14 |
| 19 ქოვენთრი | 29 | 5 | 9 | 15 | 26:48 | -22 | 24 | 15 | 2 | 6 | 7 | 11:21 | -10 | 12 | 14 | 3 | 3 | 8 | 15:27 | -12 | 12 |
| 20 ბრედფორდი | 28 | 3 | 7 | 18 | 18:53 | -35 | 16 | 13 | 2 | 4 | 7 | 11:22 | -11 | 10 | 15 | 1 | 3 | 11 | 7:31 | -24 | 6 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| მ. სტიუარტი (იფსვიჩი) | 15 |
| ჰასელბაინკი (ჩელსი) | 15 |
| ანრი (არსენალი) | 15 |
| შერინგემი (მანჩესტერ იუნ.) | 14 |

### გადადებული მატჩები

7 მარტი
ვესტ ჰემი — ჩელსი
10 მარტი
ასტონ ვილა — იფსვიჩი

XXX ტური

17 მარტი
ასტონ ვილა — არსენალი
ბრედფორდი — სიტი
ჩარლტონი — ლიდსი
ჩელსი — სანდერლენდი
ლივერპული — დერბი ქაუნთი
მანჩესტერ იუნ. — ლესტერი
ნიუკასლი — მიდლსბრო
საუთჰემპტონი — ევერტონი
ტოტენჰემი — ქოვენთრი
ვესტ ჰემი — იფსვიჩი

## პირველი დივიზიონი

### XXXV ტური

**ვულვერჰემპტონი 2:0 ნოტინგემი**

1:0 იდსი (48ს.კ.), 2:0 პრუდლოკი (62)
ვულვერჰემპტონი: ა. ოუქსი, მუსკატი, ნეილორი, პოლეტი, დინინგი, ბატლერი, რობინსონი, სინტონი, პრუდლოკი, ნდა, ბრენჩი
მწვრთნელი: დევიდ ჯოუნსი
20 291 მაყურებელი

**ფულემი 1:1 ბოლტონი**

1:0 ჰეილსი (42), 1:1 ფრანდსენი (51)

**ბლეკბერნი 1:0 ვესტ ბრომვიჩი**

1:0 ბენტი (47)

**ქრიუ 3:1 ტრანმერი**

0:1 პარკინსონი (45), 1:1 მაკოლი (61), 2:1 ჰალსი (63), 3:1 ლიტლი (81)

**კრისტალ პალასი 0:2 პრესტონი**

0:1 ჰეილი (8), 0:2 ალექსანდერი (24პ)

**გრიმსბი 0:2 ბარნსლი**

0:1, 0:2 დიერი (27, 56)

**ჰადერსფილდი 2:0 ნორვიჩი**

1:0 არმსტრონგი (8), 2:0 ფეისი (71)

**პორტსმუთი 2:0 ბარნლი**

1:0 ნაითინგელი (56), 2:0 პანოპულოსი (69პ)

**ქუინზ პარკი 1:3 შეფილდ იუნ.**

1:0 ნგონგე (34), 1:1 მერფი (48), 1:2, 1:3 სანტოსი (67, 76)

**შეფილდ უენსდი 2:1 ჯილინგემი**

1:0 ეკოკუ (38), 2:0 დი პიედი (59), 2:1 ასაბა (81)

**სტოკპორტი 2:2 უიმბლდონი**

1:0 უილბრემი (14), 1:1 ეგიმენგი (29), 1:2 ანდერსენი (47), 2:2 ფრედინი (59)

**ბირმინგემი 2:0 უოტფორდი**

1:0 იდენი (45), 2:0 ჰიუზი (78)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფულემი | 35 | 24 | 7 | 4 | 73:25 | 79 |
| ბოლტონი | 35 | 19 | 10 | 6 | 58:34 | 67 |
| ბლექბერნი | 33 | 19 | 8 | 6 | 52:31 | 65 |
| ბირმინგემი | 32 | 19 | 5 | 8 | 47:32 | 62 |
| ვესტ ბრომვიჩი | 35 | 17 | 8 | 10 | 47:40 | 59 |
| შეფილდ იუნ. | 34 | 16 | 8 | 10 | 40:32 | 56 |
| პრესტონი | 34 | 17 | 5 | 12 | 46:41 | 56 |
| უოტფორდი | 34 | 16 | 6 | 12 | 56:49 | 54 |
| ნოტინგემი | 33 | 16 | 5 | 12 | 43:38 | 53 |
| ბარნლი | 33 | 14 | 6 | 13 | 34:40 | 48 |
| უიმბლდონი | 31 | 12 | 9 | 10 | 53:36 | 45 |
| ნორვიჩი | 35 | 11 | 10 | 14 | 34:41 | 43 |
| ბარნსლი | 35 | 11 | 8 | 16 | 36:43 | 41 |
| ვულვზი | 33 | 10 | 10 | 13 | 34:35 | 40 |
| ჯილინგემი | 34 | 9 | 12 | 13 | 43:47 | 39 |
| პორტსმუთი | 34 | 8 | 14 | 12 | 35:41 | 38 |
| კრ. პალასი | 34 | 9 | 10 | 15 | 46:52 | 37 |
| ქრიუ | 33 | 10 | 6 | 17 | 34:46 | 36 |
| გრიმსბი | 33 | 9 | 7 | 17 | 31:48 | 34 |
| სტოკპორტი | 35 | 6 | 15 | 14 | 44:59 | 33 |
| ქუინზ პარკი | 34 | 6 | 14 | 14 | 34:56 | 32 |
| უენსდი | 34 | 9 | 5 | 20 | 36:61 | 32 |
| ჰადერსფილდი | 33 | 7 | 10 | 16 | 34:43 | 31 |
| ტრანმერი | 32 | 8 | 6 | 18 | 32:52 | 30 |

## მეორე დივიზიონი

35-ე ტური: ბორნმუთი — ბრენტფორდი 2:0; ბრისტოლი — ოქსფორდი 0:0; ბერი — სუონსი 3:0; კემბრიჯი — ოლდემი 2:0; ლუთონი — როვერსი 0:0; მილუოლი — პიტერბრო 0:0; ნოთსი — უოლსოლი 2:0; რედინგი — როტერჰემი 2:0; სტოკი — კოლჩესტერი 3:1; უიგანი — სუინდონი 0:0; უიკომბი — პორტვეილი 0:1; რექსემი — ნორთჰემპტონი 3:0

## მესამე დივიზიონი

35-ე ტური: ბარნეტი — პლიმუთი 1:1; ბლექპული — კიდერმინსტერი 5:1; კარლაილი — დარლინგტონი 0:2; ჩელტენემი — ექსეტერი 1:0; ლეიტონი — ბრაიტონი 0:2; მაკლსფილდი — ჩესტერფილდი 1:2; მენსფილდი — ლინკოლნი 2:3; შრიუსბერი — ჰალიფაქსი 2:1; საუთენდი — როჩდეილი 3:0; ტორკი — სკანთორპი 0:2; იორკი — ჰარტლპული 1:1; კარდიფი — ჰალი 2:0

# არველაძე, ნახევარდაცვას მიხედე!

## გერმანია

### XXIV ტური

#### ვერდერი 3:1 ფრაიბურგი

1:0, 2:0, 3:0 პიზარო (23, 45, 51), 3:1 კობიაშვილი (68პ)
ვერდერი: როსტი, ფ. ბაუმანი, ვერლაატი, კრსტაიჩი, ფ. ერნსტი (ბანოვიჩი 69), ფრინგსი (ტიკუზუ 87), ბოდე, ა. ჰერცოგი, აილტონი, პიზარო (ლი 87)
მწვრთნელი: თომას შააფი
ფრაიბურგი: გოლცი, შ. მიულერი, კონდე, დიარა, ა. ცაიერი, კობიაშვილი, ვილი (დორნი 52), კულიბალი, ვ. ბუტი, ვაისჰაუპტი (ბაიბ 74), რამდანე
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
გაფრთხილება: აილტონი, კრსტაიჩი, მიულერი, კობიაშვილი
29 650 მაყურებელი

#### კიოლნი 1:0 ჰერტა

1:0 კულმანი (48)
კიოლნი: პრიოლი, კულმანი, ქივიორი, სიხონე, კელერი, შპრინგერი, კროიცი (შერცი 87), კურტი, ლოტნერი, ა. არველაძე (ბულაიჩი 82), ტიმი (ბარანეკი 90)
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
ჰერტა: კირალი, რემერი, მაასი (სვერისონი 62), ვან ბურიკი, ჰარტმანი, შმიდტი, ტრეჩოკი (დაეი 79), კონსტანტინიდისი (დარდაი 62), ალვეში, ვოში, პრეეცი
მწვრთნელი: იურგენ რიობერი
გაფრთხილება: სვერისონი
34 500 მაყურებელი

#### დორტმუნდი 6:1 აინტრახტი

1:0 ვიორნსი (30), 1:1 ჩენ-იანგი (48), 2:1, 3:1 რიკენი (64, 67), 4:1 ბობიჩი (71), 5:1 ადო (79), 6:1 ბობიჩი (90)
დორტმუნდი: ლაუქსი, ვიორნსი, ოლისე, კოლერი, ევანილსონი, ჰაინრიხი, დედე, როსიცკი (ადო 77), რიკენი (სორენსენი 90), რეინა (ნერლინგერი 46), ბობიჩი
მწვრთნელი: მათიას ზამერი
აინტრახტი: ჰაინენი, ბერნსტენი (ბინდევალდი 13), რადა, კრახტი, შური, მუტცელი (ვიმერი 70), პროისი, გებჰარდტი (კუჩერა 74), ჰელდტი, კრიჟალოვიჩი, ჩენ-იანგი
მწვრთნელი: როლფ დომენი
გაფრთხილება: ნერლინგერი, ადო, ოლისე, მუტცელი, ბინდევალდი
გაძევება: შური (26)
62 000 მაყურებელი

#### შალკე 0:1 ჰამბურგი

0:1 მეიერი (87)
შალკე: რეკი, ჰაიტო, ვალდოხი, ჰაჯე, კმეტჩი, ბიუსკენსი, ბიომე (მიკოლაიჩუკი 87), მიოლერი, ასამოა (ლატალი 80), სანდი (მულდერი 83), ე. მპენზა
მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი
ჰამბურგი: ჰ. ბუტი, ჰოოგმა (კინცი 46), ფიშერი, იუჟუალუში, ჰოლერბახი, ნ. კოვაჩი, ტოფტინგი, კარდოზო (ჰაინცი 82), მაჰდავიკია (ილმაზი 90), ბარბარესი, მეიერი
მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი
გაფრთხილება: კმეტჩი, სანდი, კოვაჩი, მეიერი, იუჟუალუში
37 421 მაყურებელი

#### ჰანზა 3:2 ბაიერნი

1:0 აგალი (29), 1:1 კუფური (33), 2:1 სალუ (51), 3:1 იაკობსონი (61), 3:2 იერემისი (66)
ჰანზა: ჰიკენჰაგენი, იაკობსონი, ლანცი, ბენკენი, ემარა, შრიოდერი, რიდლევიჩი (ოსვალდი 90), ვიბრანი, ბაუმგარტი, აგალი, სალუ (ცალმანი 84)
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
ბაიერნი: კანი, კუფური, იერემისი, ლინკე, სანიოლი, ფინკი (პაულო სერჟიო 69), ლიზარაზუ (ტარნატი 84), სალიჰამიჯიჩი (იანკერი 84), ეფენბერგი, შოლი, ელბერი
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: ლანცი, აგალი, ლიზარაზუ, ეფენბერგი, იერემისი, ელბერი
გაძევება: მიხაელ ჰენკე (78, ჰიცფელდის თანაშემწე), კანი (90)
20 500 მაყურებელი

#### კოტბუსი 0:2 კაიზერსლაუტერნი

0:1 ბასლერი (52პ), 0:2 ხრისტოვი (63)
კოტბუსი: პიპლიცა, შებოკი, ჰუჯუროვიჩი, ბეეკა, ტილმანი (მატიუში 85), აკპაროვიჩი (როდლუნდი 73), ლატუნდი, კობილანსკი, მირიუტა, ლაბაკი, მიჩესკი (ფრანკლინი 53)
მწვრთნელი: ედუარდ გაიერი
კაიზერსლაუტერნი: გ. კოხი, ბასლერი, რამზი, კლოსი, ხრისტოვი, ბიელიცა, რატინიო, შტრასერი, ბუკი (რაიხი 77), ლოკვენცი, კლოსე
მწვრთნელი: ანდრეას ბრემე
გაფრთხილება: მირიუტა, ჰუჯუროვიჩი, რამზი
გაძევება: კლოსე (86)
18 246 მაყურებელი

#### შტუტგარტი 2:1 ვოლფსბურგი

1:0, 2:0 ადემარი (2, 61), 2:1 რიზე (86)
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, თ. შნაიდერი, სოლდო, ბორდონი, ტიამი, მაისნერი (ტოდტი 46), ჯორჯევიჩი (მარკეში 90), ბლანკი, ბალაკოვი, ადემარი, განია (ზაიცი 46)
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, იფეიაგვა, შნური (ბილისკოვი 25), ჰენგენი, აკონორი, კუჰბაუერი, სებესკენი, მუნტიანუ (ს. მიულერი 65), ვაისერი, ტ. მარიჩი (რიზე 65)
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
გაფრთხილება: განია, მაისნერი, ადემარი, სოლდო, იფეიაგვა, აკონორი
15 000 მაყურებელი

#### მიუნხენი 1:0 ლევერკუზენი

1:0 შროტი (85)
მიუნხენი: იენჩი, ტ. ჰოფმანი, ვოტავა (ბაიერლე 64), რისეტი, ზელიჩი, ჩერნი, ტისი (ბაიროფკა 67), ბორიმიროვი, ჰქლერი (ელერსი 86), შროტი, მაქსი
მწვრთნელი: ვერნერ ლორანტი
ლევერკუზენი: მატიშეკი, ჟივკოვიჩი, ვრანიეში, რ. კოვაჩი, რამელო, ზე რობერტო, რეები, ბ. შნაიდერი (რინკე 86), ბალაკი, ნოივილი (ბრდარიჩი 76), კირსტენი
მწვრთნელი: ბერტი ფოგტსი
გაფრთხილება: კოვაჩი, ზე რობერტო, ბალაკი, რამელო, კირსტენი, ჩერნი
გაძევება: კირსტენი (62), ჩერნი (70)
21 500 მაყურებელი

#### უნტერჰახინგი 2:1 ბოხუმი

0:1 კრისტიანსენი (27), 1:1 შტრაუბე (37), 2:1 ბრაიტენრაიტერი (85)
უნტერჰახინგი: ტრემელი, შტრემელი, ჰ. ჰერცოგი, ზაიფერტი, ჰაბერი (ჩიჟეკი 61), ციმერმანი, დ. შვარცი (აპინფუფი 74), შტრაუბე, ობერლაიტნერი, რაკლი (ბრაიტენრაიტერი 46), შმაზაკი
მწვრთნელი: გიუნტერ ლორანც კოისტნერი
ბოხუმი: ვან დუინოვენი, სუნდერმანი (ფარენჰორსტი 34), შტიკროტი (მამიჩი 22), მილინოვიჩი, შინდცილორცი, კოლდინგი, მანდრეკო, ბასტურკი, ბუშელი (ბემბენი 63), კრისტიანსენი, მ. მარიჩი
მწვრთნელი: როლფ შაფშტალი
გაფრთხილება: შვარცი, მილინოვიჩი, მარიჩი, ბასტურკი
გაძევება: ბასტურკი (60), ფარენჰორსტი (89)
9 000 მაყურებელი



ჰანზა — ბაიერნი 3:2.
მიუნხენელთა მეკარე ოლივერ კანი წითელი ბარათით დააშოშმინეს

**„ბაიერნმა“** წააგო, „შალკემ“ წააგო, „ლევერკუზენიც“ უქულოდ დარჩა, დორტმუნდის „ბორუსიამ“ კი შინ „აინტრახტი“ დასცა და სატურნირო ცხრილის სათავეში მოექცა.

ბოლო ტურებია, ბუნდესლიგაში საოცრებები ხდება. 11 თებერვლის მერე სამი ტური ჩატარდა, რომლებშიც „ბაიერნმა“ სულ ერთი ქულა აიღო, „შალკეც“ ერთ ქულას გამორჩა, „ლევერკუზენმა“ კი ესეც ვერ მოახერხა — ზედიზედ სამჯერ დამარცხდა. აი, „დორტმუნდმა“ კი იყოჩაღა და ზემოთაც გითხარით, ახლა პირველია.

პარასკევს, ტურის პირველ მატჩში, მათიას ზამერის შეგირდებმა „აინტრახტს“ უმასპინძლეს. მიუხედავად იმისა, რომ პირველი ტაიმის შუაგულში სტუმრებს შური გაუძევეს, 64-ე წუთამდე ანგარიში 1:1 გახლდათ. მერე კი დორტმუნდელებს, ეტყობა, გაახსენდათ, რომ გამარჯვების შემთხვევაში ცხრილში „ბაიერნს“ ჩაენაცვლებოდნენ და „აინტრახტს“ განკითხვის დღე მოუწყვეს. რიკენისა და ბობიჩის წყვილ გოლებს ადომ ერთიც დაუმატა და 6:1-იც გამოცხვა.

„64-ე წუთამდე ისე საზიზღრად ვითამაშეთ, გავიფიქრე კიდეც, ნუთუ ეს გუნდი ჩემპიონობისთვის იბრძვის-მეთქი. მერე კი დიდებულად გამოვიყურებოდით“ — თქვა ნამატჩევს „დორტმუნდის“ თავკაცმა მათიას ზამერმა.

დაძაბული, საინტერესო და თვალსასეირო — ასეთი გამოდგა „ჰანზასა“ და „ბაიერნის“ შეხვედრა, რომელიც მოულოდნელად მასპინძლებმა მოიგეს. მიუნხენელებმა თავიდანვე შეუტიეს, მაგრამ 33-ე წუთამდე სახეირო ვერაფერი შექმნეს. მერე შოლმა ჯარიმიდან ჩააწოდა, კუფური ყველაზე მაღლა ახტა და თავით შეაგდო. ეს იყო პასუხი აგალის გოლისა, რომელიც სამი წუთით ადრე გავიდა და მთლიანად ლიბეროდ მოთამაშე იენს იერემისის სინდისზე გახლდათ, რომელმაც ნიგერიელს ბურთი აჩუქა და კანს პირისპირ შეატოვა. კანმა ვერ იკანა და ანგარიში 29-ე წუთზე გაიხსნა. იერემისმა პირველ ტაიმში დაშვებული შეცდომა შესვენების მერე გამოასწორა, როცა დიდებული დრიბლინგი გოლით დააგვირგვინა, თუმცა 66-ე წუთზე მისმა გოლმა მხოლოდ სხვაობა შეამცირა — 2:3. მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, სალუმ ლინკე, კუფური და კანი რომ გაამასხარავა და 2:1 გახადა, მერე იაკობსონმა თავით მესამეც გაიტანა.

განერვიულებული „ბაიერნი“ ბოლო წუთებზე შტურმზე გადავიდა. კანმა საკუთარი კარიც მიატოვა, მეტოქის საჯარიმოს მიაკითხა და ცუდი დღე დაადგა — კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი მასპინძელთა კარში ხელით შეაგდო, თანაც მეორე გაფრთხილების გამო მინდვრის დატოვებამაც მოუწია. „ჰანზამ“ „ბაიერნი“ წლეულს შინაც დაამარცხა და მიუნხენშიც (1:0).

„მეორე ნახევარში თამაშს ველარ ვაკონტროლებდით, ამიტომაც წავაგეთ“ — ასე იმართლა თავი „ბაიერნის“ მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა.

გელზენკირხენში „შალკე“ „ჰამბურგს“ მასპინძლობდა და დიდ ტერიტორიულ უპირატესობასაც ფლობდა, თუმცა ეს მოსაგებად კი არა, ფრისთვისაც არ აღმოჩნდა საკმარისი. მატჩის დასრულებას სულ სამი წუთი აკლდა, როცა „ჰამბურგმა“ სწრაფი კონტრშეტევა განახორციელა, მარეკ ჰაინცმა ერიკ მეიერს არ დაამადლა ბურთი და ამანაც ერთადერთი გოლი შეაგდო.

„ბიჭებს ვერაფერს ვუსაყვედურებ, როგორც შეეძლოთ, იბრძოლეს, იომეს, იოლად მეტოქეს ერთ გოჯს არ უთმობდნენ, მაგრამ შანსი ვერ გამოვიყენეთ“ — თქვა ნამატჩევს ჰოლანდიელმა ჰუუბ სტევენსმა, ვისი ხელმძღვანელობითაც „შალკეს“ 1997 წელს უეფას თასი მოუგია.

„არა, ეს კრიზისი არ არის. კარგი, თუ ჩვენ კრიზისი გვაქვს, „ბაიერნს“ და „შალკეს“ რაღა ჭირთ?“ — ასეთი იყო ლევერკუზენელი მეგოლის ულფ კირსტენის პასუხი ჟურნალისტის კითხვაზე.

ბერტი ფოგტსის მისამართით კლუბის ხელმძღვანელობამ პირველად გამოთქვა წყენა, ალბათ სამართლიანიც, რაკილა „ლევერკუზენს“ ბოლო სამ მატჩში ქულაც ვერ მიუთვლია. ფოგტსის შეგირდები ამჯერად სტუმრად „მიუნხენ 1860“-თან დამარცხდნენ. ნოვოტნის, ლუსიოს და პლასენტეს გარეშე ლევერკუზენელებს ძალიან გაუჭირდათ. მასპინძლები მატიშეკს ხშირად აწუხებდნენ, მაგრამ მიზანს ერთხელ, 85-ე წუთზე მიაღწიეს, როცა ორივე გუნდი ათი კაცით იყო მინდორზე. კირსტენი მსაჯმა უხეშობის გამო ორჯერ გააფრთხილა, ჩერნის კი ხელით თამაში არ აპატია.

„ფრაიბურგის“ შემადგენლობაში „ვერდერთან“ მხოლოდ ერთი ქართველი იყო, ლევან კობიაშვილი. იაშვილს და ცქიტიშვილს ტრავმები ჰქონდათ. ბრემენში მატჩის გმირი კლაუდიო პიზარო გახდა, რომელმაც, ზოგიერთ სააგენტოს თუ დავუჯერებთ, ჰეთ თრიქი შეასრულა, ზოგიერთის მტკიცებით კი დუბლი. ამ სააგენტოებმა ერთი გოლი კობიაშვილს ავტოგოლად მიაწერეს. ასეა თუ ისე, 51-ე წუთზე „ვერდერი“ 3:0-ს იგებდა. საბოლოო ანგარიში კობიაშვილმა დააფიქსირა, რომელმაც დორნის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გამოიყენა. მან ერთხელაც „იყოჩაღა“, როცა მეხუთე გაფრთხილება მიიღო და შემდეგ ტურში ვერ ითამაშებს.

#### ემპოლი 0:0 სამპდორია

#### კროტონე 2:2 ვენეცია

1:0 ჯამბა (14), 1:1 მაინი (28), 2:1 დეფლორიო (42), 2:2 დი ნაპოლი (69პ)

#### კალიარი 0:0 პიაჩენცა

#### ანკონა 3:1 კოზენცა

1:0 მ. ვიერი (8), 1:1 ძამპანა (48), 2:1 პარენტე (65პ), 3:1 ალბინო (81)

#### ჩიტადელა — კიევო

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიევო | 24 | 15 | 5 | 4 | 37:20 | 50 |
| პიაჩენცა | 25 | 13 | 6 | 6 | 31:16 | 45 |
| ვენეცია | 25 | 11 | 10 | 4 | 39:29 | 43 |
| ტორინო | 25 | 13 | 4 | 8 | 30:26 | 43 |
| ტერნანა | 25 | 11 | 9 | 5 | 39:25 | 42 |
| კოზენცა | 25 | 12 | 6 | 7 | 30:26 | 42 |
| სამპდორია | 25 | 10 | 11 | 4 | 35:22 | 41 |
| კროტონე | 25 | 11 | 5 | 9 | 34:36 | 38 |
| კალიარი | 25 | 9 | 10 | 6 | 37:24 | 37 |
| ანკონა | 25 | 10 | 6 | 9 | 31:29 | 36 |
| ემპოლი | 25 | 10 | 5 | 10 | 27:30 | 35 |
| სიენა | 25 | 7 | 10 | 8 | 29:31 | 31 |
| ჩიტადელა | 24 | 7 | 9 | 8 | 29:36 | 30 |
| სალერნიტანა | 25 | 7 | 8 | 10 | 23:25 | 29 |
| პისტოიეზე | 25 | 7 | 6 | 12 | 31:35 | 27 |
| ჯენოა | 25 | 5 | 10 | 10 | 24:30 | 25 |
| ტრევიზო | 25 | 5 | 8 | 12 | 25:36 | 23 |
| პესკარა | 25 | 3 | 10 | 12 | 21:33 | 19 |
| მონცა | 25 | 5 | 3 | 17 | 26:52 | 18 |
| რავენა | 25 | 2 | 11 | 12 | 21:38 | 17 |

## სერია C1/A

25-ე ტური: ალბინოლეფე — ბრეშელო 0:1; ალესანდრია — ლეკო 1:1; ალძანო — ჩეზენა 1:1; კარარეზე — ლუმეცანე 0:2; კომო — სპალ 2:0; ლივორნო — სპეცია 0:0; ლუკეზე — პიზა 0:1; ვარეზე — მოდენა 1:2. რეჯანა — არეცო წუხელ გვიან გაიმართა

## სერია C1/B

25-ე ტური: აველინო — აკილა 1:2; ბენევენტო — პესარო 1:0; დი სანგრო — ჯულიანოვა 2:2; კატანია — პალერმო 1:1; ფერმანა — ლოდიჯანი 4:1; ფ. ანდრია — ტორესი 1:1; მესინა — ასკოლი 1:0; სავოია — ნოჩერინა 1:3; ვიტერბეზე — ატლეტიკო 1:1

იტალიის ჩემპიონატი
ოცდამეერთე ტურის მატჩი

## მილანი 2:2 პარმა

კახა კალაძე: 90 წუთი

# გაბრაზდი, ძაკ!

**დავიწყოთ** იმით, რაც ყველაზე მეტად გვაინტერესებს: „მილანისა“ და „პარმას“ შეხვედრაში კახა კალაძის თამაში 6 ქულით შეაფასეს. შევადაროთ სხვებს: აბიატის, მალდინის, სერჟინიოს და გულის 6,5 ქულა ერგოთ, ბობანს 7 დაუწერეს, ხოლო სათადარიგო მეკარე როსის, შევჩენკოს და მწვრთნელს, ალბერტო ძაკერონის, კალაძის მსგავსად 6.

შეხვედრა, მოგეხსენებათ, „მილანისთვის“ არასასურველი შედეგით, ფრედ, 2:2 დასრულდა. თანაც მოწინააღმდეგე ტაიმნახევრის განმავლობაში თერთმეტს ათი კაცით ებრძოდა.

მატჩის შემდეგ მილანელთა მწვრთნელმა ალბერტო ძაკერონიმ განაცხადა: „ჩემი გუნდით კმაყოფილი დავრჩი, რადგან შევნიშნე, წინა შეხვედრებთან შედარებით ბევრი რამ გამოსწორებულა. აქ, როგორც ინდივიდუალურ, ასევე კოლექტიურ თამაშს ვგულისხმობ. მინდა ხაზი გავუსვა, რომ ბიჭებმა თავდადებითაც გამახარეს. ყველაფერზე მთავარი ხომ თავდადებაა. აქ იმას კი არ ვგულისხმობ, რომ მათ უმცირესობაში დარჩენილი მეტოქის წელში გატეხვა სცადეს, საერთოდ, ზოგადად ვამბობ. გვქონდა საგოლე მომენტებიც. ხომ გახსოვთ, სალამ ძელსაც გაარტყა ბურთი. მეორე ტაიმში ნახევარდაცვამ გაცილებით უკეთ ითამაშა, ვიდრე პირველში და საერთოდ, ვფიქრობ, გამარჯვებას ვიმსახურებდით. „პარმამ“ კარში სულ ორჯერ დაარტყა და ორჯერვე გაიტანა, ჩვენ კი მესამე ბურთი ვერაფრით შევაგდეთ. გარდა ამისა, “პარმამ“ თითებზე ჩამოსათვლელი მომენტები რომ შექმნა, განა ჩვენი დამსახურება არ არის?“

შემდეგ ძაკერონიმ აღშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ ამოროზოს გოლი პარმელებმა თამაშგარედან გაიტანეს: „მან ბურთი რომ მიიღო, სამი ფეხბურთელი ოფსაიდში იდგა. ჩემპიონატი კი გადამწყვეტ სტადიაში შედის, თითოეულ ქულას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება...“

ზემოთ მოგახსენეთ, რომ მილანელთაგან ყველაზე მაღალი შეფასება ხორვატმა ზვონიმირ ბობანმა მიიღო.

„თამაშის თვალსაზრისით ყველაფერი კარგად გავაკეთეთ. თუ დაშავებული ფეხბურთელების რაოდენობას გავითვალისწინებთ, ძნელი დასაჯერებელი კია, რომ ასეთი ხარისხიანი ფეხბურთი შევთავაზეთ მოწინააღმდეგეს. მსაჯმაც დაუშვა შეცდომები, მაგრამ ეს ჩვეულებრივი ამბავია. ხან ჩვენს სასარგებლოდ ცდებიან, ხანაც საწინააღმდეგოდ. ამჯერად მსაჯი ჩვენს საწინააღმდეგოდ შეცდა“ — განაცხადა გამოცდილმა მილანელმა.

**ბაჩუნა ძიძია**




კალაძემ (№13) და მილანელებმა გულის (№24) გოლით გაიხარეს

## საბერძნეთი

21-ე ტური: ოლიმპიაკოსი — პანათინაიკოსი 1:0; კალამატა — იონიკოსი 2:1; ქსანტი — ოფი 3:2; პაოკ — პანილიაკოსი 3:2; პანიონიოსი — ათინაიკოსი 1:0; იანინა — ეთნიკოსი 0:0; ირაკლისი — არისი 1:2; პანაჰაიკ — აეკ 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 21 | 18 | 2 | 1 | 61:15 | 56 |
| პანათინაიკოსი | 21 | 13 | 5 | 3 | 35:11 | 44 |
| პაოკ | 21 | 11 | 7 | 3 | 46:31 | 40 |
| აეკ | 21 | 12 | 3 | 6 | 39:27 | 39 |
| ირაკლისი | 21 | 11 | 3 | 7 | 34:26 | 36 |
| არისი | 21 | 10 | 4 | 7 | 24:22 | 34 |
| იონიკოსი | 21 | 8 | 7 | 6 | 32:30 | 31 |
| ქსანტი | 21 | 9 | 4 | 8 | 17:20 | 31 |
| პანიონიოსი | 21 | 5 | 10 | 6 | 25:28 | 25 |
| იანინა | 21 | 6 | 6 | 9 | 27:35 | 24 |
| ეთნიკოსი | 21 | 6 | 4 | 11 | 21:38 | 22 |
| პანაჰაიკი | 21 | 5 | 5 | 11 | 24:35 | 20 |
| კალამატა | 21 | 3 | 8 | 10 | 28:42 | 17 |
| ათინაიკოსი | 21 | 4 | 4 | 13 | 27:42 | 16 |
| პანილიაკოსი | 21 | 3 | 7 | 11 | 17:34 | 16 |
| ოფი | 21 | 1 | 7 | 13 | 19:40 | 10 |

## ჩეხეთი

მე-17 ტური: სიგმა — ბრნო 3:0; ბანიკი — ბუდეიოვიცე 2:0; ბოჰემიანსი — დრნოვიცე 0:3; პლზენი — სინოტი 1:0; პრჟიბრამი — ბლშანი 3:0; ტეპლიცე — ჟიჟკოვი 1:2; ლიბერეცი — სლავია 1:1; სპარტა — იაბლონეცი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 18 | 15 | 1 | 2 | 45:14 | 46 |
| სიგმა | 18 | 9 | 6 | 3 | 34:17 | 33 |
| პრჟიბრამი | 18 | 9 | 4 | 5 | 29:19 | 31 |
| ჟიჟკოვი | 18 | 8 | 5 | 5 | 29:27 | 29 |
| ლიბერეცი | 18 | 8 | 4 | 6 | 28:24 | 28 |
| ტეპლიცე | 17 | 8 | 3 | 6 | 29:20 | 27 |
| სინოტი | 18 | 6 | 7 | 5 | 25:21 | 25 |
| სლავია | 17 | 6 | 7 | 4 | 23:20 | 25 |
| დრნოვიცე | 18 | 6 | 5 | 7 | 19:20 | 23 |
| ბოჰემიანსი | 18 | 5 | 7 | 6 | 24:26 | 22 |
| იაბლონეცი | 18 | 4 | 7 | 7 | 16:26 | 19 |
| ბანიკი | 18 | 4 | 7 | 7 | 18:30 | 19 |
| ბრნო | 18 | 5 | 2 | 11 | 16:25 | 17 |
| ბლშანი | 18 | 4 | 5 | 9 | 16:25 | 17 |
| ბუდეიოვიცე | 18 | 3 | 6 | 9 | 22:37 | 15 |
| პლზენი | 18 | 2 | 6 | 10 | 15:37 | 12 |



REUTERS ფოტო

ლილი — მარსელი 1:0.
მარსელელმა ლუკა ბერნარდიმ ფერნარდო დამიკოს ხელები აიწევინა

# ტულუზიდან ტულუზამდე

## საფრანგეთი

XXVIII ტური

**რენი 0:2 ნანტი**
0:1 ფაბრი (56), 0:2 ვაირუა (90)

**ლიონი 2:1 ბორდო**
0:1 ვერნელი (5), 1:1 მარლე (48), 2:1 ს. ანდერსონი (81)

**ლილი 1:0 მარსელი**
1:0 მეირუ (23)

**ოსერი 1:0 მონაკო**
1:0 ჟ. სისე (15)

**სედანი 2:2 ლანსი**
0:1 საკო (10), 1:1 კენი (50), 2:1 მიონე (62), 2:2 კორიდონი (82)

**მეცი 3:0 სენტ ეტიენი**
1:0 ქაპარტერო (4), 2:0, 3:0 ჟაგერი (77, 82)

**პარი სენ ჟერმენი 3:0 ტულუზი**
1:0 ოკოჩა (65), 2:0 ლ. ლერუა (76), 3:0 ანელკა (86)

**სტრასბური 0:1 გენგამი**
0:1 ისმაელი (73პ.კ.)

**ბასტია 2:2 ტრუა**
1:0 ლაშუერი (2), 2:0 ანდრე (83), 2:1, 2:2 საიფი (10, 27)

**საფრანგეთის** ჩემპიონატის დასრულებამდე ექვსი ტურიღა დარჩა და ოქროს მედლებისთვის ჯერ მაინც ხუთი გუნდი აგრძელებს ბრძოლას. ამ უქმეებზე ლიდერებმა თავიანთი მატჩები მოიგეს და რადგან „ბორდომ“ და „სედანმა“ ქულები დაკარგეს, მდევრებთან სხვაობა ცოტათი გაზარდეს. თუმცა გადაჭრით თქმა, რომ პირველობას ან „ლილი“ დაინარჩუნებს და ან „ნანტი“ მოიპოვებს, ჯერჯერობით მაინც ნაადრევია, რადგან ოთხი ქულა უსაშველოდ ბევრი ნაღდად არაა.

ლილში გამართული შეხვედრა საგოლე მომენტებით გადატვირთული იყო, თუმცა გოლი მხოლოდ ერთი გავიდა. „მარსელმა“ უკეთ დაიწყო და ტერიტორიული უპირატესობაც მოიპოვა. მე-17 წუთზე ფლორიან მორისი სიგენმა თავის მეკარესთან გაიყვანა პირისპირ, მაგრამ მარსელელთა თავდამსხმელმა გრეგორი ვიმბეს ვერ აჯობა. რამდენიმე წუთში უკვე სტუმართა მცველი შეცდა. მიურატის უხეირობით ბრუნო შეირუმ ისარგებლა და დაახლოებით 20 მეტრიდან ანგარიშიც გახსნა.

ამის მერე მასპინძლებმა უკან დაიხიეს და ძირითადად საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე დაიწყეს ზრუნვა, ოღონდ კინაღამ დაისაჯნენ. 39-ე წუთზე ისევ მათი კაპიტანი სიგენი შეცდა და ვიმბესთან პირისპირ ახლა მორისის მეწყვილე სკორო დარჩა, მაგრამ ჩრდილოელთა კარის დარაჯმა კვლავ იმარჯვა.

მეორე ტაიმი მასპინძლებმა უკეთ დაიწყეს და ზედიზედ ორი სახიფათო მომენტიც შექმნეს. ჯერ სტერიოვსკის დარტყმის შემდეგ მოხვდა ბურთი ძელს, წუთში კი ბაკარის გრეგორინისთან („მარსელის“ მეკარე) შეყრა დამთავრდა ამ უკანასკნელის სასარგებლოდ. სტუმრებმა ნელ-ნელა შეძლეს უპირატესობის დაბრუნება. მათმა ესპანელმა თავკაცმა ხავიერ კლემენტემ თამაშში ჟორჟ ვეა და იბრაიმ ბაკაიოკო ჩართო, მაგრამ „ოლიმპიკის“ შეტევებს ორგანიზებულობა აკლდა. „ლილი“ მხოლოდ კონტრიერიშებზე ფიქრობდა და ორჯერ ბაკარის შეეძლო ანგარიშში სხვაობის გაზრდა, მაგრამ ორივეჯერ გრეგორინიმ იყოჩაღა. მსაჯის მიერ წამატებულ დროში კი ბაკაიოკომ და ვეამ ვერ გაიტანეს და ზღვისპირელებიც შინ უქულოდ გაბრუნდნენ.

რენში „ლორიანის გზის“ სტადიონზე „ნანტმა“ მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა. ორ გუნდს შორის კლასში საკმაოდ დიდი სხვაობა გამოჩნდა და სტუმრებმა, ბოლო სამი წლის ტრადიციისამებრ, დაჩაგრეს რენელები. არადა, მასპინძლებმა რიხით დაიწყეს და ლამის მთელ მოედანზე პრესინგს მიმართეს. „ნანტმა“ მეტოქე ნებაზე მიუშვა, თავიდან თავი არ გამოიდო და როცა „რენს“ პირველმა გაფთრებამ გადაუარა, თამაშის სადავეებიც მყის ხელთ იგდო. მეათე წუთიდან მოყოლებული უკვე ბერნარ ლამას კართან იქმნებოდა სახიფათო მომენტები და მოლდოვანსა და მონტერუბიოს რამდენჯერმე მართებდათ გატანა. მასპინძლებიც ცდილობდნენ მწვავედ შეტევას, მაგრამ მათ წინა ხაზზე ოდენ ლუკაში გაემწესებინათ, მას კი იოლად იჭერდნენ ნანტელები.

მეორე ტაიმის დასაწყისში ლუკაშმა გურვენეკთან გაითამაშა კომბინაცია, რომელიც ყველაზე დიდი საფრთხე იყო ლანდროს კართან, მაგრამ სტუმართა კაპიტანმა გოლი არ გაუშვა. აქედან მოყოლებული კი მინდორზე, ფაქტობრივად, ერთი გუნდიღა იყო — „ნანტი“, რომელსაც ყველაფერი გამოსდიოდა. 57-ე წუთზე, ლასპალის მიერ შესრულებული საჯარიმო დარტყმის შემდეგ, ანგარიში ნესტორ ფაბრიმ გახსნა თავურით. გოლის შემდეგ სტუმრებმა თამაშის ტემპი დააგდეს და დაელოდნენ, სანამ მეტოქე დაცვას მოაშიშვლებდა. თუმცა „რენს“ შეტევის თავი სულაც არ ჰქონდა და მატჩი მშვიდად მიექანებოდა დასასრულისკენ, როცა და როშას პასით მონტერუბიოს შემცვლელმა ვაირუამ მეორედ დაამწუხრა ლამა.

„სედანმა“ ძვირფასი ორი ქულა დაკარგა შინ „ლანსთან“. ანგარიში საკომ გახსნა, რომელმაც მის შესახვედრად გამოსულ და ფეხებში ჩავარდნილ საშის ბურთი ზედ გადაატარა. მასპინძლებს ანგარიშის გათანაბრება პირველ ტაიმშივე შეეძლოთ, მაგრამ ჯერ ნდიაიმ ვერ აჯობა „ლანსის“ მეკარე ვარმიუზს, მერე კი მსაჯმა „ვერ შენიშნა“ კედრიკუს რომ ბურთი ხელზე მოხვდა და სტუმართა კარში პენალტი არ დანიშნა. ამის გარდა, მასპინძლებმა ვერაფერი მოახერხეს მოწინააღმდეგის ხისტად და ზუსტად მოთამაშე მცველებთან და მეორე ტაიმის იმედად დარჩნენ.

შესვენების შემდეგ სიტუაცია სრულიად შეიცვალა. ჯერ იყო და კენმა ნდიეფს გარჯა წყალში არ ჩაუყარა, შემდეგ კი, მბამიმ — ნდიეფი — მიონეს მიონეს კომბინაცია დაგვიგვირდა გოლით.. თუმცა „ლანსმა“ მაინც შეძლო ქულის გადარჩენა, როცა მეტოქის საჯარიმოში შექმნილი არეულობით კორიდონმა ისარგებლა.

როგორც იქნა, გაიხარა „პარკ დე პრენსზე“ თავმოყრილმა „პარი სენ ჟერმენის“ ფანობამ. თუმცა პსჟ შესვენებაზე მაინც სტვენით გააცილეს და 64-ე წუთზე შეცვლაზე გამოსული ჯეი-ჯეი ოკოჩა რომ არა, არც მატჩის ბოლოს ელოდა სხვა ხვედრი. ნიგერიელმა ზუსტად ერთ წუთში „ტულუზის“ მეკარე ფაბიენ ოდარს ოცდაათიოდე მეტრიდან აულებელი დაურტყა და მერეც საუკეთესო იყო მინდორზე. მეორე გოლშიც დაიდო წვლილი ოკოჩამ. მისი ქუსლური პასის შემდეგ ალი ბენარბიამ უკან დაუგორა ბურთი ლორან ლერუას, რომელმაც ოდარი „დახვრიტა“. მატჩის ბოლოს კი ნიკოლა ანელკამაც გაიხსენა, რომ თავდამსხმელის მოვალეობა გოლის გატანაა და... ზედიზედ სამი მარცხის შემდეგ პსჟ-მ როგორც იქნა, გაიმარჯვა. თანაც საინტერესოა, რომ პარიზელებს ერთ გოლზე მეტი ჩემპიონატის მატჩებში ოქტომბრის მერე აღარ გაეტანათ. მაშინ მათ ტულუზში გაიმარჯვეს 3:2.

**ბაგი ბურული**

## ბომბარდირები

| | |
|---|---|
| სონი ანდერსონი (ლიონი) | 14 |
| ვიქტორ ბონილია (ტულუზი) | 14 |
| პედრო პაულეტა (ბორდო) | 14 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლილი | 28 | 14 | 8 | 6 | 33:19 | 50 |
| ნანტი | 28 | 15 | 5 | 8 | 45:33 | 50 |
| სედანი | 28 | 13 | 8 | 7 | 38:27 | 47 |
| ლიონი | 28 | 11 | 13 | 4 | 39:25 | 46 |
| ბორდო | 28 | 12 | 10 | 6 | 38:25 | 46 |
| ტრუა | 28 | 11 | 9 | 8 | 39:39 | 42 |
| გენგამი | 28 | 11 | 8 | 9 | 33:32 | 41 |
| ოსერი | 28 | 11 | 7 | 10 | 30:31 | 40 |
| ბასტია | 28 | 11 | 6 | 11 | 35:32 | 39 |
| რენი | 28 | 11 | 6 | 11 | 33:30 | 39 |
| პარი სენ ჟერმენი | 28 | 10 | 6 | 12 | 36:37 | 36 |
| მონაკო | 28 | 10 | 5 | 13 | 41:39 | 35 |
| ლანსი | 28 | 8 | 9 | 11 | 30:31 | 33 |
| მარსელი | 28 | 9 | 5 | 14 | 26:34 | 32 |
| სენტ ეტიენი | 28 | 8 | 7 | 13 | 35:46 | 31 |
| მეცი | 27 | 7 | 9 | 11 | 27:38 | 30 |
| ტულუზი | 28 | 5 | 10 | 13 | 26:39 | 25 |
| სტრასბური | 27 | 5 | 7 | 15 | 24:51 | 22 |

## II დივიზიონი

30-ე ტური: აიაჩო — კრეტეი 0:0; ანჟერი — ნანსი 1:2; კაენი — ნიმი 2:2; კანი — გენიონი 0:1; შატორუ — ბოვე 3:0; ლე მანი — ვალკუალი 0:0; მარტიგი — ლავალი 1:3; მონპელიე — ლე ავრი 1:0; ნიორი — ნიცა 2:2; სოშო — ლორიანი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოშო | 30 | 17 | 9 | 4 | 51:20 | 60 |
| მონპელიე | 30 | 15 | 12 | 3 | 39:19 | 57 |
| ლორიანი | 30 | 15 | 10 | 5 | 42:26 | 55 |
| ნანსი | 29 | 14 | 7 | 8 | 41:22 | 49 |
| ლავალი | 30 | 14 | 7 | 9 | 35:29 | 49 |
| ნიორი | 30 | 12 | 12 | 6 | 46:32 | 48 |
| შატორუ | 28 | 10 | 11 | 7 | 35:26 | 41 |
| ნიმი | 30 | 10 | 10 | 10 | 41:42 | 40 |
| ლე ავრი | 29 | 8 | 13 | 8 | 35:34 | 37 |
| გენიონი | 29 | 9 | 9 | 11 | 28:36 | 36 |
| ბოვე | 29 | 8 | 11 | 10 | 29:33 | 35 |
| ლე მანი | 30 | 7 | 14 | 9 | 29:34 | 35 |
| აიაჩო | 30 | 9 | 8 | 13 | 22:30 | 35 |
| კრეტეი | 30 | 8 | 10 | 12 | 28:32 | 34 |
| ვასკეალი | 30 | 8 | 10 | 12 | 28:32 | 34 |
| ნიცა | 30 | 10 | 4 | 16 | 31:44 | 34 |
| კაენი | 30 | 8 | 9 | 13 | 29:45 | 33 |
| მარტიგი | 30 | 6 | 13 | 11 | 25:38 | 31 |
| კანი | 30 | 6 | 10 | 14 | 34:49 | 28 |
| ანჟერი | 30 | 4 | 9 | 17 | 27:52 | 21 |

## ლიგის თასი

ნახევარფინალის წილისყრა
ლიონი — ტრუა ან ნანტი; მონაკო — ნიორი (II)
მატჩები გაიმართება 10-11 აპრილს, „ტრუა“ — „ნანტი“ 13 მარტს.

# მიეცით სანჩისს ასი

CHAMPIONS LEAGUE

## დღეს ჩემპიონთა ლიგა. II ეტაპი. V ტური

### C ჯგუფი

#### არსენალი — სპარტაკი

„სატურნირო ვითარება ორივე დარჩენილ მატჩში გამარჯვებას გვაიძულებს. ცხადია, „არსენალიც" მხოლოდ სამი ქულისთვის იბრძოლებს. ამიტომაც, ურთულესი, დაძაბული და საინტერესო თამაში გველის" — განაცხადა „სპარტაკის" მწვრთნელმა ოლეგ რომანცევმა. ის დღესაც სიამოვნებით იგონებს ცხრამეტი წლის წინანდელ ამბავს, როცა მოსკოველებმა „ჰაიბერიზე" 5:2 მოიგეს. „მაშინ გუნდის კაპიტანი ვიყავი. ასეთ წაგებას მასპინძლები არ იმსახურებდნენ, მაგრამ ჩვენ ყველაფერი გამოგვდიოდა, წარმოიდგინეთ, როცა მეხუთე გავიტანეთ, ლონდონელთა კაპიტანმაც კი დაგვიკრა ტაში. ასეთი რამ არასოდეს მინახავს"...

ორი დღის წინ ლონდონში ჩამოუთოვია, თუმცა „მოსკოვური ამინდის" იმედი სპარტაკელებს არ უნდა ჰქონოდათ. სამი მეტრიც რომ დადოს, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, „ჰაიბერის" ხასხასა მინდორს არაფერი შეეტყობა.

„დეილი მეილი" წერს, რომ მეთოფეთა დამრიგებელ არსენ ვენგერს კარგად ახსოვს ნოემბრის მოსკოვური სირცხვილი — 1:4 რუსთა სახალხო გუნდისგან — და აღნიშნავს, რომ „სპარტაკი" საუკეთესო იყო იმათგან, ვისაც წლეულს ვეთამაშეთო. ძნელი სათქმელია, რამდენად გულწრფელია ფრანგი, მაგრამ რუსებს რომ „დაბალ ლობედ" არ მიიჩნევს, ცხადია.

ალბათ, ვენგერს თავისი ბიჭების მოსამართად ზედმეტი ლაპარაკი აღარ დასჭირდება. „მანჩესტერთან" 1:6 განადგურების შემდეგ მეთოფეებმა სილვენ ვილტორდის ჰეთ თრიქით „ვესტ ჰემს" 3:0 მოუგეს. „მატჩამდე ვამბობდით: ამ ერთი კვირის მანძილზე სამი თამაში უნდა მოვიგოთ — „ვესტ ჰემთან", რათა მომავალ ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი ადგილი გავიმყაროთ, „სპარტაკთან", წლევანდელ ლიგაში თამაში რომ გავაგრძელოთ და თასის ნახევარფინალში „ბლექბერთან" ან „ბოლტონთან". თუ ეს ვერ მოვახერხეთ, გამოდის სეზონი კარგად ვერ ჩაგვიტარებია" — ამბობს დენის ბერხკამპი.

„ვესტ ჰემთან" მატჩში ტიერი ანრიმ შეცვლაზე ითამაშა, თუმცა, „სპარტაკთან" სასტარტოში იქნება. ვენგერის განმარტებით, ანრი გადაღლილია და დასვენება სჭირდება, თუმცა მოსკოველებთან ძალიან დიდი როლი დაეკისრება.

ჩინებულ ფორმაშია ბერხკამპი. ის, ალბათ, თავდამსხმელების უკან დაიკავებს ადგილს, წინ კი ფრანგები ანრი და ვილტორდი გაირჯებიან. ვიეირა კი, რომელიც ბოლო დროს სტაბილურად და გონივრულად თამაშობს, რუსთა ლიდერის ეგორ ტიტოვის გაუვნებლობას შეეცდება.

„სპარტაკს" დისკვალიფიცირებული ანანკო არ ეყოლება. რომანცევის თქმით, დაცვის ცენტრში ანანკოს ადგილი, შესაძლოა, მიტრესკი — პარფიონოვის წყვილმა დაიკავოს. ვერ ითამაშებს ალექსანდრ შირკოც, რომელიც გერმანიაში მკურნალობდა და ფიზიკური ფორმა ჯერაც ვერ აღუდგენია.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**არსენალი:** სიმენი, დიქსონი, გრიმანდი, ადამსი, ეშლი კოული, პარლოუ, ლიუნგბერგი, ვიეირა, პირესი, ანრი, ვილტორდი

**სპარტაკი:** ფილიმონოვი, კოვტუნი, ჩუისე, პარფიონოვი, მიტრესკი, ბარანოვი, ბულატოვი, ტიტოვი, კალინიჩენკო, მარკაო (ან ირისმეტოვი), რობსონი

**მსაჯი:** რუნე პედერსენი (ნორვეგია)

#### ლიონი — ბაიერნი

მიუნხენის „ბაიერნი" თითქმის მეოთხედფინალშია, თუმცა ბუნდესლიგის ბოლო ტურში „ჰანზასთან" წაგებამ მწვრთნელი ოტმარ ჰიცფელდი ერთობ შეაშფოთა. „რა ხდება? - კითხულობდა ჰიცფელდი - კვლავ მებრძოლი გუნდი ვართ თუ ფეხბურთელები საკუთარი ტყავის გადასარჩენად ილვწიან. შეგვიძლია ზედიზედ მესამედ გავხდეთ გერმანიის ჩემპიონები, თუ მხოლოდ ლიგაში თამაშის ძალა შემოგვრჩა?" — აი, ასეა საქმე და „ბაიერნს" „ლიონთან" მოუწევს იმის დამტკიცება, რომ ბუნდესლიგაში ნაჩვენები უფერული თამაში შემთხვევითი იყო.

მიუნხენელებს დაუბრუნდებათ ლიბერო იენს იერემისი, სასტარტოში ვიხილავთ მიხაელ ტარნატსაც, აი, ფრანგი ბიქსენტე ლიზარაზუ კი თავისიანებს ვერაფრით დაეხმარება.



„სანტიაგო ბერნაბეუ", აი მოტივაცია — ამბობს ლიდსელი მარკ ვიდუკა (შუაში)

„ლიონს" დასაკარგი აღარაფერი აქვს. „სპარტაკის" არ იყოს, თუ ქვეჯგუფიდან გაძრომა უნდა, ორივე თამაში უნდა მოიგოს. ბოლო ტურში ლონდონში ნათამაშევი ფრე მათ კარგ საბრძოლო განწყობას უქმნის: „ჯგუფიდან გასვლის შანსი რომ დაგვრჩენოდა, ლონდონში ფრედ მაინც უნდა გვეთამაშა. პირველ ტაიმში ბევრი ვერაფერი მოვახერხეთ და მოწინააღმდეგემ გვაჯობა. შესვენებაზე ფეხბურთელებს ვუთხარი, დაკარგული არაფერია, ერთი გოჯი არ დათმოთ და ბოლომდე იბრძოლეთ-მეთქი. მონდომებამ თავისი გაიტანა და უმნიშვნელოვანესი ქულა მოვიპოვეთ" — ფრანგთა მწვრთნელის ჟაკ სანტინის ეს სიტყვები, კარგად გამოხატავს ამ კერკეტი გუნდის სულისკვეთებას.

აი, ახლაც: „ჩვენ დავამტკიცეთ, რომ დიდი გუნდების დამარცხება შეგვიძლია" — ამბობს ლიონელთა გამთამაშებელი ვიკამ დორასო და „ბაიერნთან" სათამაშოდ თავისიანებს სრული მობილიზებისკენ მოუწოდებს.

დღეს „ლიონს" არ ეყოლება თავდამსხმელი სტივ მარლი, შვეიცარიელი მცველი პატრიკ მიულერი და კამერუნელი ნახევარმცველი მარკ-ვივიენ ფოე.

საინტერესოა, რომ აქამდე ევროტურნირების მეოთხედფინალში „ლიონი" ორჯერ გასულა, ერთხელ 1968 წლის თასთა თასის გათამაშებაში და მეორედ ორი წლის წინათ უეფას თასზე.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ლიონი:** კუპე, დეფლანდრე, კაკაპა, ბრეშე, დელმოტი, ვიოლო, ლინარესი, ლეგლი, დორასო, ს. ანდერსონი, გოვუ

**ბაიერნი:** კანი, კუფური, იერემისი, ლინკე, საიოლი, ფინკი, ტარნატი, შოლი, ეფენბერგი, ელბერი, პაულო სერჯიო

**მსაჯი:** დიკ იოლი (ჰოლანდია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 4 | 3 | 1 | 0 | 7:2 | 10 |
| არსენალი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:7 | 5 |
| ლიონი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:3 | 4 |
| სპარტაკი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:8 | 3 |



სპარტაკელებმა ეგორ ტიტოვმა და მარკაომ მოსკოვური მატჩი ცეკვით დაასრულეს. „ჰაიბერიზეც" ვნახოთ...

### D ჯგუფი

#### რეალი — ლიდსი

ისე მოხდა, რომ ამ ჯგუფის დარჩენილმა მატჩებმა ინტერესი დაკარგეს. „რეალსა" და „ლიდსს" მეოთხედფინალი განაღდებული აქვთ და ოდენ ცხრილისთვის საბოლოო სახის მისაცემად სჭირდებათ მინდორზე გასვლა.

აქ ერთი ასეთი ამბავიცაა: მეოთხედფინალების წილისყრისას ჯგუფების პირველადგილოსნები ერთმანეთს არ უნდა დაუპირისპირდნენ და თეორიულად „ლიდსმა" და „რეალმაც" იმისთვის უნდა იბრძოლონ, რომ შემდეგ ეტაპზე სხვა ჯგუფის მეორეადგილოსანს, ანუ უფრო სუსტ მეტოქეს შეხვდნენ, მაგრამ ეს მხოლოდ თეორიაა. ჯერ ერთი, მეოთხედფინალში ხელწამოსაკრავი გუნდები არ ხვდებიან, მეორე — სხვა ჯგუფებში პირველ-მეორეობა დღეს საკმაოდ ბუნდოვანი და მესამეც — „რეალის" დონის გუნდს ამგვარი გათვლები არ სჩვევა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მატჩის დაძ ლობაზე და პრაქტიკულ მნიშვნელობაზე ლაპარაკი შევწყვიტოთ და სავარაუდო შემადგენლობებზე ვთქვათ.

ვისენტე დელ ბოსკეს ორი იძულებითი ცვლილების გაკეთება მოუხდება. ივან ელგერას ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს და ნახევარდაცვის ცენტრში მის ადგილს ყოფილი ბარსელონელი ალბერტ სელადესი დაიკავებს. ბრაზილიის ნაკრებში გამოძახებულია რობერტო კარლოსი. მას, სავარაუდოდ, არგენტინელი სანტიაგო სოლარი შეცვლის, რომელმაც ლიგის წინა ტურში რომში ჩინებული გოლი გაიტანა. რობერტო კარლოსის ნაკრებში გამოძახებაზე ასეთი საინტერესო ამბავიცაა. როცა მადრიდში „რეალი" — „ბარსელონას" ებრძოდა, ბრაზილია აშშ-ს ამხანაგურად ამარცხებდა. რობერტო კარლოსმა და რივალდომ თადარიგი ადრიანად დაიჭირეს და ემერსონ ლეაოს შეუთვალეს — „სანტიაგო ბერნაბეუზე" რომ არ შევეჯახოთ, არ იქნებაო და ისიც დაყაბულდა.

ეს იძულებითი შეცვლები, ამის გარდა დელ ბოსკე, ალბათ, რამდენიმე ფეხბურთელს დაასვენებს, რადგან „რეალს" აშკარად ეტყობა დაღლა. არაა გამორიცხული, რომ ფერნანდო იეროს ან მიჩელ სალგადოს ადგილი ჯერემიმ დაიკავოს.

მოტივაციის უქონლობაზე რომ ვლაპარაკობდით, ეს, როგორც ჩანს, მარკ ვიდუკას არ ეხება. „ლიდსის" ავსტრალიელმა მადრიდში გამგზავრების წინ თქვა, „ბერნაბეუზე" ასი ათასი კაცი რომ შეიკრიბება და გვიყურებს, მეტი მოტივაცია რა უნდა იყოსო.

საზოგადოდ კი ლიდსელთა განწყობა ამგვარია: როცა ნოემბერში „რეალმა" „ელანდ როუდზე" დაგვამარცხა, საუკეთესო ფორმაში არ ვიყავით, ახლა კი პიკს მივაღწიეთ, რის დამტკიცებასაც ვაპირებთო.

„ლიდსს" დისკვალიფიცირებული ჰყავს დენი მილსი, ხოლო გარი კელი ოპერაციის შემდეგ ბოლომდე ვერ მომჯობინებულა. რობი კინმა, მოგეხსენებათ, ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე „ინტერის" რიგებში ითამაშა, რის გამოც ამ სეზონში მისთვის ევროტურნირი დასრულებულია. მადრიდში ვერ წავიდნენ ლი ბოიერი და ჯონათან ვუდგეიტი — მათ უხმეს ჰალის სასამართლოში, სადაც საწალი პაკისტანელი ბიჭის ცემის გამო ყოველდღე უწევთ წყევლა-კრულვის მოსმენა.

ბოლოს კი, მადრიდელთა დიდ კაპიტან მანუელ სანჩისზეც ვთქვათ, რომელიც სეზონის ბოლოს ფეხბურთიდან მიდის. მას ევროტურნირებზე 99 მატჩი გაუმართავს. ჰოდა, იქნებ დღეს იყოს საიუბილეოს დრო? ას მატჩზე მეტი აქამდე მხოლოდ ოთხ ფეხბურთელს ჩაუტარებია — ჯუზეპე ბერგომს (117), რეი კლემენსს (104), მიშელ პრიუდომს (103) და ლოთარ მათეუსს (100).

**სავარაუდო შემადგენლობები**

**რეალი:** კასილიასი, სალგადო, კარანკა, იერო, სოლარი, მაკელელე, სელადესი, მაკმანამანი, ფიგუ, რაული, მორიენტესი

**ლიდსი:** მარტინი, ჰარტი, ფერდინანდი, რადები, მატეო, დაკური, ბაკე, ბეტი, კიუელი, ვიდუკა, სმიტი

**მსაჯი:** რიხარდ ვოიჩიკი (პოლონეთი)

#### ლაციო — ანდერლეხტი

„რეალს" და „ლიდსს" ცოტაოდენი მოტივაცია კიდევ შერჩენიათ, „ლაციოსა" და „ანდერლეხტზე" კი ამასაც ვერ ვიტყვით. რისთვის იბრძოლონ, ჯგუფში მესამე ადგილისთვის? ამ ეტაპზე ხომ მესამეადგილოსნები უეფას თასზე აღარ გადადიან.

დინო ძოფის მისვლის შემდეგ „ლაციომ" იტალიაში რვა თამაში გამართა და მათგან შვიდი მოიგო, ერთიც ფრედ დაასრულა. ძოფს მხოლოდ ერთი წაგება აქვს „რეალთან" და ის მარცხიც, იმავე „რეალთან" საშინაო ფრესთან ერთად, მას და „ლაციოს" ძალიან ძვირად დაუჯდათ.

არანაკლებ კარგად ირჯება შინაურ სარბიელზე „ანდერლეხტიც", მაგრამ „ლიდსთან" ორი მარცხის გამო ისიც ჯგუფში ჩარჩა.

დღეს სასტარტო შემადგენლობაში იქნება კლაუდიო ლოპესი, რომელიც გასული წლის პირველი ნოემბრიდან მუხლის ოპერაციის გამო ვერ თამაშობდა და ცხრა დღის წინ „ვერონასთან" მატჩში პირველად გამოჩნდა შეცვლაზე.

„ლაციოში" დაბრუნდება დეიან სტანკოვიჩიც, რომელსაც ჯერ კიდევ „ანდერლეხტთან" პირველი წრის მატჩის დროს მიღებული დისკვალიფიკაციის ვადა ახლაღა გაუვიდა.

ბელგიელებს თავდასხმაში მრისხანე წყვილი ჰყავთ - იან კოლერი და ტომაშ რაძინსკი, რომელთაც წინა 24 მატჩში 37 გოლი გაუტანიათ. სამაგიეროდ, ემე ანტუნესის გუნდს დააკლდება ნახევარმცველი ვალტერ ბასეჯიო. გასულ კვირაში ის სანმარინოსთან მატჩში დაშავდა და ამ უქმეებზე „ლიერსთან" მხოლოდ ერთი ტაიმი ითამაშა.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ლაციო:** მარკეჯანი, ნეგრო, ფავალი, მიხაილოვიჩი, ფერნანდუ კოუტუ, სიმეონე, გოტარდი, ბარონიო, სტანკოვიჩი, კლაუდიო ლოპესი, ს. ინძაგი

**ანდერლეხტი:** მილოშევიჩი, კრასონი, დოლი, დე ბოეკი, ილიჩი, დეედენი, ჰასი, ვანდერეგე, გოორი, კოლერი, რაძინსკი

**მსაჯი:** ხუან ანტონიო ფერნანდეს მარინი (ესპანეთი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 4 | 3 | 1 | 0 | 11:5 | 10 |
| ლიდსი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:4 | 9 |
| ანდერლეხტი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:10 | 3 |
| ლაციო | 4 | 0 | 1 | 3 | 4:7 | 1 |

**გიორგი დარჯანია**
**სოლომონ გულისაშვილი**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია კროკო

**გერმანია. ბუნდესლიგა. გადადებული მატჩი**
8 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.45 | 001 | ჰერტა-უნტერჰახინგი | 1,45 | 3,4 | 6,5 |

**ინგლისი. პრემიერლიგა. გადადებული მატჩი**
7 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 002 | ვესტ ჰემი-ჩელსი | 2,5 | 2,9 | 2,6 |

**ინგლისი. I დივიზიონი. 36-ე ტური**
6 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 003 | ქრიუ-შეფილდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.45 | 004 | კრისტალ პალასი-ბირმინგემი | 3,0 | 3,1 | 2,1 |
| 23.45 | 005 | ჯილინგემი-უიმბლდონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.45 | 006 | ჰადერსფილდი-გრიმსბი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 23.45 | 007 | ნორვიჩი-ვესტ ბრომვიჩი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 23.45 | 008 | სტოკპორტი-ბარნლი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 23.45 | 009 | ტრანმერი-პრესტონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | 7 მარტი | | | |
| 23.45 | 010 | ნოტინგემი-ბარნსლი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 23.45 | 011 | უენსდი-პორტსმუთი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 24.00 | 012 | ქუინზ პარკი-უოტფორდი | 2,6 | 3,1 | 2,3 |

**ინგლისი. II დივიზიონი. 36-ე ტური**
6 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 013 | რექსემი-ოქსფორდი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 014 | რექსემი-ოქსფორდი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 23.45 | 015 | ბრისტოლი-უოლსოლი | 2,1 | 3,0 | 3,1 |
| 23.45 | 016 | ბერი-მილუოლი | 3,1 | 3,0 | 2,1 |
| 23.45 | 017 | ლუტონი-კემბრიჯი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 23.45 | 018 | ნორთჰემპტონი-როვერსი | 1,85 | 3,1 | 3,6 |
| 23.45 | 019 | პიტერბრო-ბრენტფორდი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 23.45 | 020 | როტერჰემი-ბორნმუთი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 23.45 | 021 | სუინდონი-ოლდემი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 23.45 | 022 | უიგანი-ნოტსი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 23.45 | 023 | უიკომბი-რედინგი | 2,7 | 3,0 | 2,3 |
| | | 7 მარტი | | | |
| 23.45 | 024 | კოლჩესტერი-პორტ ვეილი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 23.45 | 025 | სტოკი-სუონსი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 026 | სტოკი-სუონსი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

**ინგლისი. III დივიზიონი. 36-ე ტური**
6 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 027 | ჰარტლპული-როჩდეილი | 1,7 | 3,2 | 4,0 |
| 23.30 | 028 | სკანთორპი-ბრაიტონი | 3,2 | 3,1 | 2,1 |
| 23.45 | 029 | ბარნეტი-კარლაილი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 23.45 | 030 | ბლეკპული-პლიმუთი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 23.45 | 031 | კარდიფი-ლუტონი | 1,55 | 3,3 | 6,0 |
| 23.45 | 032 | ჩელტენემი-მაკლსფილდი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 23.45 | 033 | ჰალი-ჰალიფაქსი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 23.45 | 034 | კიდერმინსტერი-ლინკოლნი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 23.45 | 035 | შრიუსბერი-მენსფილდი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 23.45 | 036 | ტორკი-დარლინგტონი | 2,3 | 3,0 | 2,7 |
| 23.45 | 037 | იორკი-საუთენდი | 2,8 | 3,1 | 2,3 |

**ჩეხეთი. გადადებული მატჩი**
7 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 038 | ტეპლიცე-სპარტა | 3,6 | 3,1 | 1,85 |

**ინგლისი. თასის 1/8 ფინალი. გადათამაშება**
7 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 039 | ბლექბერნი-ბოლტონი | 1,85 | 3,0 | 3,8 |

**საბერძნეთი. თასის 1/41/4ფინალი. II მატჩები**
7 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 040 | აპოლონი-პანილიაკოსი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 22.00 | 041 | ქსანთი-პაოკ | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**პოლონეთი. თასის 1/4 ფინალი. I მატჩები**
7 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 042 | პოლონია-სტომილი | 1,35 | 3,6 | 7,5 |
| 18.00 | 043 | ზაგლებე-ლეგია | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 18.00 | 044 | ოდრა-პლოცკი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 18.00 | 045 | ლეჩინა-გურნიკი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**შოტლანდია. თასის მე-4 ეტაპი. გადათამაშება**
7 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 046 | სელტიკი-დანფერმლაინი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 23.45 | 047 | დანდი-ჰართსი | 2,3 | 3,0 | 2,7 |

**ჩემპიონთა ლიგა. მე-5 ტური**
6 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 501 | არსენალი-სპარტაკი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 23.45 | 502 | ლიონი-ბაიერნი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.45 | 503 | რეალი-ლიდსი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 23.45 | 504 | ლაციო-ანდერლეხტი | 1,4 | 3,5 | 6,0 |
| | | 7 მარტი | | | |
| 23.45 | 505 | პანათინაიკოსი-მანჩესტერი | 4,0 | 3,1 | 1,8 |
| 23.45 | 506 | შტურმი-ვალენსია | 3,0 | 2,9 | 2,3 |
| 23.45 | 507 | დეპორტივო-პსჟ | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 23.45 | 508 | გალათასარაი-მილანი | 2,4 | 3,0 | 2,7 |

**უეფას თასი. 1/4 ფინალი. I მატჩები**
8 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 509 | ალავესი-რაიო ვალეკანო | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 23.30 | 510 | კაიზერსლაუტერნი-პსვ | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 24.00 | 511 | ბარსელონა-სელტა | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 01.30 | 512 | პორტუ-ლივერპული | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**ლიბერტადორესის თასი**
6 მზრტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.30 | 513 | სან კაეტანო (ბრაზილია)-კრუს ასული (მექსიკა) | 1,4 | 3,4 | 6,5 |
| 06.30 | 514 | რივერ პლეიტი (არგენტინა)-გუარანი (პარაგვაი) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 06.30 | 515 | ამერიკა (კოლუმბია)-პენიაროლი (ურუგვაი) | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| | | 7 მარტი | | | |
| 01.00 | 516 | ოლმედო (ეკვადორი)-დეფენსორი (ურუგვაი) | 1,75 | 3,1 | 4,0 |
| 01.00 | 517 | კობრელოა (ჩილე)-ორიენტე (ბოლივია) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 04.00 | 518 | ვასკო და გამა (ბრაზილია)-ტაჩირა (ვენესუელა) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 06.10 | 519 | ბოკა ხუნიორსი(არგენტინა)-დეპორტივო(კოლუმბია) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | | 8 მარტი | | | |
| 05.00 | 520 | როსარიო (არგენტინა)-ველესი (არგენტინა) | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 05.10 | 521 | ვილსტერმანი (ბოლივია)-კონსეპსიონი (ჩილე) | 1,55 | 3,4 | 5,0 |
| 06.40 | 522 | პალმეირასი (ბრაზილია)-უნივერსიდადი (ჩილე) | 1,2 | 5,0 | 9,0 |

**უეფას თასი. შემდეგ ეტაპზე გასვლა**
8 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 601 | ალავესი | 1,7 | რ.ვალეკანო | 1,7 |
| 23.30 | 602 | კაიზერსლაუტ. | 1,45 | პსვ | 1-2,0 |
| 24.00 | 603 | ბარსელონა | 1,15 | სელტა | 4,0 |
| 01.30 | 604 | პორტუ | 4,0 | ლივერპული | 1,15 |

| I ტაიმი/ძირითადი დრო | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 6 მარტი | | | | | | | | | |
| 701 | არსენალი-სპარტაკი | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,5 | 6,0 | 10,0 | 18,0 | 10,0 | 10,0 |
| 702 | ლიონი-ბაიერნი | 4,0 | 10,0 | 16,0 | 5,0 | 4,4 | 5,0 | 18,0 | 10,0 | 3,6 |
| 703 | რეალი-ლიდსი | 2,0 | 15,0 | 25,0 | 3,5 | 5,3 | 10,0 | 18,0 | 10,0 | 9,0 |
| 704 | ლაციო-ანდერლეხტი | 1,8 | 12,0 | 25,0 | 3,5 | 5,3 | 10,0 | 18,0 | 10,0 | 9,0 |
| | 7 მარტი | | | | | | | | | |
| 705 | პანათინაიკოსი-მანჩესტერი | 6,0 | 12,0 | 18,0 | 7,5 | 4,7 | 3,5 | 18,0 | 10,0 | 2,7 |
| 706 | შტურმი-ვალენსია | 4,4 | 10,0 | 18,0 | 5,3 | 4,4 | 4,4 | 18,0 | 10,0 | 3,4 |
| 707 | დეპორტივო-პსჟ | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,5 | 5,6 | 10,0 | 18,0 | 10,0 | 10,0 |
| 708 | გალათასარაი-მილანი | 4,0 | 12,0 | 18,0 | 5,3 | 4,4 | 5,3 | 18,0 | 10,0 | 4,0 |
| | 8 მარტი | | | | | | | | | |
| 709 | ალავესი-რაიო ვალეკანო | 2,7 | 12,0 | 20,0 | 4,7 | 4,7 | 7,0 | 16,0 | 10,0 | 6,5 |
| 710 | კაიზერსლაუტერნი-პსვ | 2,5 | 15,0 | 20,0 | 4,7 | 4,7 | 6,5 | 16,0 | 10,0 | 6,0 |
| 711 | ბარსელონა-სელტა | 1,7 | 18,0 | 30,0 | 3,5 | 6,0 | 10,0 | 18,0 | 12,0 | 10,0 |
| 712 | პორტუ-ლივერპული | 3,8 | 10,0 | 18,0 | 5,0 | 4,4 | 5,0 | 18,0 | 10,0 | 3,8 |

**კალათბურთი**
6 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 801 | შარლოტი-მინესოტა | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 05.00 | 802 | ნიუ იორკი-ინდიანა | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 05.30 | 803 | ჩიკაგო-კლივლენდი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 06.00 | 804 | დენვერი-ფინიქსი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 06.00 | 805 | საკრამენტო-ტორონტო | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 07.00 | 806 | პორტლენდი-ვანკუვერი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 07.00 | 807 | სიეტლი-სან ანტონიო | 1,9 | 12,0 | 1,55 |
| 07.30 | 808 | გოლდენ სტეიტი-ლეიკერსი | 4,0 | 12,0 | 1,15 |
| | | 7 მარტი | | | |
| 04.00 | 809 | ბოსტონი-მილუოკი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 04.00 | 810 | ინდიანა-ნიუ იორკი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 04.00 | 811 | ფილადელფია-ნიუ ჯერსი | 1,05 | 12,0 | 6,0 |
| 04.30 | 812 | ატლანტა-ჰიუსტონი | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 04.30 | 813 | კლივლენდი-ვაშინგტონი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 04.30 | 814 | მაიამი-დალასი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 04.30 | 815 | ორლანდო-დეტროიტი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 05.00 | 816 | ფინიქსი-საკრამენტო | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 06.00 | 817 | იუტა-სიეტლი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 07.30 | 818 | ლეიკერსი-ტორონტო | 1,1 | 12,0 | 4,0 |
| | | 8 მარტი | | | |
| 04.30 | 819 | შარლოტი-ორლანდო | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 05.00 | 820 | პორტლენდი-სან ანტონიო | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 05.30 | 821 | ჰიუსტონი-კლიპერსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |

**კალათბურთი. სუპროლიგა**
8 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 822 | ლ.რიტასი-სპლიტი | 2,0 | 12,0 | 1,4 |
| 21.00 | 823 | ეფესი-სკავოლინი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 21.00 | 824 | ცსკა-ვილერბანი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 21.00 | 825 | ცეპტერი-ალბა | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| 21.00 | 826 | პანათინაიკოსი-რაანანა | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 23.00 | 827 | მაკაბი-ირაკლისი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 23.30 | 828 | პო ორტეზი-კრკა | 1,35 | 12,0 | 2,3 |
| 23.30 | 829 | სიენა-ულქერი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 23.30 | 830 | ბაიერი-პარტიზანი | 2,5 | 12,0 | 1,3 |
| 23.30 | 831 | ოსტენდე-პლანია | 1,1 | 12,0 | 5,0 |

**კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. III მატჩები**
8 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 832 | აეკ ბენეტონი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 23.30 | 833 | ფორტიტუდო-რეალი | 1,4 | 12,0 | 2,3 |

**ჰოკეი**
6 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 901 | ბოსტონი-ბუფალო | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 04.30 | 902 | ნიუ ჯერსი-ოტავა | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 04.30 | 903 | აილენდერსი-ვაშინგტონი | 2,7 | 4,0 | 1,7 |
| 04.30 | 904 | ატლანტა-კოლორადო | 3,0 | 4,0 | 1,6 |
| 04.30 | 905 | ტამპა ბეი-სან ხოსე | 2,7 | 4,0 | 1,7 |
| 05.00 | 906 | მინესოტა-სენტ ლუისი | 2,6 | 4,0 | 1,75 |
| 06.00 | 907 | კალგარი-ტორონტო | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 06.00 | 908 | ფინიქსი-ნეშვილი | 1,65 | 4,0 | 2,8 |
| 06.00 | 909 | ვანკუვერი-დეტროიტი | 1,5 | 4,0 | 3,4 |
| 07.30 | 910 | ლოს ანჯელესი-მონრეალი | 1,4 | 4,0 | 4,2 |
| | | 7 მარტი | | | |
| 04.00 | 911 | კაროლინა-კოლუმბუსი | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 04.30 | 912 | პიტსბურგი-ვაშინგტონი | 1,8 | 4,0 | 2,5 |
| 04.30 | 913 | ფლორიდა-სან ხოსე | 2,6 | 4,0 | 1,75 |
| 05.30 | 914 | დალასი-ჩიკაგო | 1,55 | 4,0 | 3,2 |
| 06.00 | 915 | ედმონტონი-ტორონტო | 1,8 | 4,0 | 2,5 |
| 07.30 | 916 | ანაჰაიმი-მონრეალი | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| | | 8 მარტი | | | |
| 04.00 | 917 | ბოსტონი-ოტავა | 2,2 | 4,0 | 2,0 |
| 04.00 | 918 | ფილადელფია-კალგარი | 1,5 | 4,0 | 3,4 |
| 04.30 | 919 | ნიუ ჯერსი-მინესოტა | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 04.30 | 920 | ატლანტა-პიტსბურგი | 2,8 | 4,0 | 1,65 |
| 04.30 | 921 | ტამპა ბეი-კაროლინა | 2,4 | 4,0 | 1,85 |
| 05.00 | 922 | სენტ ლუისი-კოლორადო | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 06.00 | 923 | ფინიქსი-ვანკუვერი | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 07.30 | 924 | ლოს ანჯელესი-ნეშვილი | 1,8 | 4,0 | 2,5 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

გიო ახვლედიანის

## სვეტი

# მოგებული საქართველო

ჰაა-ჰააა-ჰა...

მგონი ასე იცინის ერთი ოხერი კოვბოი განთქულ „შესანიშნავ შვიდეულში“.

მე მოვიგე, — ამბობს სხვა, გაბრაზებული კოვბოი.

შენ წააგე, — ეუბნება ბრიტი, წავა, ღობესთან ჩაჯდება და თვალებზე შლაპას ჩამოიფხატავს.

ახლა ჩვენს მორაგბეებსაც შეუძლიათ ღობესთან ჩასხდნენ და თვალებზე შლაპები ჩამოიფხატონო. თუ არ მოეშვებიან და... არა, ფილმში ეპიზოდი მკვლელობით მთავრდება და ომისგან და მკვლელობისგან ღმერთმა დაგვიფაროს. ჩვენ მხოლოდ სპორტული გამარჯვების ამბავში გაგვახსენდა ის კოვბოური ჩაცინება.

ჰაა-ჰააა-ჰა...

გუნდური გმირობა დავიწყებული რამ არის ქართულ სპორტში. ოდესღაც კალათბურთელებს ჩაუდენიათ საგმირო საქმე საბჭოთა სპარტაკიადის ფინალში. ჩაუდენიათ ქართველ ფეხბურთელებს. ჩაუდენიათ, ჩაუდენიათ, გვახსოვს, ვამაყობთ... მაგრამ ეს ძველ დროში იყო.

ახალ საქართველოს კი დიახაც რომ აკლია გუნდური გმირობა.

აკლია და აჰა:

რუსის ჩინოვნიკების მიერ აუტანელ პირობებში ჩაყენებულმა საქართველოს სარაგბო ნაკრებმა კრასნოდარის „დინამოს“ მინდორზე გმირობა ჩაიდინა და მუშტშეკრული რუსები დაამარცხა. ამ თამაშს თავიდანვე არაჯანსაღი საბურველი ჰბურავდა. პოლიტიკური, თორემ სპორტსმენებმა თავიანთი ამბავი იციან. საქართველომ გაუძლო და საქართველომ მოიგო. ბევრჯერ არ გაუძლია და ბევრჯერ არ მოუგია ამგვარ ვითარებაში.

ბოლო წუთს რუსებს ქარმა შეუშალა ხელი, თორემ გარდასახვას გაიტანდნენ და თამაში ფრედ დასრულდებოდაო. ერთხელ ქარი წაეხმარა საქართველოს. ერთხელ წაეხმარა ქარი მებრძოლ, ჟინიან, უბრალოდ ჯიგარ საქართველოს, კაცნაკლულ გუნდს, რომელმაც გაძლო და დიდი ამბავი, თუ წაეხმარა. ქარიც აღარ დახმარებოდა, როცა მთელი კვირის განმავლობაში არავინ დახმარებია, არავის გახსენებია, არავის გაუგზავნია გამამხნევებელი დეპეშა მაინც...

ჰაა-ჰააა-ჰა...

საქართველომ გაიმარჯვა, მარტოდ დარჩენილმა ბორჯღალის გუნდმა, რომელსაც არასოდეს დაეწუნებოდა მებრძოლი სული, თავზე ხელის აღების უნარი და სიმამაცე, ახლა სრულიად განსაკუთრებულ პირობებში გაიმარჯვა. რაგბი ხომ თამაშია, თამაშის უნარიც წინ მიდის, თორემ მარტო თავზეხელაღებულობით და ვაჟკაცობით თამაში ვერ მოიგება.

მარტოდ დარჩენილს და მაინც მოგებულს გაუმარჯოს. ძია კლოდს და მის ხალხს, მთელ ქართულ სარაგბო თემს ვახლავართ ხუთი ათასი ცხენოსნით... არა მაინცდამაინც იმიტომ, რომ მაინცდამაინც რუსებს მოუგეს. ეს მეტად მარტივი მიზეზი იქნებოდა. არამედ იმიტომ, რომ შეუძლიათ მოიგონ, უკან არ დაიხიონ, მუხლები არ აუკანკალდეთ და ეს გააკეთონ ვაჟკაცურად, დაუმადლებლად, ტაშის და ტახტრევნების ლოდინის გარეშე.

საქართველომ მოიგო.

ჰაა-ჰააა-ჰა...

# ქალთა მტვრევა, რუსთა ტეხვა

ევროპის ერთა თასი. მესამე ტური. 4 მარტი

## რუსეთი 23:25 საქართველო

კრასნოდარი. «დინამოს» სტადიონი. 2000 მაყურებელი

**რუსეთი:** ზაკარლიუკი, კუზინი, რაჩკოვი, ა. სერგეევი, ჟუკოვი, სიმონოვი, მოტორინი, ტრავკინი, ნიკოლაიჩუკი (ნეგოდინი 67), შუკაილოვი, შელეპკოვი, კლიმენკო, ს. სერგეევი, უამბაევი, გრაჩოვი (კაპ.), (კაშჩეევი 32)
3ლ: კლიმენკო (7), გრაჩოვი (31), ? (80); 1გ: რაჩკოვი (31); 2ს: სიმონოვი (40, 59)
**საქართველო** (სასტარტო შემადგენლობა): ხამაშურიძე, ურჯუკაშვილი, ზიბზიბაძე, კაცაძე, აბაშიძე, ჯიმშელაძე, აბუსერიძე, მთიულიშვილი, გიორგაძე, ცაბაძე (კაპ.), ნადირაძე, დიდებულიძე, ბოლღაშვილი, ლაბაძე, ზედგენიძე
3ლ: ჯგუფური (40), ზედგენიძე (44), ლაბაძე (62); 2გ: ჯიმშელაძე (44, 62); 2ს: ჯიმშელაძე (21, 28)
**მსაჯი:** ფ. პრიუვო (საფრანგეთი)
**გაძევება:** ლაბაძე (66)

„ევროპის ერთა თასის“ მესამე ტურში საქართველოს ნაკრებმა ბოლომდე იბრძოლა და არნახულ შერკინებაში „რუსი დათვები“, როგორც რუსეთის ნაკრებს მოიხსენიებენ, მისივე მოედანზე, კრასნოდარში, 25:23 ბეჭებზე დააკრა.

ეს იყო ნამდვილი ბრძოლა, რომელიც მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე დაიწყო. და რაოდენ სამწუხაროა, რომ დაპირისპირება არა სპორტულ სარბიელზე, არამედ პოლიტიკოსთა კაბინეტებში გაჩაღდა. ჯერ იყო და ქართველთა ბედი რუსი დიპლომატთა გადასაწყვეტი შეიქნა, მერე რის ვაი-ვაგლახით ნაწილ-ნაწილ კრასნოდარში ჩასული ქართველი მორაგბეებისადმი მასპინძელთა არაადამიანური მოპყრობა.

ათსართულიანი სასტუმროს, „ინტურისტის“ ფოიეში გამოკეტილი ქართველები, არა ბურთი, არა მოედანი, არა შხაპი. სასტუმროდან ჩვენების წასაყვანად ნახევარი საათის დაგვიანებით მოსული ავტობუსი, რომლის მძღოლმაც მშობლიურ კრასნოდარში სტადიონისკენ მიმავალი გზა ვერ იპოვა და ქართველთა გუნდი აეროპორტისკენ წაიყვანა — ეს მევალება მე, მეტი არაფერიო.

მორიგი სიმუხლთე რუსთა მხრიდან. ისევ მასპინძელთა აფორიაქება, „ზემოდან“ დარიგებულ მძღოლის „გონების განათება“ და მყუდრო „დინამოს“ სტადიონზე მატჩის დაწყებამდე სამი წუთით ადრე მისული საქართველოს ნაკრები.

სტადიონზე „ბორჯღალოსნებმა“ გასახდელი მოიძიეს, მაგრამ მასპინძლებმა შეიცხადეს, არ ვიცოდით, გასახდელი თუ დაგჭირდებოდათო და ქართველებს ასი მეტრით მოშორებით მდგარ ქოხზე მიუთითეს. ამაზე კი ქართველთა თავკაცებმა თავი ვეღარ შეიკავეს და მათსა და რუსებს შორის მცირედი შეხლა-შემოხლაც გაიმართა.

ბედად ყველა უსიამოვნება აქ დამთავრდა. მოედანზე კი ყველაფერი რაგბის ვაჟკაცური და სპეტაკი სულის დაცვით მოხდა.

რას აკეთებენ ამ დროს ქართველი მორაგბეები? არაფერს უჩვეულოს. ეროვნული ნაკრების მაისურას ირგებენ და მოედანზე გადიან. სხვას მუხლი აუკანკალდებოდა, სხვა წინასწარ წააგებდა. მერე წუწუნი დაიწყებოდა, ხომ ნახეთ ისე და ესე მოგვექცნენ, მომზადების ელემენტარული საშუალება არ მოგვცეს და მწყობრიდან გამოგვიყვანესო, მაგრამ მოედანზე საქართველოს მორაგბეთა ნაკრები იდგა, გუნდი, რომელიც არ დაგიდევთ გაჭირვებას, რომელსაც არ სჩვევია ჩივილი და რომელიც არასდროს აჩვენებს ზურგს მოწინააღმდეგეს. კვირას ქართველებს თავი არ დაუზოგავთ. ვერც რუსთა მიერ მოწყობილმა ხრიკებმა წაახდინა ჩვენები და ვერც ავდარმა. ისე, რუსებისგან ათასგვარი პროვოკაცია მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო. ურთიერთშეხვედრის ჯამური ანგარიში კრასნოდარის მატჩამდე 2:1 იყო ჩვენს სასარგებლოდ. თანაც რუსები პირველად გვეთამაშებოდნენ შინ და ყველანაირ ხერხებს მიმართავდნენ, ოღონდ მატჩი მოეგოთ და სერია გაეთანაბრებინათ, მაგრამ ქართველთა სამმა ლელომ საკუთარი გულშემატკივართა თვალწინ გვარიანად შეარცხვინა სლავები.

ქომაგი კი იცოცხლეთ, მრავლად იყო მოსული. „დინამოს“ორიათასიანი სტადიონი პირამდე შეივსო და იყო თავისიანების გულმხურვალე მხარდაჭერა.

რუსებმა თავიდანვე შემოგვიტიეს, ფრანგი ლეგიონერის, სერგეი კლიმენკოს ძალისხმევით ლელოთი დაწინაურდნენ. ქართველებმა თავიდანვე ხელით თამაშზე გააკეთეს აქცენტი და შეხვედრა ბოლომდე ასე გააგრძელეს. ჩვენებმა რამდენჯერმე სახიფათოდ შეუტიეს მასპინძლებს. რუსებმა ქართველთა სალელოე იერიშები წესის დარღვევით შეაჩერეს. რუსთა უხეშობას ჩვენმა დამრტყმელმა პალიკო ჯიმშელაძემ ორი ზუსტად შესრულებული საჯარიმო დარტყმით უპასუხა და წინ უკვე „ბორჯღალოსნები“ გაიჭრნენ — 6:5. მატჩის დროს ქარი ქროდა, რამაც თამაშის ხარისხს დაღი დაასვა. ქართველები ხშირად კარგავდნენ ბურთს. რუსთა კაპიტანმა გრაჩოვმა კი ჩვენების შეცდომებით ისარგებლა და მეორედ დაგვალელოვა — 6:10. მაგრამ ამ დროს გრაჩოვი დაშავდა და შესაცვლელი შეიქმნა, მალე ყაზახი მარატ უამბაევი ფრანგმა მსაჯმა პრიუვომ მოედნიდან 10 წუთით მიაბრძანა და ჩვენმა შერკინებამაც გაილაღა. ქართველებმა ღონივრად შეუტიეს მეტოქეს, კაცნაკლული რუსეთი მათსავე ლელოში ძალით შეათრიეს და მსაჯმაც ჯგუფური ლელო დააფიქსირა — 13:12. შესვენებამდე რამდენიმე წუთით ადრე კი რუსმა სიმონოვმა საჯარიმო ნიშნულიდან კვლავ დააწინაურა თავისიანები — 13:15.

მატჩის მეორე ორმოცწუთეულში ქარი უკვე ჩვენ გვიმაგრებდა ზურგს, რუსებიც ოცი წუთი მათ ნახევარზე გვყავდა გამომწყვდეული. ილო ზედგენიძემ ქართველთა უპირატესობა ლელოში გარდასახა, მაგრამ რუსებმა მალევე გაგვითანაბრეს — 18:18. ამის შემდეგ ჩვენი ნაკრების გარემარბმა ვასილ აბაშიძემ მასპინძელთა დაცვის ხაზი გაჭრა და გია ლაბაძემაც გაინავარდა. პალიკო ჯიმშელაძემ გარდასახა. ამის შემდეგ მოედანზე რუსები გაბატონდნენ, ბარე 15 წუთი უტრიალეს ჩვენს ლელოს. მთავარმა მსაჯმა პრიუვომაც თავი გამოიდო და ქართველთა ლელოსთან ახლოს ზედიზედ ინიშნებოდა ჯარიმები. ამ დროს გაგვიძევეს ლაბაძე, მეტოქე მაინც ვერ მოგვერია. ისევე როგორც სამი წლის წინათ ეროვნულზე გამართულ მატჩში, ქართველები ეხლაც მედგრად დადგნენ, მაგრამ შეხვედრის ბოლო წუთზე სლავებმა თავისი მაინც გაიტანეს, მესამედ დაალელოვეს ქართველები, მაგრამ მისი გარდასახვა ვეღარ შეძლეს.



რუსებს მეორე ლელო ილია ზედგენიძემ (ბურთით) გაუტანა

რუსი მორაგბეების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამჯერად მარცხს ვაჟკაცურად შეხვდნენ. მასპინძლებმა ქედი მოიხარეს ქართველთა წინაშე, რაც რაგბიში გამარჯვებულის პატივსაცემად დერეფნის მოწყობაში აისახება და რისი გაკეთებაც სამი წლის წინანდელი თბილისური მატჩის შემდეგ იუკადრისეს.

„თქვენ არ იცით, აქ რა ხდება. ჩვენს სიხარულს საზღვარი არა აქვს. რუსებმა ყველაფერი იკადრეს, რისი კადრებაც შეიძლებოდა, მაგრამ მაინც გავიმარჯვეთ. ეს იყო ნამდვილი ომი, უშელავათო ბრძოლა, ძვლების მტვრევა. ეს არამარტო მორაგბეების, არამედ მთელი საქართველოს გამარჯვებაა. ნაკრების უკლებლივ ყველა წევრი გმირია! მათ დღეს თავი არ დაუზოგავთ. ბოლომდე ვაჟკაცურად იბრძოლეს“ — გვითხრა საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა ბიძინა გეგიძემ, როდესაც ნამატჩევს კრასნოდარში შევეხმიანეთ.

ალბათ, რუსეთში ქართველთა ლაშქრობაზე საუბარს აქვე დავასრულებდით, მაგრამ არ შეიძლება ამ ისტორიული გამარჯვების მთავარ შემოქმედზე, საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრნელზე, კლოდ სორელზე არ ვთქვათ ორიოდ სიტყვა. მახსენდება ერთი ქართველი მორაგბის მონაყოლი: ჯერ კიდევ პორტუგალიელებთან მატჩამდე სორელი გვეუბნებოდა, ჰოლანდია და პორტუგალია არაფერია, მთავარი ბრძოლა რუსებთან გველის. ხომ იცით, ეს მარტო სარაგბო მატჩი არ იქნება. ჩვენთვის რუსეთი პრინციპული მეტოქეა, მათი დამარცხებით ქართველ ხალხს უდიდეს სიხარულს მიანიჭებთო. ასე მეგონა მე ვიყავი ფრანგი და სორელი ქართველი, ამ სიტყვების ყველაზე კარგი გაგებით.

ჩვენ კი ერთს დავამატებთ. მუსიე კლოდმა ქართველები აღგვიქვა ისეთები, როგორრებიც ვართ. მას არ უცდია ჩვენი მენტალიტეტის შეცვლა და ჩვენი სულის სიღრმეში ჩაწვდომა. სორელმა ქართველთა მრავალ დადებით თვისებას ბევრი კარგი შესძინა, ჭირი და ლხინი გაითავისა და ჩვენ ისტორიულ წარსულსაც პატივი სცა. ბატონო კლოდ, თქვენ ქართველი ხალხის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეთ. მჯერა, შორს არ არის ის დღე, როდესაც საქართველოს ნაკრები თქვენი თაოსნობით მსოფლიო ელიტაში დაიმკვიდრებს ადგილს.

**ბაჩო სვანიძე**

## „ევროპის ერთა თასი“ III ტური. 4 მარტი

### რუმინეთი 52:15 ჰოლანდია

**რუმინეთი:** მაფტეი, სოლომიე, ოპრია, ტოფანი (ლუპუ), პიკოიუ, ჩოლაკუ (გურენესკუ), მიტუ (სირბუ), პოპესკუ, დემჩი (ბელანი), პოპიანი (დიმა), სოკოლი (დრაგომირი), ტონიცე, კირიაკი, იაკობი, კოროდიანუ
8 ლ: კოროდიანუ, იაკობი, ჩოლაკუ (2), ტონიცე, მიტუ, მაფტეი, ბელანი; 6 გ: მიტუ
**ჰოლანდია:** ფიხუურსი, ფანდერპოლი, სტრააცი, ზ. ვინკელსი, მეკი, დესხუტერი, იური, ბეილი, საფი, ბუი, ფანპირდენი, შუმახერი, კულემანსი, სპრინხერი, კუიპერსი
2 ლ: შუმახერი; 1 გ: ფიხუურსი; 1 ს: ფიხუურსი

რუმინეთმა 1987 წელს აქეთ პირველად ითამაშა ზავი ზღვის საპორტო ქალაქ კონსტანცაში. სტადიონზე შესვლა უფასო იყო და ამდენად სამი ათასამდე ფანი შეიკრიბა სალაღობო სეირის საყურებლად.

მატჩამდე რუმინეთის ბანაკში უთანხმოებამ დაისადგურა. მავანმ მოთამაშეთა ჯგუფი ნაკრებში ჩატარებული ყოველი თამაშისთვის არც მეტი არც ნაკლები 500 ამერიკულ დოლარს ითხოვდა, რაზეც რუმინეთის რაგბის ფედერაცია არ დაყაბულდა. ამბოხებულებმა მშობლიური რაგბის მამებთან რომ ვერაფერი გააწყვეს, ცხელ გულზე საწყალი ჰოლანდია გამოიჭირეს და კუდით ქვა ასროლინეს.

„მუხის ფოთლებად“ მონათლულმა რუმინეთის ნაკრებმა სტუმარი „ტიტები“ პირველივე ტაიმში ხუთჯერ დაალელოვეს და საქმე მოუთავეს. მეორე ნახევარში კი ცოტა მოეშვნენ და მხოლოდ სამი ლელო აკმარეს. მატჩის შემდეგ რუმინელთა მე-9 ნომერმა [illegible]ტრე მიტუმ განაცხადა, სინდისის ქეჯნას განვიცდი, ჯერ რომ 24 წლისა ვარ და გამოცდილ ვეტერანებს ვკაპიტნობო. შედეგად მიტუ კაპიტნობიდან გადადგა. ვინ გამოიყვანს რუმინელებს რუსების წინააღმდეგ, ჯერ ცნობილი არ არის.

### ესპანეთი 31:15 პორტუგალია

**ესპანეთი:** ველასკო, ფრეჩია, კოვალენკო, ენსიზიო, ვენტურა, მარტინესი (დიასი), ალონსო ლაგრასი, სალასარი (ფორტე), დელაკალე (ბოორკესი), საპატერო, ვილაუ, აბრილი (კრისტენსენი), სოუტო (ტრიიო), ლეონი, მატა
3 ლ: სოუტო, ლეონი, ენსისო; 2 გ: კოვალენკო; 4 ს: კოვალენკო
**პორტუგალია:** მატეუში, ლამაში, მოტა, კონგი, სოუზა, კეითერი (მელეირუ), პინტუ ვ. დე სილვა, ფერეირა, ა. დე სილვა (ბენედიტუ), ვიეირა, ნუნიეში (სომერი), გონსალვეში (ეიტური), უვე (კაშტრუ), კარდოზუ
4 ს: კეითერი; 1 ა: კეითერი

შარშან, სტუმრად 19:21 წაგებისთვის, ესპანეთმა რევანში აიღო. ისე კი მეზობელთა 23 დაპირისპირების შემდეგ აშკარა უპირატესობას ესპანელები ფლობენ: 18 გამარჯვება, 2 ფრე და მხოლოდ სამი მარცხი.

მატჩი მასპინძელთა შეტევებით დაიწყო თუმც პირველ ტაიმში ლელო არ გასულა. სამაგიეროდ, ესპანელთა დამრტყმელმა კოვალენკომ ოთხჯერ დიდოსტატურად ჩასვა ოვალური ბურთი პორტუგალიელთა კარში. მეორე ნახევრის საწყისი ოცი წუთის მანძილზე, ესპანელებმა სამჯერ დაალელოვეს სტუმრები და გამარჯვებულის ვინაობა ვადამდე ცხადჰყვეს. ჯერ შერკინების მესამეხაზელმა სოუტომ იყოჩაღა, მერე პორტუგალიელებმა ორი გოლით უპასუხეს მეტოქეს და სხვაობა შვიდ ქულამდე შეამცირეს, მაგრამ უმალ, ხუთი წუთის შუალედით, ესპანელთა კაპიტანმა ანტონიო ლეონმა, ხოლო შემდეგ შუამარბმა ენსიზომ ორი ლელო გაიტანეს.

### სატურნირო ვითარება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 126:27 | 6 |
| საქართველო | 3 | 3 | 0 | 0 | 93:38 | 6 |
| რუსეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 94:74 | 4 |
| ესპანეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 72:72 | 2 |
| ჰოლანდია | 3 | 0 | 0 | 3 | 38:125 | 0 |
| პორტუგალია | 3 | 0 | 0 | 3 | 27:114 | 0 |

### მომდევნო ტური

17 მარტი

საქართველო — ესპანეთი რუსთავი?

18 მარტი

რუმინეთი — რუსეთი იაში

პორტუგალია — ჰოლანდია ლისაბონი

## ექვსი ერის ჩემპიონატი
## III ტური. 4 მარტი

### ინგლისი 43:3 შოტლანდია

ინგლისი: ბოლშოუ, ო. ჰილი, გრინვუდი, კეტი (რობინსონი), კოენი; უილკინსონი, დოუსონი (ბრაკენი); ლენარდი, ვესტი (რიგანი), ვაიკერი, ჯონსონი, გრიუკოკი, რ. ჰილი, ბეკი (უორსლი), დალალიო

ნლ: დალალიო (2), ბოლშოუ (2), რ. ჰილი, გრინვუდი; ნგ: უილკინსონი; 1ს: უილკინსონი

შოტლანდია: პატერსონი, კ. მიურეი (კრეიგი), ა. ბალოკი (მაკლარენი), ჯ. ლესლი, ლოგანი; ჰოჯი, ნიკოლი (რედფასი); სმიტი, გ. ბალოკი, სტიუარტი (მაკილვეიმი), ს. მიურეი, მეტკალფი (გრაიმსი), მ. ლესლი, პუტნი, ტეილორი

1ს: ჰოჯი

### იტალია 19:30 საფრანგეთი

იტალია: სტოიკა, პერძიანო, ჰოცებონი, მ. დალანი, დ. დალანი; დომინგესი, ტროიანი (კერიოლი); ლო ჩიჩერო, მოსკარდი, პაოლეტი (პროპერცი კურტი), გრიტი, ვიზერი, პერსიკო, ბერგამასკო, კეკინატო

1ლ: პერძიანო; 1გ: დომინგესი; 4 ს: დომინგესი

საფრანგეთი: სადურნი, ბერნა-სალი, ბონეტი, ლომბარი, დომინისი; ლამეზონი, გალტიე; კალიფანო (მარკონე), იბანესი, დე ვიიე, პელუ, ორადუ, მონი (ბეტსენი), მანიე, ჟუიე

3ლ: სადურნი, ბერნა-სალი, ბონეტი; 3გ: ლამეზონი; 3ს: ლამეზონი

### უელსი — ირლანდია
გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 3 | 3 | 0 | 0 | 167:41 | 6 |
| საფრანგეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 61:47 | 4 |
| ირლანდია | 2 | 2 | 0 | 0 | 63:37 | 4 |
| შოტლანდია | 3 | 0 | 1 | 2 | 37:87 | 1 |
| უელსი | 2 | 0 | 1 | 1 | 43:72 | 1 |
| იტალია | 3 | 0 | 0 | 3 | 64:151 | 0 |



# კერპთა გვემა
## მსოფლიოს პირველი მძიმე ლათინოსი ჩემპიონი ჰყავს


REUTERS ფოტო

ევანდერ ჰოლიფილდი (ზურგით) ბევრს ეცადა, მაგრამ ჯონ რუისს ვერაფერი დააკლო

და აი, მსოფლიო კრივის ისტორიაში პირველად, მძიმე წონას ლათინოსი ჩემპიონი ჰყავს — ჯონ რუისი, მეტსახელად „წყნარი კაცი", რომელმაც ევანდერ ჰოლიფილდს 12-რაუნდიან ბრძოლაში აჯობა. სამივე მსაჯმა რუისის სასარგებლოდ დაითვალა: 114-111, 115-111, 116-110

მეათე რაუნდში ჰოლიფილდმა მოწინააღმდეგე ბოგირებთან მიანარცხა და იფიქრა ნოკდაუნს ჩამითვლიანო, მაგრამ შეცდა — დარტყმა წელსქვემოთ მოსვლია და რუისს გონს მოსაგებად დრო მისცეს.

ჰოლიფილდს ლას ვეგასში, „მენდალი ბეის" უზარმაზარ ცენტრში მაყურებელი დიდი პატივითა და ჟრიამულით შეეგება. ვერცხლისფერ შორტებში გამოწყობილს თან ახლდნენ უახლოესი მეგობრები, თომას ჰერნსი, მეტსახელად „გამრტყმელი", შუგარ რეი ლეონარდი და პერნელ ვიტეიკერი, მეტსახელად „ტკბილი ბარდა".

ბრძოლის შემდგომ გამართულ პრესკონფერენციაზე გამარჯვებულმა, ჯონ რუისმა განაცხადა:

„დიდი მადლობა დონ კინგსა და ევანდერ ჰოლიფილდს, ამ ბრძოლის საშუალება რომ მომცეს. დონ კინგის როლი ჩემს კარიერაში ნამდვილად დიდია. ბრძოლა კი უმძიმესი გადამხდა. სხვა ბრძოლები ამასთან შედარებით ტკბილეულივით მაგონდება".

არადა, გეხსომებათ, სამიოდ დღის წინ დონ კინგი გვაფრთხილებდა, ჰოლიფილდი და რუისი რინგზე რომ ავლენ, ტელევიზორებთან მსხდომნი გვერდით ოთახში ჩაის დასალევადაც ნუ გახვალთ, ჰოლიფილდისგან რუისის დანოკაუტება ყოველწამს მოსალოდნელიაო.

რუისი კი ამბობს: „ჰოლიფილდს ბავშვობიდან ვეთაყვანებოდი. 10 წლის წინ, როდესაც რიდიკ ბოუსთან საჩხუბრად ემზადებოდა, დარბაზში შევედი და მისი ვარჯიში ვნახე. მაშინ ვთქვი, აი, ასეთი ყოჩაღი უნდა გავხდე, მეთქი."

და რუისმა ჰოლიფილდი დაამარცხა.

„დიდი იმედი მაქვს, რომ ის სპორტიდან წავა. აღარ მინდა გამომიწვიოს და კვლავ ვეჩხუბო. ამ ჯერზე კი რინგზე გავედი და მივიღე ის, რაც მეკუთვნოდა. მინდოდა თავიდანვე დამენოკაუტებინა. მინდოდა დამექანცა, ამიტომაც მოძრაობის, გაუთავებელი მუშაობის საშუალება მივეცი" — თქვა „წყნარმა კაცმა".

„ახლა კი უნდა ვიზეიმო. ჰოლიფილდს პირველ შეხვედრაშიც ვაჯობე და მეორეშიც. ესე იგი ნამდვილი ჩემპიონი ვარ. ხომ ხედავთ, ქამარი მარტყია, ახლა ფულიც მომეცით".

ჰოლიფილდი: „რუისმა დაამტკიცა, რომ კარგი მოკრივეა. პირველად რომ შევხვდი, ყურის აპკი გამიხეთქა, იგივე მოხდა ამჯერადაც. ორივეჯერ ერთი და იგივე ილეთით მიაღწია ამას".

საპრესკონფერენციო დარბაზში კი შესვლამდე ჰოლიფილდი ამბობდა: „სამივე მსაჯი შეცდა".

საპრესკონფერენციო დარბაზში ჰოლიფილდმა თქვა: „ვულოცავ ჯონს, მაგრამ ეს ჩემი დასასრული არ გეგონოთ."

**ტუტა სიხარულიძე**



# ჩემპიონი მრთწლიანი დაგვიანებით

**სან ხოსე (აშშ)**
**SYBASE OPEN**
**დარბაზი, ხალიჩა.**
**საპრიზო 400 ათასი $**

**მეოთხედფინალი:** ანდრე აგასი (1, აშშ) — სარგის სარგსიანი (სომხეთი) 6:1, 6:3; გრეგ რუზეცკი (8, ინგლისი) — ლეიტონ ჰიუიტი (2,ავსტრალია) 5:7, 6:1, 6:4; ქსავიე მალისი (ბელგია) — ტომი ჰაასი (4, გერმანია) 5:7, 6:3, 5:1 — ტრავმა; ჟან-მაიკლ გემბილი (5, აშშ) — ხუან ბალსელსი (ესპანეთი) 6:2, 6:0

**ნახევარფინალი:** აგასი — გემბილი 6:4, 6:4; რუზეცკი — მალისი 6:4, 6:2

**ფინალი:** რუზეცკი — აგასი 6:3, 6:4

მწვრთნელთა ოთხკაციანი ბრიგადა, მათ შორის ერთი ბიომექანიკოსი (!), ბევრ ჩოგბურთელს არ მოეძებნება. რამდენად უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ ინგლისელი გრეგ რუზეცკის ანტურაჟი, თავადაც მოგეხსენებათ — გამარჯვებულებს არ ასამართლებენ, ცაცია ბრიტი კი სწორედ ამ კატეგორიას განეკუთვნება.

კვირას რუზეცკიმ კარიერის მეათე ტიტული მოიპოვა, ფინალში კი სულ 59 წუთში თვით ავსტრალიის ღია პირველობის ჩემპიონი ანდრე აგასი გაანადგურა. შთაბეჭდილების გასაძლიერებლად იმასაც დავძენთ, რომ ისტორიაში საუკეთესო მიღების პატრონ ამერიკელს მატჩის მანძილზე ერთი ბრეიკ-პოინტიც არ ჰქონია, რუზეცკის კი 13 ეისი დაუგროვდა, მათგან ერთი — 224 კმ/სთ სიჩქარის.

„ის მთელ შეხვედრას აკონტროლებდა. არაფრის გაკეთება არ შემეძლო, დღეს კორტზე უბრალოდ, მაჯობეს" — აღიარა მოგვიანებით თავხოტორა ლასვეგასელმა, რომელიც 11 მოგების შემდეგ სეზონში პირველად დამარცხდა.

რუზეცკი ტყვიასავით მოწოდებებითა და ბადესთან ოსტატური თამაშით ყოველთვის გამოირჩეოდა, კვირას კი უკანა ხაზიდან ხეირიანი გარჯითაც გააკვირვა მეტოქე და მაყურებლები. ინგლისელი სულაც არ უფრთხოდა აგასისთან ხანგრძლივი გათამაშებების წამოწყებას, ალაგ გადაგდებაზე თამაშობდა, ალაგ მეტად რისკიანად და ამერიკელს არაფერში ჩამოუვარდებოდა.

„დილით გაღვიძებისთანავე გულმა მიგრძნო, რომ ეს ჩემი დღე იქნებოდა. ბედნიერი ვარ, რომ შარშანდელი საშინელი შედეგების ისევ ანგარიშგასაწევ ძალას წარმოვადგენ. თუ ასე გავაგრძელე, ნებისმიერის დამარცხებას შევძლებ. მე დავბრუნდი" — გაიხარა რუზეცკიმ, რომელმაც წლეულს აგასის გარდა გუსტავო კუერტენი, მარატ საფინი და ლეიტონ ჰიუიტიც გაამწარა.

ზურგისა და ფეხის ტრავმებისგან შეჭირვებულმა ინგლისელმა გასული სეზონი კლასიფიკაციაში 69-ე ადგილზე დაასრულა. დაღმასვლის შესაჩერებლად მან უიმბლდონის ექსჩემპიონი, ავსტრალიელი პატ კეში აიყვანა მწვრთნელად. მერე ამ უკანასკნელის რჩევით კიდევ სამი ოზი დაიქირავა ფიზიკურ მომზადებაზე თვალის სადევნებლად და არც უნანია — შედეგებმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა.

„თავადაც გაოცებული ვარ. სეზონის პირველ სამ თვეში ზოგიერთი ჩემი დარტყმის ტექნიკა უნდა შეგვეცვალა, რათა ხელახალი ტრავმირების საშიშროება შემცირებულიყო. ამ ხნის მანძილზე რაიმე წარმატების მიღწევაზე არც მიფიქრია, ასე რომ, გეგმებს გადაჭარბებით ვასრულებ. ცვლილებები არც ისე მნიშვნელოვანია, მაგრამ მათ ხარჯზე მატჩში 5-10 ქულით მეტს ვითვლი, მოგებასა და წაგებას შორის კი ხშირად ამაზე მცირე განსხვავებაა".

**დუბაი (საემიროები)**
**ღია პირველობა.**
**ჰარდი. საპრიზო 1 მილიონი $**

**ნახევარფინალი:** მარატ საფინი (1, რუსეთი) — ტომას იოჰანსონი (შვედეთი) 6:7 (0:7), 7:6 (7:4), 6:3; ხუან კარლოს ფერერო (7, ესპანეთი) — დომინიკ ჰრბატი (6, სლოვაკეთი) 5:7, 7:6 (7:4), 6:3

**ფინალი:** ფერერო — საფინი 6:2, 3:1 — ტრავმა.

დუბაის ღია პირველობის გამარჯვებულის ბედი ფინალში კი არა, ნახევარფინალში გადაწყდა. მომავალმა ჩემპიონმა, 21 წლის ხუან კარლოს ფერერომ სლავაკი დომინიკ ჰრბატის წინააღმდეგ უმძიმესი სიტუაციიდან თავის დაძვრენა და სამი მატჩ-პოინტის გადარჩენა მოახერხა.

ტომას იოჰანსონთან შეხვედრაში ბეწვის ხიდზე გავლა მსოფლიოს მეორე ჩოგანმა მარატ საფინმაც შეძლო, მაგრამ მატჩის ბოლოს ზურგის ტრავმა მიიღო, რის გამოც მოწოდებებს ნახევარი ძალით ურტყამდა.

ნახევარ-საფინმა უმიზეზოდ განერვიულებულ იოჰანსონს მაინც მოუგო, მაგრამ ფინალში სტაბილური, თავდაჯერებული ესპანელის წინააღმდეგ ვერაფერს გახდა. ფერერო იშვიათად ცდებოდა, დაშავებულ რუსს აქეთ-იქით დაარბენინებდა და ამ უკანასკნელსაც აღარაფერი დარჩენოდა — ვადამდე დანებდა.

„არ ვიცი, რა მჭირს, შინ, მონაკოში დავბრუნდები თუ არა, საავადმყოფოში გავიქცევი. ფული კარგია, მაგრამ ჯანმრთელობა — უფრო მნიშვნელოვანი — აღნიშნა რუსმა, რომელმაც წაგებით მსოფლიოს პირველი ჩოგნობის დაბრუნების შანსი დაკარგა — ზურგი ძალიან მაწუხებს, მგონია, თითქოს ვიღაც დანას მიყრის. სწრაფად ვერ ვმოძრაობ, ბოლომდე ვერ ვიხარჯები, ასე კი მოგებაზე ფიქრიც ზედმეტია".

შარშანდელი დევისის თასის ფინალის გმირი ესპანელისთვის ეს კარიერის ოდენ მეორე ტიტული იყო. სისხარტისა და აგრესიული თამაშის სტილის გამო „მოსკიტოდ" წოდებულ ფერეროს 167 ათასი დოლარი ერგო: „ტრავმირებულ მეტოქესთან თამაში ერთი მხრივ, ძნელია, ყურადღება გეფანტება. მეორე მხრივ, 200 კმ/სთ-იანი მოწოდებების გარეშე მარატთან გასწორება გაცილებით იოლიც იყო. ვწუხვარ, რომ ასე მოხდა, მაგრამ ჯობს, დროულად შეჩერდე, ვიდრე ტრავმა გაიმიზეზო".



გრეგ რუზეცკი დაბრუნდა

**აკაპულკო.**
**მექსიკის ღია პირველობა.**
**თიხნარი. საპრიზო 970 ათასი $**

**კაცები. ნახევარფინალი:** გუსტავო კუერტენი (1, ბრაზილია) — გილერმო კანასი (არგენტინა) 6:1, 6:4; გალო ბლანკო (ესპანეთი) — კარლოს მაია (3, ესპანეთი) 6:4, 6:7 (3:7), 7:5.

**ფინალი:** კუერტენი — ბლანკო 6:4, 6"2.

როლან გაროსის მთავარი ფავორიტის დასახელება, ალბათ, ცოტა ნაადრევია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, როგორ ფორმაშია მსოფლიოს პირველი ჩოგანი გუსტავო კუერტენი, პარიზულ თიხნარზე მისი ტოლ-სწორი ძნელად მოიძებნება: „გუგამ" მექსიკის საკურორტო მექაში თავისი ზედიზედ მეათე მატჩი და მეორე ტურნირი მოიგო.

ფინალში ბრაზილიელის ერთი განსაკუთრებით შთამბეჭდავი დარტყმის შემდეგ ჩია გალო ბლანკომ მეტოქეს საწყალობლად გახედა და ხელი აუწია, შენთვის ხომ არაფერი დამიშავებია, რას მერჩიო.

„მეტზე ვერც ვიოცნებებდი, ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად თავს შესანიშნავად ვგრძნობ. ეს ორი კვირა შესანიშნავად წარიმართა, ბუენოს აირესშიც და აქაც კარგი დრო გავატარე" — ეს კუერტენის სიტყვებია.

**ქალები. ფინალი:** ამანდა კუტცერი (1, სამხრეთ აფრიკა) — ელენა დემენტიევა (2, რუსეთი) 2:6, 6:1, 6:2.

**სკოტსდეილი (აშშ)**
**STATE FARM TENNIS CLASIC**
**ჰარდი. საპრიზო 565 ათასი $**

**მეოთხედფინალი:** ლინდსი დევენპორტი (1, აშშ) — ლაიზა რეიმონდი (7, აშშ) 1:6, 6:0, 6:3; მონიკა სელეში (2, აშშ) — მაუი სერნა (ესპანეთი) 6:3, 6:4; ჯენიფერ კაპრიატი (3, აშშ) — ტინა პისნიკი (სლოვენია) 6:1, 6:2; მეგან შონესი (8, აშშ) — კიმ კლაისტერსი (5, ბელგია) 6:2, 6:4.

**ნახევარფინალი:** დევენპორტი — კაპრიატი 6:4, 6:7 (2:7), 6:1; შონესი — სელეში 3:6, 7:6 (7:4), 6:2.

**ფინალი:** დევენპორტი — შონესი 6:2, 6:3.

ამას ერთი წელი დაჭირდა, მაგრამ ლინდსი დევენპორტმა, ბოლოს და ბოლოს, მაინც მოიპოვა სკოტსდეილის ტურნირის ტიტული. ჯანიან ამერიკელს შარშან აქ ფინალში მარტინა ჰინგისთან გაჯიბრება გადაუღებელმა წვიმებმა არ დაანება. ამჯერად 21 წლის თანამემამულე მეგან შონესის სახით ლინდსის გაცილებით სუსტი მეტოქე ჰყავდა, ორდღიანი თავსხმების შემდეგ ამინდმაც მოწყალება გაიღო და გადამწყვეტი მატჩიც შედგა.

„შარშან ეს ტურნირი მეტად უცნაურად დასრულდა. ბედნიერი ვარ, რომ წლეულს დავბრუნდი და მაშინ დაწყებული საქმე ბოლომდე მივიყვანე — აღნიშნა დევენპორტმა — მოგება არასოდეს მოგბეზრდება, ჩოგბურთში მთავარი სწორედ ტიტულებია".

**ავთანდილ სვანიძე**

# სპექტაკლი ტრაგედიით დაიწყო

**ასეთი** დაძმარებული სახეები პოდიუმზე ჯერ არ გვინახავს. პრიზიორები ყოველგვარი ემოციის გარეშე შედგნენ თავ-თავიანთ საფეხურებზე, სერიოზული სახეებით მიიღეს სამახსოვრო სინები, მერე ხელიხელგადახვეულებმა ფოტო გადაიღეს და საზეიმო ტრიბუნა ისე დატოვეს, საწუწაო შამპანურის უზარმაზარ ბოთლებს არც კი მიკარებიან.

ამგვარი არატრადიციული, უცნაური ქცევის მიზეზი გახდა ჟაკ ვილნევის ავარია მეექვსე წრეზე, რამაც ტრასის მომსახურე ერთ-ერთი მარშალის სიცოცხლე შეიწირა, შვიდი ადამიანი კი სერიოზულად დაშავდა. რბოლა ხეირიანად არც კი გახურებულიყო, როცა ექსჩემპიონის ბოლიდი წინ მიმავალ რალფ შუმახერის „უილიამსის" ბორბალს წამოედო, ჰაერში აფრინდა და დამცავ კედელს საშინელი ძალით მიეხეთქა. მანქანა თითქმის სულ დაიშალა, მთელი დარჩა მხოლოდ უსაფრთხოების კაფსულა — მონოკოკი და სწორედ ამან გადაარჩინა კანადელი პილოტი. ჟაკი ამ საშინელებიდან უვნებელი გამოვიდა, მხოლოდ დარტყმისგან ოდნავ დაუზიანდა ხერხემალი. ავტოდრომის ის უბედური თანამშრომელი სასწრაფოდ ჰოსპიტალში გააქანეს, მაგრამ ვეღარაფრით უშველეს. არადა, კატასტროფამდე ათიოდე წუთით ადრე „ალბერტ-პარკში" საყოველთაო საზეიმო განწყობილება სუფევდა — კვირას ხომ ახალი საუკუნის პირველი გრანდიოზული, 17-მოქმედებიანი სპექტაკლის პრემიერა შედგა 22 შემსრულებლის მონაწილეობით. მელბურნის ტრასა ქალაქის ქუჩებისა და პარკში ტბის გარშემო გაყვანილი სპეციალური მონაკვეთების კომბინაციაა. კონფიგურაციის მხრივ საკმაოდ რთულია და ჩქაროსნული. ვიქტორიის პროვინციის დედაქალაქში ავსტრალიის დიდი პრიზი მეექვსედ გათამაშდა. აღსანიშნავია, რომ იქ ზედიზედ ორჯერ გამარჯვება ვერავინ შეძლო.

ფავორიტებად ამჯერადაც შარშანდელი ტრიუმფატორი მიხაელ შუმახერი და მისი უმთავრესი მეტოქეები — მიკა ჰაკინენი და დევიდ კულჰარდი ითვლებოდნენ. შუმიმ რბოლამდე მიიღო საკმაო ფორა, როცა კვალიფიკაცია კონკურენტებს აშკარა უპირატესობით მოუგო და ერთმანეთის მიყოლებით ნაჩვენები ორი სარეკორდო წრის შემდეგ საგონებელში ჩააგდო.

სტარტმა, რასაც ჩვეულებრივ დიდი ნერვიულობა და შეხლა-შემოხლა ახლავს, ამჯერად გართულებების გარეშე ჩაიარა — ბრძოლიდან არავინ გამოთიშულა. შუმახერი უსწრაფესად დაიძრა და თავიდანვე დიდი მანძილით დაშორდა მდევრებს. ბარიკელოს მცირედი შეყოვნებაც კი საკმარისი აღმოჩნდა, რომ მისი „ფერარისთვის" ერთბაშად სამ ბოლიდს გაესწრო. თუმც ბრაზილიელმა მალე გამოასწორა მდგომარეობა — ორიოდე წუთში რალფი ჩამოიტოვა უკან, მესამე წრეზე კი ჰაინც-ჰარალდ ფრენცენს შეუტია. გერმანელი მრბოლი შეეცადა, მოსახვევში რუბინიოსთვის გზა გადაეკეტა, მაგრამ თავადვე დაზარალდა — „ფერარიმ" მის „ჯორდანს" ცხვირი წაჰკრა და ბალახში მოასრიალა. ფრენცენი ტრასაზე დაბრუნდა, ოღონდ პელოტონის კუდში, თანდათან შეძლო დანაკარგის ანაზღაურება და რბოლა ექვსეულში დაასრულა.

სიტუაციის ბატონ-პატრონი თავიდანვე მიხაელი იყო, მანამდეც, სანამ ერთ-ერთ მოსახვევში ჰაკინენის „მაკლარენი" ძველი საბურავების კედელს მიეხეთქებოდა, რაც წინა შეკიდულობის გატეხვამ გამოიწვია და, რა თქმა უნდა, მერეც, როცა კონკურენტი ჩამოსცილდა, რადგან მესამე პოზიციაზე მყოფი კულჰარდი ლიდერს 15 წამით ჩამორჩებოდა. ჩემპიონის პრაქტიკულად უნაკლო „ფერარი" ზედიზედ აუმჯობესებდა წრის გავლის დროს და საბოლოოდ ფრენცენის ოთხი წლის წინანდელ მიღწევას 2,3 წამი (!) ჩამოაკლო. შუმის „დიდი სლემის" მშვენიერი შანსიც ჰქონდა, მაგრამ ხელი იმან შეუშალა, რომ ბოქსებში საწვავისთვის შესვლის გამო რამდენიმე წუთით დათმო ლიდერობა. „სლემის" მოსაპოვებლად კი საჭიროა კვალიფიკაციის და რბოლის მოგება, უსწრაფესი წრე და სტარტიდან ფინიშამდე პირველობა.

რბოლის ბოლომდე საინტერესო ისლა მოხდა, რომ 34-ე წრეზე კულჰარდმა ოსტატური მანევრით ბოლოს და ბოლოს მოახერხა ბარიკელოს გასწრება და ფინიშამდე შეინარჩუნა მეორე ადგილი, რაც მისი მეექვსე სასტარტო პოზიციის გათვალისწინებით ურიგო შედეგი სულაც არაა. მას შემდეგ კი, რაც ეს ორნიც ბოქსებში შეყოვნდნენ, შუმახერმა ლიდერობა დაიბრუნა და პრაქტიკულად რბოლაც დასრულდა. 42 წრის მერე გამოკვეთილ ექვსეულში — შუმახერი, კულჰარდი, ბარიკელო, პანი, ჰაიდფელდი, ფრენცენი ერთი გადაადგილებაც აღარ მომხდარა. კულჰარდმა თანდათან კი შეამცირა ლიდერთან ჩამორჩენა, მაგრამ არა იმდენად, რომ გასწრების საშუალება მისცემოდა. შოტლანდიელ მრბოლს ამ ექვსი ქულით კარიერაში ზუსტად 300 დაუგროვდა და მე-12 პილოტი გახდა, ვისაც ამ ზღვარისთვის მიუღწევია.

ფორმულაში დაბრუნება საპატიო მეოთხე ადგილით აღნიშნა ვილნევის თანაგუნდელმა ოლივიე პანიმ, მაგრამ სიხარული მალე ჩაშხამდა. ტრასაზე გამოფენილი ყვითელი დროშების დროს აკრძალული გასწრების გამო მის შედეგს 25 საჯარიმო წამი დაუმატეს, რამაც ფრანგი პილოტი სამი ადგილით ჩამოაქვეითა და უქულოდ დატოვა.

კარიერაში პირველი ქულები მოიპოვეს ნიკ ჰაიდფელდმა და 21 წლის დებიუტანმა კიმი რაიკონენმა. რაც შეეხება სხვა ახალბედებს, ლუჩანო ბურტიმაც და ფერნანდო ალონსომაც ბოლომდე იყოჩაღეს და ფინიშამდე მიაღწიეს. მშვენივრად გამოიყურებოდა ხუან პაბლო მონტოიაც, მაგრამ სწორედ მაშინ, როცა მეშვიდე პოზიციაზე მყოფი ექვსეულისთვის აქტიურად იბრძოდა, მის „უილიამსს" ძრავამ უღალატა.

ბოლოს კი გამარჯვებულის შესახებ: მიხაელ შუმახერმა ზედიზედ მეორედ დაისაკუთრა ავსტრალიის დიდი პრიზი. ეს მისი 45-ე გამარჯვებაა, ამასთან, ზედიზედ მეხუთე შარშანდელ სეზონში იტალიური ეტაპიდან მოყოლებული. ის სარეკორდო უსწრაფესი წრე კი შუმისთვის 42-ე გახდა, რითაც გერმანელმა პილოტმა ალენ პროსტის რვა წლის წინანდელი მიღწევა გააუმჯობესა.

**გია ახალაძე**



REUTERS მელბურნიდან

ჟაკ ვილნევის ავარიამ მარშალის სიცოცხლე შეიწირა

### რბოლის შემდეგ

***ჟაკ ვილნევი:*** რალფის „უილიამსი" შუა გზაზე მიდიოდა, ამიტომ კარგა ხანს ვერ გადამეწყვიტა, რომელი მხრიდან გამესწრო. როცა ტრასის გარე მხრიდან შევუტიე, უკვე გვიანი იყო. შეჯახება 200-კილომეტრიან სიჩქარეზე მოხდა. რალფს არაფერში ვამტყუნებ — ეს ჩვეულებრივი გაუგებრობის ბრალია. საბედნიეროდ, უსაფრთხოების კაფსულის სიმტკიცემ შემინარჩუნა სიცოცხლე.

***რალფ შუმახერი:*** ის იყო, მოსახვევის წინ დამუხრუჭება დავიწყე, რომ უკნიდან საშინელი დარტყმა ვიგრძენი. ცხადი იყო — ჟაკი დიდხანს ყოყმანობდა და ამიტომაც ეტაკა ჩემი ბოლიდის უკანა ბორბალს. მას მსგავსი შემთხვევა ადრეც მოსვლია, შარშან კანადაშიც ზუსტად ასევე დამეჯახა. ჟაკს სჩვევია საკუთარი შესაძლებლობების გადაჭარბებულად შეფასება. თუმცა არ ვადანაშაულებ — ასეთი შეცდომა ყველას მოსდის. საშინელებაა, რომ ადამიანი დაიღუპა.

***მიკა ჰაკინენი:*** სამწუხაროდ, ჩემი პრობლემები კვალიფიკაციის შემდეგ რბოლაშიც გაგრძელდა. ცუდი შანსი მაინც არ მქონდა, მაგრამ შეკიდულობის გატეხვამ ყველაფერი არია. ბარიერთან მიჯახებისას თავში ძლიერი დარტყმა ვიგრძენი. ექიმებმა დაზიანებები აღმომიჩინეს. ჩემი ჩაფხუტიც რამდენიმე ადგილას ჩაჭეჭყილია.

***დევიდ კულჰარდი:*** სტარტზე ჩემი „მაკლარენი" მეტოქეებს შორის აღმოჩნდა მომწყვდეული. საბედნიეროდ, ამ წნეხიდან უვნებლად გამოვაღწიე. მოხარული ვარ, რომ ასეთ პირობებში, რბილის მესამე რიგიდან დაწყების მიუხედავად, მაინც ექვსი ქულა მოვიპოვე.

***მიხაელ შუმახერი:*** სტარტი უნაკლო გამომივიდა, რაც ზამთარში ხანგრძლივი ვარჯიშის შედეგია. შემდეგ, სიტუაციიდან გამომდინარე, რბოლის რიტმი რამდენჯერმე შევცვალე. ისე, დღეს ბრძოლა არც კი ყოფილა, ამიტომ ფინიშის წინ სიჩქარე მინიმუმამდე შევამცირე. „ფერარიმ" კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ საიმედოცაა და სწრაფიც.

### რბოლის შედეგები

**ავსტრალიის დიდი პრიზი**

4 მარტი. მელბურნი

დისტანცია — 58 წრე — 307.574კმ

| | |
|---|---|
| 1. მ. შუმახერი (ფერარი) | 1:38.26,533 (187,464 კმ/სთ) |
| 2. კულჰარდი (მაკლარენი) | ჩამორჩა 1,717 |
| 3. ბარიკელო (ფერარი) | 33,491 |
| 4. ჰაიდფელდი (ზაუბერი) | 1.11,479 |
| 5. ფრენცენი (ჯორდანი) | 1.12,807 |
| 6. რაიკონენი (ზაუბერი) | .1.24,143 |
| 7. პანი (BAR) | 1.27,050 |
| 8. ბურტი (იაგუარი) | 1 წრით |
| 9. ალეზი (პროსტი) | 1 წრით |
| 10. ფერსტაპენი (ეროუსი) | 1 წრით |
| 11. ირვინი (იაგუარი) | 1 წრით |
| 12. ალონსო (მინარდი) | 2 წრით |
| 13. ფიზიკელა (ბენეტონი) | 3 წრით |
| 14. ბატონი (ბენეტონი) | 6 წრით |

**საუკეთესო წრე**

მ. შუმახერი 1.28,214 (216.414 კმ/სთ)

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | |
|---|---|
| მონტოია (უილიამსი) | გაიარა 40 წრე |
| ტრული (ჯორდანი) | 38 |
| ჰაკინენი (მაკლარენი) | 25 |
| რ.შუმახერი (უილიამსი) | 5 |
| ვილნევი (BAR) | 5 |
| მარკეში (მინარდი) | 4 |
| ბერნოლდი (ეროუზი) | 3 |
| მაცაკანე (პროსტი) | 1 |

| FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP | ავსტრალია 4 მარტი | მალაიზია 18 მარტი | ბრაზილია 1 აპრილი | სან მარინო 15 აპრილი | ესპანეთი 29 აპრილი | ავსტრია 13 მაისი | მონაკო 27 მაისი | კანადა 10 ივნისი | ევროპა 24 ივნისი | საფრანგეთი 1 ივლისი | დ.ბრიტანეთი 15 ივლისი | გერმანია 29 ივლისი | უნგრეთი 19 აგვისტო | ბელგია 2 სექტემბ. | იტალია 16 სექტემბ. | აშშ 30 სექტემბ. | იაპონია 14 ოქტომბ. | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მ.შუმახერი ფერარი, გერმანია | 10 | | | | | | | | | | | | | | | | | 10 |
| 2 კულჰარდი მაკლარენი, ბრიტანეთი | 6 | | | | | | | | | | | | | | | | | 6 |
| 3 ბარიკელო ფერარი, ბრაზილია | 4 | | | | | | | | | | | | | | | | | 4 |
| 4 ჰაიდფელდი ზაუბერი, გერმანა | 3 | | | | | | | | | | | | | | | | | 3 |
| 5 ფრენცენი ჯორდანი, გერმანია | 2 | | | | | | | | | | | | | | | | | 2 |
| 6 რაიკონენი ზაუბერი, ფინეთი | 1 | | | | | | | | | | | | | | | | | 1 |
| 7 | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 8 | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 9 | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 10 | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 ფერარი | 14 | | | | | | | | | | | | | | | | | 14 |
| 2 მაკლარენი | 6 | | | | | | | | | | | | | | | | | 6 |
| 3 ზაუბერი | 4 | | | | | | | | | | | | | | | | | 4 |
| 4 ჯორდანი | 2 | | | | | | | | | | | | | | | | | 2 |
| 5 | | | | | | | | | | | | | | | | | | |

## საქართველოს ჩემპიონატი

5 მარტი. ვერის ბაღი

**თსუ 103:124 სტუ**

20:30, 31:30, 24:28, 28:36

**თსუ:** ი. ბერიშვილი (27), მაისურაძე (13), გ. მარკოიშვილი (16), ახალკაცი (5), მაჭარაძე (4); დ. ბერიშვილი (17), ზანგურაშვილი (1), ხეცურიანი (9), გოგბაძე (3), სანიკიძე (8)
**სტუ:** ბ. ბერიშვილი (18), ხოშტარია (21), დავითულიანი (23), ოთიურიძე (7), მინაშვილი (17); კორძაძე (1), კეილია (10), სულაძე, მიქაძე (8), ჩუბინიძე (7), მდივანი (7), მარხვაშვილი (5)
**მსაჯები:** დავით ბერეკაშვილი, ზურაბ აბაშიძე
**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

5 მარტი. ვერის ბაღი

**შევარდენი 58:101 აზოტი**

12:26, 18:19, 13:24, 15:32

**შევარდენი:** ნ. ნოზაძე (2), გ. ჩხეიძე (6), გიგაური (2), სუხიაშვილი (25), გოგუა (2); გულბადარაშვილი (3), ალავიძე (6), კაზანჯიანი, გელაშვილი (7), მაჭავარიანი (5)
**აზოტი:** ა. ცელენტი (16), ტურაშვილი (2), გოგობერიშვილი (9), ბაბიაშვილი (22), შენგელია (10); ბერუაშვილი (12), ჩიჩუა (2), ჯაფარიძე (22), დანელიანი (2), ჯიმშელეიშვილი (4)
**მსაჯები:** ზურაბ აბაშიძე, დავით ანდრიაძე
**კომისარი:** თენგიზ ქიქოძე

# თსუ სტუ-ს ხელფასს გამორჩა

გიორგი გიკაშვილი

შინაურ ჩემპიონატთან ერთად ჩრდილოურ ლიგას შეჭიდებული ბათუმის „ბასკო" ამჯერად ვერ ჩამოვიდა თბილისში დედაქალაქურ კლუბებთან სათამაშოდ. NEBL-ის მეორე ტურში საასპარეზოდ გამზადებულ ქვეყნის ჩემპიონს კალათბურთის ფედერაციამ ანგარიში გაუწია და წინასწარ დაგეგმილი მატჩების სამომავლოდ გამართვაზე დათანხმდა. ყოველივე ცხადია, შეხვედრათა განრიგზეც გავლენა მოახდინა და ვერის ბაღში შეკრებილმა ქომაგმაც გუშინ მხოლოდ ორი მატჩი იხილა.

არადა, შესაძლო იყო, თსუ—სტუ-ს დაპირისპირებაც არ შემდგარიყო. ამ შეხვედრას ჩაშლის საფრთხე მას შემდეგ დაემუქრა, როცა თსუ-ს კალათბურთელებმა მოედანზე გასვლა იუარეს. უნივერსიტეტელები თავიანთი კლუბის ხელმძღვანელთაგან ორი თვის გაუცემელი ხელფასების დროულად დაფარვას ითხოვდნენ, ერთხანს მწვრთნელი-მოთამაშეებმა გასახდელშიც ითათბირეს და ამის მერეღა გამოჩნდნენ სათამაშო ფორმაში გამოწყობილები. ჩანს, თსუ-ს კალათბურთელთა მიერ წამოჭრილი პრობლემები შინაურობაშივე აღმოიფხვრა.

საკუთარი შეფების შესაფუცხუნებლად უნივერსიტეტელებს გამოადგათ ეს ფანდი, ამის მერე კი თსუ-ს ტექნიკოს კოლეგების წინააღმდეგ მართებდა ხრიკების მოფიქრება. მათი ჯახი იგივეა, რაც სტუდენტური დერბი და არასდროსაა ინტერესმოკლებული...

საწყის წუთებში მეტოქეებმა ფეხდაფეხ სდიეს ერთმანეთს, მერე კი თსუ 10-ზე „გაიყინა", ეპიზოდიც 2:14 დათმო და მოწინააღმდეგეს მალე თვალშისაცემად ჩამორჩა. მაისურაძის სამქულიანისა და ხეცურიანის გარღვევის შემდეგ თსუ-მ მდგომარეობა კი გაიუმჯობესა, მაგრამ იქვე სტუ-ს მწვრთნელმა ნუგზარ ქეიშვილმა გამოიცნო შეცვლა — მოედანზე დავითულიანის ნაცვლად შესულმა კეილიამ ზედიზედ 8 ქულა მიითვალა და პირველი ათწუთეული თანაგუნდელებს 10 ქულით მოაგებინა — 30:20.

რაკი თსუ-მ ფარქვეშაც დათმო პოზიციები, მეორე მეოთხედიდან შორიდან შეტევებს მიემალა. მარკოიშვილის, მაისურაძისა და ირაკლი ბერიშვილის ზუსტმა სამქულიანებმა ტაიმის დამთავრებამდე ორიოდ წუთით ადრე თსუ-ს ჩამორჩენა ქულამდე შეამცირა, მაგრამ მალე გულივერ ახალკაცმა ხუთი პერსონალურით მოედანი დატოვა, რასაც ტექნიკოსთა აღმაფრენა მოჰყვა. საერთოდაც, თსუ-ს კალათბურთელები გუშინ ემოციებს ვერ იკავებდნენ და ამ მიზეზით მერეც არაერთხელ იზარალეს.

შესვენების შემდეგ სტუ მშვიდად განაგრძობდა თამაშს და ლიდერობას ინარჩუნებდა. გიორგი მარკოიშვილისა და განსაკუთრებით ირაკლი ბერიშვილის ძალისხმევით თსუ ფარ-ხმალს მაინც არ ჰყრიდა და დროდადრო წამოეწეოდა ხოლმე მეტოქეს, მაგრამ ცხადი იყო, ადრე თუ გვიან სტუ აუცილებლად გატეხდა წელში მოწინააღმდეგეს.

ეს მომენტიც დადგა, ხუთი ჯარიმით სათადარიგო სკამის გზას გაყოლილმა მარკოიშვილმა მსაჯებს ტექნიკური შენიშვნაც რომ დასტყუა, ამით მეტოქეს ორი საჯარიმოს სროლის უფლებაც „უფეშქაშა" და სტუ-მაც მაქსიმალური სარგებელი ნახა — მინაშვილმა ოთხივე საჯარიმო გამოიყენა და სხვაობამ 12 ქულას უწია — 76:64. ამის მერე ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ დარჩენილ დროში თსუ მხოლოდ საპატიო წაგებაზე იზრუნებდა.

უნივერსიტეტელთა მთავარი მწვრთნელის, გია ჯავახიშვილის ბოლო იმედი ირაკლი მაისურაძე იყო. მას კარგა ხნის წინ მიელო მეოთხე პერსონალური და მეხუთის შიშით გადამწყვეტი მომენტისთვის შემოინახა მწვრთნელმა. მოედანზე დაბრუნება მაისურაძემ სამქულიანით აღნიშნა და თითქოს იმედიც ჩაესახა თსუ-ს, მაგრამ აქვე სტუ-მაც უკანასკნელი ძალები მოიკრიბა და ბოლო წუთებისთვის შემადგენლობაგანახევრებულ მოწინააღმდეგეს თავს რისხვა დაატეხა.

„შევარდენი"—„აზოტი" არ ვაჭარბებთ, ფორმალობა იყო. ექვსეულში შეღწევითაც კმაყოფილმა საავიაციოქარხნელებმა ვიცე-ჩემპიონებს ბრძოლა ვერ შეჰკადრეს...

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 21 | 21 | 0 | 2110:1547 | 42 |
| აზოტი | 20 | 15 | 5 | 1674:1448 | 35 |
| სტუ-ჯეოსელი | 19 | 14 | 5 | 1807:1643 | 33 |
| მგაბი | 18 | 10 | 8 | 1579:1490 | 28 |
| თსუ | 20 | 7 | 13 | 1711:1854 | 27 |
| შევარდენი | 20 | 7 | 13 | 1514:1634 | 26 |

შევარდენს დაკლებული აქვს 1 ქულა

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# წვრილფეხობა წამოდგა


REUTERS

ფილადელფია — ვაშინგტონი. ალენ აივერსონი სამ ვაშინგტონელსაც არ შეუშინდა

2 მარტი

**ტორონტო 107:90 ნიუ ჯერსი**
ტორონტო: ა. უილიამსი (15), პეტერსონი (6), კარტერი (38), ოკლი (4 ქულა, 14 მოხსნა, 8 პასი), დევისი (3); კლარკი (16 ქულა, 13 მოხსნა, 7 დაბლოკვა), ჩილდსი (10), ჯ. უილიამსი (9 ქულა, 11 მოხსნა), მიური (4), კარი (2), სტოუდარტი
ნიუ ჯერსი: მარბერი (26), ჰარისი (9), ვან ჰორნი (18), მარტინი (26), ეშმეიერი; ნიუმენი (7), ა. უილიამსი (4), ჯექსონი

4 მარტი

**ინდიანა 96:120 ნიუ ჯერსი**
ინდიანა: როუზი (17), მილერი (24), ჰარინგტონი (1), ონილი (5), ტაბაკი (2); კროშერი (17), ფოსტერი (11 ქულა, 11 მოხსნა), ბესტი (10 ქულა, 11 პასი), ბენდერი (5), მაკკი (4), პერკინსი, სუნდოვი
ნიუ ჯერსი: მარბერი (25 ქულა, 10 პასი), ჰარისი (7), ვან ჰორნი (23), მარტინი (19), ეშმეიერი (3); ნიუმენი (23), უილიამსი (10), დუგლასი (7), სტივენსონი (3 წუთი, 3 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი), სამაკე, ჯექსონი

როგორც იქნა, მოედანს დაუბრუნდა „ნიუ ჯერსი ნეტსის" ქართველი ლეგიონერი ვლადიმერ სტეფანია. დანამდვილებით ვერ გეტყვით, საბოლოოდ მოირჩინა თუ არა ჩვენებურმა მტკივანი მუხლი, „ინდიანასთან" შეხვედრაში მწვრთნელმა ბაირონ სკოტმა მხოლოდ სამი წუთით შეუშვა მოედანზე, რაც, ალბათ იმით შეიძლება აიხსნას, რომ ეშინოდა, ტრავმა არ გამიხეხებოდა. თამაშს დანატრებულ ვოვას კი თავი არ შეურცხვენია, სამ წუთში სამი ქულა და სამი მოხსნა შეაწია თავისიანებს და ზედ ერთი შედეგიანი გადაცემაც დაამატა. ვოვამ თამაშიდან ორი სროლიდან ერთი ჩააგდო და ერთადერთ ნასროლ საჯარიმოს მეტოქის კალათში მიუჩინა ადგილი, სამი მოხსნიდან კი ერთი მეტოქის ფარზე გააკეთა.

სტეფანიას „ნიუ ჯერსის" ამ უქმეებზე ურიგოდ არ უთამაშია, ორი გასვლითი შეხვედრიდან ერთი მოიგო. პარასკევს კანადურ ტორონტოში ჩასული „ბადეები" თითქმის მთელი შეხვედრის განმავლობაში ტოლ-სწორად ეთამაშებოდნენ გაცილებით ღონიერ მეტოქეს, იქაურ „რეპტორსს". ბადეთა ახალბედამ კენიონ მარტინმა პირველი სამი მეოთხედი რიგიანად ითამაშა და მისი წყალობით გუნდებმა ბოლო მეოთხედში თანაბარი ანგარიშით, 71:71 შეაბიჯეს, თუმცა მერე მარტინმა აურია, თავისი სეზონში სარეკორდო 26 ქულიდან მეოთხე მეოთხედში მხოლოდ ერთი გააკეთა, ვერც სხვებმა იფარგეს და „დინოზავრებს", ვინს კარტერის მეთაურობით, სტუმართა დაწიოკება არ გასჭირვებიათ.

ორი დღის შემდგომ ინდიანაპოლისურ მატჩში „ნიუ ჯერსი" გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა. აქ „ბადეებმა" ვიცე-ჩემპიონ „ინდიანას" დასაწყისშივე ბადეთა ქსელი გაუბეს და პირველი მეოთხედი 29:16 მოუგეს. ამის შემდეგ სხვაობა მხოლოდ იზრდებოდა და ვინაიდან „ინდიანას" მეტოქისთვის ხეირიანი არაფერი შეუთავაზებია, საკუთარი გულშემატკივრების თვალწინ სამარცხვინოდ, 26 ქულით წააგო. აღსანიშნავია, რომ „ნიუ ჯერსიმ" თამაშში 13 სამქულიანი ჩაუგდო მეტოქეს, რომლის მთავარი იარაღი სწორედ შორი მანძილიდან სროლებია. ეს კი კლუბის რეკორდი გახლავთ.

ნეტსმა ბოლო 12 საგარეო მატჩიდან პირველად მოიგო.

2 მარტი

**ფილადელფია 107:102 ვაშინგტონი**
ფილადელფია: აივერსონი (41), მუტომბო (14 ქულა, 16 მოხსნა)
ვაშინგტონი: ჰამილტონი (34)

**ინდიანა 83:86 სიეტლი**
ინდიანა: როუზი (24 ქულა, 11 პასი), მილერი (20)
სიეტლი: პეიტონი (26 ქულა, 10 მოხსნა)

**ბოსტონი 103:99 იუტა**
ბოსტონი: პირსი (30), უოლკერი (26)
იუტა: ოსტერტაგი (16 ქულა, 10 მოხსნა)

**ატლანტა 99:105 შარლოტი**
ატლანტა: კუკოჩი (28), ტერი (26)
შარლოტი: დევისი (28)

**დეტროიტი 93:97 მაიამი**
(ძირითადი დრო 85:85)
დეტროიტი: ატკინსი (36), სტეკჰაუზი (21)
მაიამი: ჯონსი (25), მეისონი (17)

**ჩიკაგო 81:72 ნიუ იორკი**
ჩიკაგო: ბრენდი (21 ქულა, 11 მოხსნა)
ნიუ იორკი: ჰიუსტონი (23)

**ორლანდო 120:94 კლივლენდი**
ორლანდო: მაკგრეიდი (36)
კლივლენდი: მილერი (22)

**დენვერი 71:89 მინესოტა**
დენვერი: ლაფრენცი (16)
მინესოტა: გარნეტი (24 ქულა, 14 მოხსნა)

**კლიპერსი 89:81 საკრამენტო**
კლიპერსი: მეჯიტი (23)
საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (31)

ორი მარტი ბოგანოთა ზეიმის დღე გახლდათ. ცხრილის ფსკერის ბინადრებმა ხელი გამოილეს და არაერთი ბობოლა შეიწირეს. დაოსებული „ჩიკაგო" „ნიუ იორკს" მასპინძლობდა და უხეიროდაც თამაშობდა, მაგრამ მასზე უკბილოდ „ნიუ იორკი" გაისარჯა და წააგო კიდეც. აქამდე „ჩიკაგო" 29 გუნდში ერთადერთი იყო, რომელსაც მოგებათა გრაფაში, ერთნიშნა რიცხვი ეწერა, ახლა კი „ხარებს" შეუძლიათ იამაყონ — „ნიუ იორკი" წააქციეს და აქტივში მეათე გამარჯვება ჩაიწერეს.

კალიფორნიულ დერბიში კლიპერსელმა კორი მეჯიტმა კარიერაში სარეკორდო 23 ქულიდან 12 ბოლო მეოთხედში ჩაუგდო „საკრამენტოს" და მატჩის გმირიც შეიქნა. ბოსტონში კი ლიგის უტიტულოვანესმა, თუმცა ახლა უხეიროთა მარაქაში გარეულმა „სელტიქსმა" პირსისა და უოლკერის წყალობით სულ ბდღვირი ადინა უტიტულო, მაგრამ მძლავრ „იუტას". პირსმა 19 ნასროლი საჯარიმოდან 18 გამოიყენა, უოლკერმა კი მელოუნსა და კომპანიას სამქულიანების სეტყვა დაატეხა თავს და შორი მანძილიდან ექვსჯერაც დალაშქრა „ჯაზის" თითქოს და საიმედოდ დაცული კალათი.

კიდევ ერთი ბობოლა, „ფილადელფია", ლიდერებმა — აივერსონმა და მუტომბომ გადაარჩინეს უბადრუკი „ვაშინგტონის" ახალგამომცხვარი ლიდერის, რიჩარდ ჰამილტონის მოძალებისგან, რომელმაც კარიერაში ყველაზე მეტი, 34 ქულა მიითვალა.

3 მარტი

**მილუოკი 126:122 ჩიკაგო**
(ძირითადი დრო 95:95)
მილუოკი: კესელი (40 ქულა, 10 პასი), რობინსონი (31), ალენი (27)
ჩიკაგო: ბრენდი (31), ჰოიბერგი (28 ქულა, 13 პასი)

**პორტლენდი 122:91 გოლდენ სტეიტი**
პორტლენდი: უელსი (18), სმითი (18)
გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (28)

**ფინიქსი 97:82 დენვერი**
ფინიქსი: რობინსონი (20), გუგლიოტა (19)
დენვერი: ვან ექსელი (22)

**სან ანტონიო 124:95 ატლანტა**
სან ანტონიო: დანკანი (26 ქულა, 11 მოხსნა)
ატლანტა: კუკოჩი (19)

**დალასი 100:95 ჰიუსტონი**
დალასი: ფინლი (27), ნოვიცკი (26)
ჰიუსტონი: ოლაჯუვონი (27 ქულა, 13 მოხსნა)

**ვანკუვერი 88:98 ლეიკერსი**
ვანკუვერი: დიკერსონი (22)
ლეიკერსი: ონილი (34), ბრაიანტი (20)

მას შემდეგ, რაც შინ ნიუიორკელები გადაქელეს, ჩიკაგოელმა „ხარებმა" მილუოკიში ლამის იქაური „ბაქსიც" შეიწირეს. „მილუოკიმ" მხოლოდ მეორე ოვერტაიმში შეძლო გაათრთებული „ხარების" იერიშის მოგერიება, რაც გლენ რობინსონისა და სემ კასელის დამსახურებაა. ამ უკანასკნელმა „ხარებთან" ბრძოლაში კარიერაში სარეკორდო, 40 ქულა მოიხვეჭა. ამასთან, პირველი ოვერტაიმის ბოლო წამებზე ის სამქულიანიც ჩააგდო, რომელმაც შეხვედრა 110:110 ანგარიშით მეორე ოვერტაიმში გადაიყვანა და „მილუოკი" შერცხვენისგან იხსნა.

4 მარტი

**ბოსტონი 97:116 შარლოტი**
ბოსტონი: უოლკერი (27), პირსი (24)
შარლოტი: მეშბერნი (27), დევისი (24)

**დეტროიტი 93:84 ორლანდო**
დეტროიტი: სტეკჰაუზი (26), უილიამსონი (22)
ორლანდო: მაკგრეიდი (25)

**ვაშინგტონი 98:118 იუტა**
ვაშინგტონი: რიჩმონდი (22)
იუტა: მელოუნი (20), სტარქსი (19)

**მინესოტა 119:111 სიეტლი**
მინესოტა: გარნეტი (26 ქულა, 16 მოხსნა, 9 პასი), შერბიაკი (27), პიკერი (24)
სიეტლი: პეიტონი (44)

**კლივლენდი 79:91 მაიამი**
(ძირითადი დრო 103:103)
კლივლენდი: მილერი (14)
მაიამი: მეისონი (23), ჯონსი (18)

**ლეიკერსი 110:95 გოლდენ სტეიტი**
ლეიკერსი: ონილი (26), ბრაიანტი (22)
გოლდენ სტეიტი: ჯექსონი (22)

**ტორონტო 98:88 ნიუ იორკი**
ტორონტო: კარტერი (25)
ნიუ იორკი: სპრიუელი (27)

ამ უქმეებზე არავის უთამაშია იმაზე უკეთ, ვიდრე გერი პეიტონს. „სიეტლის" 31 წლის ლიდერმა „მინესოტასთან" უჩვეულო თავგამოდებით ითამაშა და კარიერაში სარეკორდო 44 ქულასაც მოუყარა თავი, მაგრამ მისი კარგი თამაში მაინც რიგითი მინესოტელის, ენტონი პილერის სამქულიანებში ჩაიკარგა. პილერმა მეოთხე მეოთხედის დამთავრებამდე ორიოდ წამით ადრე სამქულიანი ჩააგდო და შეხვედრა ოვერტაიმში გადაიყვანა, იქაც ორი სამქულიანით გაუმასპინძლდა პეიტონის გუნდს და მშობლიურ სიეტლში ნაწყენი გაუშვა.

ირაკლი ფირაშვილი

მსოფლიოს თასი

# მაიერის დიდ-პატარა გლობუსები

„გენიალური უქმეები გამოვიდა“ — თქვა ჰერმან მაიერმა კვირადღის საღამოს, როცა გაირკვა, რომ მსოფლიოს თასის დიდი და ერთიც პატარა გლობუსი ვადამდე ადრე მისი გამხდარიყო. პარასკევისა და შაბათის სწრაფდაშვებებიდან, კვირის სუპერგიგანტიდან „ჰერმინატორმა“ მაქსიმუმი გამოსწურა და ახლა ნორვეგიელ ლასე კიუსს დარჩენილი ხუთივე ეტაპის მოგებაც ვერ უშველის, თასის პატრონი მაიერია. ავსტრიელი კრისტოფ გრუბერიც სუპერგიგანტში 174 ქულით ჩამორჩა, ეტაპის მოგება 100 ქულად ფასობს და ერთი სუპერგიგანტი დარჩა. ანუ აქაც მაიერი...



REUTERS

ჰერმან მაიერმა სწრაფდაშვებაც მოიგო და სუპერგიგანტიც

პირველი სწრაფდაშვება პარასკევს შედგა. სარბიელი ჩინებული იყო — ნორვეგიული კვიტფიელის ტრასა, სადაც ლილეჰამერის ოლიმპიადაზე სამთოელები სრიალებდნენ. გასული წლის ანალოგიური ეტაპი ამერიკელ დერონ რალვზს მოეგო, რომელმაც პარასკევს სრიალის წესებიდან მცირედ გადაუხვია. ამას მოჰყვა ავსტრიელთა და შვეიცარიელთა პროტესტი და რალვზის დისკვალიფიკაცია. მაიერს კვიტფიელში სრიალი ადრე უჭირდა. იმ ტრასაზე გასაოცარი შედეგი არასოდეს ჰქონია და სასტარტო ნომრად 31 მიაკერეს. როგორც სჩვევია, 90-კილოგრამიანი კილოგრამით „ჰერმინატორი“ ქვასავით ჩაქანდა და ფინიშზე რა იხილა, პირველი ვარო, თოვლი დაკოცნა. მესამე იყო კიუსი და მისი ამოცანა დამძიმდა: თუ პირველობა უნდოდა, ყველა დარჩენილი ეტაპი უნდა მოეგო და მაიერს კი — არაფერი. ამგვარ შანსებზე თეორიულსაც ძნელად იტყვიან.

„ხვალ!“ — განაცხადა მაიერმა პარასკევს. შაბათის სწრაფდაშვებისას აპირებდა წერტილის დასმას, რაც წარმატებით გააკეთა. კიუსი შაბათს საერთოდ ვერ გავიდა ბოლოში, ხოლო მაიერი მოკრძალებულად მეხუთე იყო, თუმცა საქმისთვის ესეც კმაროდა. მაიერი თასის პატრონი გახდაო და ადრე ხომ ეხვეოდნენ, ორჯერ მეტი ჟურნალისტი მიესია. მათ ძალიან აინტერესებდათ საუბარი პერსონასთან, რომელმაც თასი მესამედ მოიგო, რადგან ამგვარი კაცი ორიოდეა სამთო თხილამურობაში: ინგმარ სტენმარკი და ფილ მარე. ოთხჯერ იყვნენ თასის მფლობელები შვეიცარიელი პირმინ ცურბრიგენი და იტალიელი ტონი გუსტავი, ხუთჯერ — დიდი ლუქსემბურგელი მარკ ჟირარდელი. მაიერი 28 წლისაა და თუ კარგად იქნა, უფრო დიდი სიმაღლეების დაპყრობაც შეუძლია. კიდევ ის შეუძლია, რომ სტენმარკის რეკორდი დაამხოს. სლალომის შვედმა პროფესორმა ერთხელ სეზონში 13 ეტაპი მოიგო, მაიერისთვის პარასკევის სწრაფდაშვება წლეულს მე-10 იყო, კვირას მოგებული სუპერგიგანტი — მე-11, ხოლო სეზონის გასრულებას 4 ეტაპი უკლია, რომელთაგან სლალომს ავსტრიელი არ ეკარება. მოკლედ, სამში სამი უნდა მოიგოს. ეს სჭირდება არა მარტო რეკორდის მოსახსნელად: სწრაფდაშვებისა და გიგანტური სლალომის მცირე გლობუსები ჯერაც ელიან პატრონს. მაიერი ორივეგან მეორეა და შეუძლია, შარშანდელი გაიმეოროს. მაშინ სლალომის გარდა ყველა დისციპლინა მას დარჩა.

რატომ ვერ იტანს სლალომს მაიერი? უკვე იტანს. მომავალი სეზონიდანო, უთხრა მან ჟურნალისტებს, სლალომს მეტი ყურადღება უნდა დავუთმო, თუ უნივერსალობა მინდა, ბოლომდე უნივერსალი უნდა გავხდეო. მისი ეს საჭირო თვისება ბოლო უქმეებზე კარგად გამოვლინდა, პარასკევს სწრაფდაშვება მოიგო, კვირას — სუპერგიგანტი. სუპერგიგანტში მაიერის ისე რა კონკურენტად დარჩენილიყო მხოლოდ გრუბერი, სხვებს კი პირველობის ყოველგვარი შანსი გამოლეოდათ. გრუბერიც კვირას წაიქცა და სისხლიანი ცხვირით გადავიდა ფინიშზე, რომელიც უპირველესი შედეგით სწორედ მაიერს გადაელახა. „საძაგელი ტრასაა! — თქვა გრუბერმა მოღუშვით — აქ გუშინაც წავიქეცი“. მას ახლა მეორე ადგილისთვის ზრუნვა მოუწევს.

მეზობლად, შვედურ არეში, მანდილოსნები ბოლო სათასო ბატალიებისთვის ვარჯიშობენ. ისინი შუა კვირიდან გაეჯიბრებიან ერთმანეთს. არეში უეჭველად უნდა ვიხილოთ იანიცა კოსტელიჩი, რომლის შესახებ ზაგრებიდან ამბავი მოვიდა, ვარჯიშისას მხრით დაეცა და მყესები დაეჭიმაო. „იანიცა კარგადაა და სამშაბათს არეში იქნება“ — თქვა ხორვატთა ნაკრების მწვრთნელმა ვედრან პავლეკმა. დღეს ჩავიდოდა, ესე იგი...

**დავით გულუა**

სწრაფდაშვება

**1. ჰერმან მაიერი (ავსტრია) 1:45,90; 2. ფლორიან ეკერტი (გერმანია) 1:46,05; 3. ლასე კიუსი (ნორვეგია) 1:46,09**

სწრაფდაშვება

**1. შტეფან ებერჰარტერი (ავსტრია) 1:45,17; 2. ფლორიან ეკერტი (გერმანია) 1:45,26; 3. ფრიც შტრობლი (ავსტრია) 1:45,42**

სუპერგიგანტი

**1. ჰერმან მაიერი (ავსტრია) 1:28,58; 2. ჰანეს ტრინკლი (ავსტრია) 1:28,64; 3. შტეფან ებერჰარტერი (ავსტრია) 1:29,42**

სწრაფდაშვების ჩათვლა

**1. შტეფან ებერჰარტერი (ავსტრია) 482 ქულა; 2. ჰერმან მაიერი (ავსტრია) 476; 3. ფრიც შტრობლი (ავსტრია) 373**

სუპერგიგანტის ჩათვლა

**1. ჰერმან მაიერი (ავსტრია) 420 ქულა; 2. კრისტოფ გრუბერი (ავსტრია) 246; 3. იოზეფ შტრობლი (ავსტრია) 228**

საერთო ჩათვლა

**1. ჰერმან მაიერი (ავსტრია) 1418 ქულა; 2. შტეფან ებერჰარტერი (ავსტრია) 795; 3. ლასე კიუსი (ნორვეგია) 771**



ლინარესის სუპერტურნირი

# კარპოვს ბავშვმა მოუგო

**მე-7** ტური ლინარესში აქამდე ყველაზე შფოთიანი გამოდგა. იუდით პოლგარი კასპაროვს ხვდებოდა, ალექსეი შიროვი — პეტერ ლეკოს და ალექსანდრ გრიშჩუკი — კარპოვს. ცენტრალური პარტია პირველი იყო არა მარტო კასპაროვის გამო. პატარა პოლგარმა ექვს ტურში 3,5 ქულა დააგროვა და მეორე ადგილზე იყო, რაც უნგრელმა მეტად სანახაობრივი თამაშით მოახერხა, ხოლო სანახაობა, არა მარტო ჭადრაკში, ხშირად შედეგის ხარჯზე არსებობს. კასპაროვთან პოლგარის პარტია გადამწყვეტი ჩანდა. მოიგებდა მანდილოსანი — პირველი ადგილისთვის ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შევიდოდა, თუ პირიქით, გასარკვევიც არაფერი დარჩებოდა.

პოლგარი ტიტულიან გარის მამაცურად შეება, მაგრამ მისი ინგლისური შეტევა არაეფექტური გამოდგა და შავებმა ზუსტი სვლებით ინიციატივა ხელთ იგდეს. პოლგარი იღუპებოდა, მაგრამ ხავსს მოეჭიდა (ფიგურა შეწირა) და გასაკვირად, მაგრამ გადარჩა. კასპაროვმა „მკვლელის ინსტინქტი“ ამჯერად ვერ მოიხმარა, 27-ე სვლაზე წაბარბაცდა და პოლგარის ძლიერი რეპლიკის შემდგომ მუდმივი ქიში გამოაცხადა, რათა უარესი არ დამართოდა.

შიროვმა ჩვეულებისამებრ ფიგურა შესწირა და მღვრიე წყალში თევზაობას შეუდგა, მაგრამ ლეკო ყოჩაღად დადგა. აქაც მუდმივი ქიშის გარემო შეიქმნა, მაგრამ როდის იყო, შიროვი მუდმივი ქიშით ამთავრებდა პარტიებს? ექსრიგელმა ახლა ხარისხი გაიმეტა და ბოლო იერიშისთვის ძალთა გაწყობას შეუდგა. ამ ინტერვალში ლეკოს მოგება შეეძლო, მაგრამ ყაიმი სულს ურჩევნია და სხვა გზით წავიდა. შიროვმაც შეტევა ვერააწყო და ზავს დაყაბულდა.

ისტორიული მოვლენა მესამე დაფაზე განვითარდა. იქ ტურნირის უხუცესი და უმრწემესი მონაწილეები ქიშპობდნენ. ვაჰ, დრონი, დრონი — ანუ კარპოვმა 17 წლის ყმაწვილთან წააგო! ორმხრივი შეცდომების კორიანტელში ვეტერანმა უფრო მიჰქარა და ბოლო ადგილზე გადაინაცვლა.

მერვე ტურშიც მოხდა ერთი-ორი გამოსარჩევი ამბავი. კარპოვმა თვითრეაბილიტაციისათვის პოლგარის შემოწირული პაიკი არ დააბრუნა და 30-ე სვლამდე უარეს პოზიციას იცავდა. მუქარების აკადემიურ სტილში მოგერიების შემდგომ ექსჩემპიონმა კონტრშეტევა დაიწყო და ზედმეტი პაიკიც ხომ სუფთად ჰქონდა, ამიტომ მოიგო. კარპოვი ბოლოში მარტო აღარ არის, ხოლო კასპაროვი კვლავ პირველია და, ალბათ, ფინიშამდე ასეც მივა. მისი მომდევნო ზვარაკი შიროვი გახდა. ახლა მათ პირად შეხვედრებს კასპაროვი 11:0 (!) იგებს.

ლეკო — გრიშჩუკი: ცხადია, ყაიმი

**დავით გულუა**

ვითარება 8 ტურის შემდეგ

**1. კასპაროვი 6; 2. იუდით პოლგარი 4; 3-6. შიროვი, კარპოვი, ლეკო, გრიშჩუკი 3,5.**



## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

2 მარტი

**ანაჰაიმი 2:5 დალასი**

(0:2 0:0 2:3)

**0:1 მარშალი 4 (9), 0:2 ლეპტინენი 16 (18), 0:3 ჰალი 42 (30), 1:3 ტვერდოვსკი 45 (11), 1:4 მოდანო 45 (23), 1:5 დონატო 47 (4), 2:5 კადენი 56 (9)**

**ვანკუვერი 3:2 სენტ ლუისი**

(1:0 1:1 0:1 1:0)

**1:0 შეფერი 20 (14), 1:1 ტარჯონი 34 (27), 2:1 კესელსი 39 (11), 2:2 მელანბი 48 (8), 3:2 ოლუნდი 64 (7)**

**ფინიქსი 2:2 დეტროიტი**

(0:0 0:0 2:2 0:0)

**0:1 მაკარტი 43 (12), 0:2 ვერბიკი 53 (14), 1:2 ტკაჩუკი 54 (28), 2:2 ჟიუნო 59 (5)**

**ედმონტონი 3:1 მინესოტა**

(0:0 1:1 2:0)

**1:0 რ. მიური 26 (12), 1:1 ლაქსონენი 31 (11), 2:1 რ. სმიტი 49 (23), 3:1 რ. მური 57 (13)**

**რეინჯერსი 5:7 პიტსბურგი**

(1:1 1:3 3:3)

**1:0 მესიე 7 (21), 1:1 სტივენსი 13 (7), 1:2 ლემიე 24 (23), 1:3 ფერენსი 25 (2), 1:4 ლანგი 25 (26), 2:4 ნედვედი 30 (25), 3:4 დვორჟაკი 42 (20), 3:5 იაგრი 48 (34), 3:6 იაგრი 51 (35), 3:7 ლემიე 56 (24), 4:7 ულმერი 58 (3), 5:7 მესიე 59 (22)**

**ფლორიდა 3:4 ატლანტა**

(0:2 1:0 2:2)

**0:1 ფერარო 5 (26), 0:2 კონი 15 (5), 1:2 პ. ბურე 22 (44), 2:2 პეიერი 43 (5), 2:3 ოდეტი 51 (30), 2:4 ვალიო 53 (9), 3:4 ბერი 60 (3)**

**ნიუ ჯერსი 7:3 კაროლინა**

(2:1 4:1 1:1)

**1:0 ელიაში 4 (25), 2:0 მოგილნი 7 (33), 2:1 ონილი 12 (32), 3:1 დაიენე 26 (3), 4:1 სიკორა 29 (25), 5:1 ელიაში 34 (26), 5:2 ფელინა 36 (19), 6:2 სიკორა 37 (26), 7:2 არნოტი 50 (12), 7:3 ოზოლინში 59 (7)**

**ტორონტო 2:3 ოტავა**

(1:1 1:1 0:0 0:1)

**1:0 სუნდინი 3 (22), 1:1 იაშინი 15 (30), 1:2 უაიტი 26 (2), 2:2 ტომასი 39 (6), 2:3 იაშინი 61 (31)**

**ვაშინგტონი 3:4 პიტსბურგი**

(2:2 0:1 2:0)

**1:0 ჰალპერნი 1 (15), 1:1 ლანგი 6 (27), 1:2 ლანგი 17 (28), 2:2 ჰალპერნი 18 (16), 2:3 იაგრი 23 (36), 3:3 ზედნიკი 49 (4), 4:3 ზედნიკი 54 (15)**

**მონრეალი 3:1 ფილადელფია**

(0:0 1:0 2:1)

**1:0 ტრავერსი 38 (4), 2:0 კოივუ 53 (12), 2:1 ლეკლერკი 57 (13), 3:1 რუჩინსკი 59 (10)**

**აილენდერსი 0:6 ტამპა**

(0:2 0:4 0:0)

**0:1 ზიუზინი 3 (3), 0:2 ბარნაბი 10 (4), 0:3 მ. ჯონსონი 25 (11), 0:4 ზიუზინი 32 (4), 0:5 ლეკავალიე 34 (18), 0:6 ეკმანი 36 (7)**

**ბოსტონი 3:2 სან ხოსე**

(1:1 1:0 1:1)

**1:0 ელისონი 1 (26), 1:1 შტურმი 8 (13), 2:1 სამსონოვი 40 (23), 3:1 ნაბლი 46 (6), 3:2 რიჩი 46 (13)**

3 მარტი

**კალგარი 3:2 სენტ ლუისი**

(1:1 0:1 1:0 1:0)

**0:1 იანგი 10 (34), 1:1 უილმი 11 (6), 1:2 იანგი 35 (35), 2:2 ლუდმანი 49 (1), 3:2 სავარი 65 (21)**

**ლოს ანჯელესი 6:3 დეტროიტი**

(3:1 3:1 0:1)

**0:1 ჰოლმსტრომი 5 (10), 1:1 დედმარში 9 (14), 2:1 გ. მიური 15 (14), 3:1 ემერსონი 16 (10), 4:1 ლ. რობიტაილი 24 (32), 5:1 შტუმპელი 27 (14), 6:1 ლ. რობიტაილი 27 (33), 6:2 აიზერმანი 33 (14), 6:3 ჰოლმსტრომი 57 (11)**

**კოლორადო 2:3 ბუფალო**

(0:2 2:0 0:0 0:1)

**0:1 კ. ბრაუნი 4 (7), 0:2 გილმორი 19 (5), 1:2 ფორ[illegible]რგი 30 (24), 2:2 საკიკი 40 (37), 2:3 [illegible]რნსი 63 (17)**

**ატლანტა 2:2 ფლორიდა**

(1:1 0:1 1:0 0:0)

**1:0 შლეგრი 4 (8), 1:1 კოზლოვი 20 (12), 1:2 ნილსონი 34 (9), 2:2 გუოლა 47 (11)**

**ფინიქსი 0:5 კოლორადო**

(0:1 0:1 0:3)

**0:1 პარკერი 7 (2), 0:2 პოდინი 32 (14), 0:3 ტანგეი 49 (25), 0:4 დრური 51 (20), 0:5 ფორსბერგი 56 (25)**

4 მარტი

**ჩიკაგო 3:6 კაროლინა**

(1:0 2:2 0:4)

**1:0 დაზე 14 (28), 2:0 ნიულანდერი 22 (22), 2:1 ოზოლინში 30 (8), 2:2 ოზოლინში 39 (9), 3:2 ბ. მირონოვი 39 (5), 3:3 ფ[illegible]ლინა 42 (20), 3:4 ონილი 47 (33), 3:5 ჰეჩერი 55 (4), 3:6 ოზოლინში [illegible] (10)**

**ნეშვილი 5:2 რეინჯერსი**

(0:0 3:2 2:0)

**0:1 იუნსონი 23 (3), 1:1 რონინგი 24 (15), 1:2 ნედვედი 28 (26), 2:2 არხიპოვი 31 (5), 3:2 რონინგი 39 (16), 4:2 რ. რობიტაილი 43 (7), 5:2 რ. რობიტაილი 50 (8)**

**ანაჰაიმი 4:0 ლოს ანჯელესი**

(2:0 1:0 1:0)

**1:0 შუინარი 14 (2), 2:0 სელიანე 17 (26), 3:0 კარია 24 (20), 4:0 კარია 57 (21)**

**ვანკუვერი 3:4 მინესოტა**

(1:3 0:0 2:0 0:1)

**0:1 გეივი 4 (8), 0:2 კრივოკრასოვი 6 (6), 6:3 გაბორიკი 13 (16), 1:3 ბრაშირი 20 (7), 2:3 კლეტი 46 (10), 3:3 დრაკენი 55 (13), 3:4 გეივი 63 (9)**

**დალასი 4:1 ბუფალო**

(2:0 2:1 0:0)

**1:0 სიკორა 15 (27), 2:0 არნოტი 37 (13), 3:0 არნოტი 46 (14), 4:0 გომესი 54 (10), 5:0 გომესი 59 (11), 6:0 სიკორა 59 (28)**

**ფინიქსი 0:5 კოლორადო**

(0:1 0:1 0:3)

**0:1 პარკერი 7 (2), 0:2 პოდინი 32 (14), 0:3 ტანგეი 49 (25), 0:4 დრური 51 (20), 0:5 ფორსბერგი 56 (25)**

| აღმოსავლეთ კონფერენცია | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოტავა | 65 | 38 | 8 | 2 | 17 | 210:157 | 86 |
| ნიუ ჯერსი | 65 | 33 | 12 | 3 | 17 | 223:157 | 81 |
| ვაშინგტონი | 65 | 33 | 10 | 2 | 20 | 183:164 | 78 |
| ფილადელფია | 66 | 34 | 10 | 2 | 20 | 195:171 | 80 |
| ბუფალო | 66 | 35 | 5 | 1 | 25 | 173:155 | 76 |
| პიტსბურგი | 65 | 33 | 7 | 2 | 23 | 219:203 | 75 |
| ტორონტო | 67 | 30 | 10 | 5 | 22 | 199:167 | 75 |
| კაროლინა | 65 | 29 | 8 | 3 | 25 | 172:180 | 69 |
| ბოსტონი | 65 | 28 | 6 | 7 | 24 | 176:196 | 69 |
| რეინჯერსი | 65 | 26 | 4 | 1 | 34 | 204:231 | 57 |
| მონრეალი | 66 | 23 | 5 | 4 | 34 | 162:189 | 55 |
| ატლანტა | 65 | 19 | 11 | 2 | 33 | 173:225 | 51 |
| ფლორიდა | 67 | 17 | 9 | 8 | 33 | 157:202 | 51 |
| ტამპა | 66 | 17 | 6 | 3 | 40 | 161:233 | 43 |
| აილენდერსი | 65 | 17 | 5 | 3 | 40 | 144:213 | 42 |

| დასავლეთ კონფერენცია | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კოლორადო | 65 | 41 | 9 | 3 | 12 | 218:149 | 94 |
| სენტ ლუისი | 66 | 39 | 7 | 4 | 16 | 214:154 | 89 |
| დალასი | 66 | 37 | 5 | 2 | 22 | 187:159 | 81 |
| დეტროიტი | 67 | 39 | 7 | 4 | 17 | 202:171 | 89 |
| ვანკუვერი | 66 | 34 | 5 | 6 | 21 | 207:194 | 79 |
| სან ხოსე | 65 | 34 | 10 | 0 | 21 | 177:150 | 78 |
| ედმონტონი | 66 | 31 | 9 | 2 | 24 | 183:177 | 73 |
| ფინიქსი | 66 | 29 | 13 | 2 | 22 | 171:169 | 73 |
| ლოს ანჯელესი | 66 | 29 | 9 | 1 | 27 | 209:198 | 68 |
| ნეშვილი | 67 | 27 | 8 | 2 | 30 | 158:170 | 64 |
| ჩიკაგო | 66 | 27 | 6 | 3 | 30 | 181:194 | 63 |
| კალგარი | 64 | 23 | 12 | 4 | 25 | 158:181 | 62 |
| მინესოტა | 65 | 23 | 9 | 3 | 30 | 139:161 | 58 |
| კოლუმბუსი | 65 | 21 | 7 | 6 | 31 | 151:189 | 55 |
| ანაჰაიმი | 67 | 19 | 8 | 5 | 35 | 156:203 | 51 |

*შენიშვნა: კონფერენციებში პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები იმყოფებიან*

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიბრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის
რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო აზვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ზიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge